ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ბაღაფშსა და ხაჯიმბას აფხაზური ენის ცოდნაში შეამოწმებენ

აფხაზეთის პრეზიდენტობის სურვილი 5 ადამიანს აქვს



გვ.5

ოთხშაბათი, 4 ნოემბერი, 2009 №286 (5027) ფასი: 30 თეთრი

# ჩვენს სადეპუტატო ხელფასებს არავის დავუთმობთ!



გვ.4

ნათელაშვილი სააკაშვილს გაეროს ოფისის წინ კარვის გაშლას ურჩევს



გვ.3

## არჩევნების ბოიკოტირებით ხელისუფლებას ვერ დავასუსტებთ

სააკაშვილის ვადამდელი გადაყენება და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ოპოზიციის მუდმივ მოთხოვნად რჩება

## გამსახურდიას სიკვდილის მიზეზების დამდგენი კომისიის შემადგენლობა უცნობია

გვ.2

## ორ მილიონამდე მოქალაქე შიმშილის ზღვარზეა

გვ.4



ბაღათურია პენსიების გაზრდას ითხოვს

## ხელისუფლება უნდა მიხვდეს, რომ ძალადობას არ შევეგუებით!



გვ.2



## პანკისის თემა საქართველოს არანაირად არ სჭირდება

გვ.6

## საქართველოს ეროვნული ბანკი: კრიზისი დასრულებულია

გვ.6



## საქართველოში გამოკითხვა სერიოზულად ვერასდროს ჩატარდება

გვ.7



## დედაქალაქში მინისქვეშა გადასასვლელები საშინელ დღეშია

გვ.7

რატომ ვერ იცლის მერია მიწისქვეშა თბილისისთვის



გვ.3

## „სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა საქართველოს განვითარებისთვის" ოფიციალურად დაფუძნდა

**2** რუსეთის საგარეო უწყება ქართულ მხარეს პროვოკაციებში ადანაშაულებს

**3** სტიქიით დაზარალებულებს საერთაშორისო ორგანიზაციები დაეხმარებიან

**2** ზოგად უნარებში ტესტურ დავალებათა რიცხვი შემცირდა

**6** პატრიარქის მხარდასაჭერად აქცია გაიმართა

## ესპანეთში შაქრო კალაშოვის სასამართლო პროცესი დაიწყო

ესპანეთის ეროვნულმა სასამართლომ დაიწყო ე.წ. კანონიერი ქურდის შაქრო კალაშოვის, მეტსახელად „შაქრო-მოლოდოის“, სასამართლო პროცესი.



სულ განსასჯელთა სკამზე 11 ადამიანია, მათ შორის კალაშოვის ადვოკატი ალექსანდრ გოფშტეინი.

შაქრო კალაშოვი არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში 2005 წელს დააკავეს და ესპანეთში გაგზავნეს, სადაც ის ფულის გათეთრებაში, დოკუმენტების გაყალბებაში და დანაშაულებრივი საზოგადოების ჩამოყალიბებაშია ეჭვმიტანილი.

2008 წლის ოქტომბერში ესპანეთის პროკურატურამ განაცხადა, რომ შაქრო კალაშოვი რუსული კომპანია „ლუკოილის“ აქციათა 0,5 პროცენტს ფლობდა და მას ესპანურ ბაზარზე თავის დამკვიდრებაში ეხმარებოდა.

სასამართლოს პირველ სხდომაზე, რომელიც 2 ნოემბერს გაიმართა, პროკურორმა კალაშოვისთვის 32 მილიონი ევროს ოდენობის ჯარიმის დაკისრება და თავისუფლების 12 წლითა და 2 თვით აღკვეთა მოითხოვა. ადვოკატ გოფშტეინს კი, 7 წლითა და 3 თვით პატიმრობა ემუქრება.

პროკურატურა 9 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთას ითხოვს კალაშოვის თანამზრახველებისთვის - ოლეგ ვორონცოვისთვის და კონსტანტინე ასათიანისთვის. სამართალდამცავები ასათიანისთვის 18 მილიონ ევროიანი ჯარიმის დაკისრებასაც ცდილობენ. განსასჯელების მიხეილ მდინარაძისა და ყოფილი საბაჟო ინსპექტორის კარლოს ანტონიო ფერნანდეს ასენსიოს სავარაუდო პატიმრობის ვადა, შესაბამისად, 7 წელს და 3 თვეს და 7 წელს და 4 თვეს შეადგენს.

3-6 წლიანი პატიმრობა ემუქრებათ ანხელ ბლანკო იანესს, მარია ფლორა კასადოს, მარია კრუზ ბლანკოს, იგნასიო ბელესტეროსსას, ხუან მანუელ კანტარეროს, ალექსანდრ მინინს, ნატალია სეროვასა და ალიონა გოცულენკოს.

ადრე შაქრო კალაშოვის ადვოკატი ალექსანდრ გოფშტეინი იყო, რომლის კლიენტებიც სხვადასხვა დროს იყვნენ სვეტლანა ბახმინა და ვიაჩესლავ ივანკოვი(იაპონჩიკი). ადვოკატი მადრიდში 2006 წელს დააკავეს.

იურისტია ეჭვმიტანილია ფულის გათეთრებაში და დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრობაში. კერძოდ, ესპანელი სამართალდამცავების ვერსიით, გოფშტეინი, რომელიც კალაშოვს 1999 წლიდან იცნობს, მოსამართლებიის მოსყიდვას და კლიენტის ციხიდან განთავისუფლებას ცდილობდა. ამ ინფორმაციის მიხედვით, 2005 წელს გოფშტეინი ჩაფრინდა საუდის არაბეთში და მოსამართლებიის მოსყიდვას 1 მილიონ დოლარად ცდილობდა. კალაშოვის ესპანეთში ექსტრადიციის შემდეგ კი, გოფშტეინი ოლეგ ვორონცოვთან ერთად 60 ათას დოლარს იხდიდა ცნობისთვის, რომლის მიხედვითაც,

თითქოსდა მისი კლიენტი მძიმე ავადმყოფი იყო.ასევე, ესპანური პოლიციის ცნობით, ადვოკატი ციხეში მყოფ კალაშოვსა და მის თანაშემწეებს ვორონცოვსა და ასათიანს შორის შუამავლის როლს ასრულებდა. გოფშტეინი დაახლოებით 300 მილიონი დოლარის გათეთრებაშია ეჭვმიტანილი.

ცნობისთვის:რუსული წყაროების ინფორმაციით, სწორედ შაქრო კალაშოვის დაპატიმრებამ გამოიწვია კონფლიქტი ე.წ. კანონიერი ქურდების ასლან უსოიანის(დედ ხასანი) და ტარიელ ონიანის(ტარო) კლანებს შორის.

ონიანი მიმდინარე წლის ზაფხულში მოსკოვში დააპატიმრეს. მოგვიანებით, რესტორან „ტაისკი სლონში“ დაჭრეს უსოიანის მომხრე ვიაჩესლავ ივანკოვი (იაპონჩიკი), რომელიც ჭრილობებისგან ოქტომბერში გარდაიცვალა. 2 ნოემბერს კი, მოსკოვში მანქანაში ჩაცხრილეს „იაპონჩიკის“ ახლობელი, ბიზნესმენი შაბტაი კალმანოვიჩი.

**მედიანიუსი**

# ხელისუფლება უნდა მიხვდეს, რომ ძალადობას არ შევეგუებით!

**შაბათს არასამთავრობო სექტორი თბილისში, პარლამენტის შენობის წინ საპროტესტო აქციას გამართავს. 7 ნოემბერს დაგეგმილ აქციაში მონაწილეობაზე თანხმობა თითქმის ყველა ოპოზიციურმა პარტიამ გამოთქვა. არასამთავრობოები, ოპოზიცია და მოსახლეობა შაბათს რუსთაველზე იმას გააპროტესტებენ, რაც ორი წლის წინ მოხდა.**

თეა მარხვაი ე

2007 წლის 7 ნოემბერი ჩვენში კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ემახსოვრებათ. ეს თარიღი აუცილებლად შევა საქართველოს ისტორიაში, ოღონდ, როგორც სამარცხვინო ფურცელი.

შვიდი ნოემბრის აღნიშვნას ოპოზიცია შარშანაც აპირებდა, მაგრამ აგვისტოს ომის გამო რაღაცნაირად თავი შეიკავეს. ამის მიუხედავად, პროტესტის გამოსახატად თბილისის ქუჩებში რამდენიმე ათასი ადამიანი გამოვიდა. არასამთავრობო სექტორი წელს უფრო გრანდიოზული აქციის გამართვას გეგმავს. ამ აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი მოძრაობა „7 ნოემბერია“. **ჯაბა ჯიშკარიანმა** და მისმა თანამოაზრეებმა გუშინ ქართველი ერისადმი საგანგებო მიმართვა გაავრცელეს.

— 7 ნოემბრის შემდეგ საქართველოში გაყალბდა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები. მოსახლეობას წაართვეს მათთვის მთავარი — თავისუფალი არჩევანის უფლება. ხალხს ეს უფლება დღემდე აქვს წართმეული. საქართველოს ხელისუფლების ანტიდემოკრატიულმა კურსმა ხელ-ფეხი გაუხსნა რუსეთის აგრესიას, რასაც ჩვენი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია მოჰყვა, — ნათქვამია საგანგებო მიმართვაში.

იმავე მიმართვაში საუბარია ხელისუფლების გატარებულ კურსზეც, რომლის წყალობითაც, მიმართვის ავტორთა თქმით, უამრავ ადამიანს წაართვეს კერძო საკუთრება. მიმართვის ავტორები აპროტესტებენ იმასაც, რომ დღემდე გამოუძიებელია უდანაშაულოდ დახვრეტილი ახალგაზრდების საქმეები. აქციის ორგანიზატორები კიდევ ბევრ უკანონობაზე საუბრობენ. მათ მიაჩნიათ, რომ ამის მოთმენა აღარ შეიძლება და მოქმედების დაწყების დროა.

— ჩვენი მოვალეობაა, კონსტიტუციური მეთოდებით ჩამოვაშოროთ სააკაშვილი ქვეყნის მართვას, ამით გადავარჩინოთ საქართველო და დავუბრუნოთ მას დემოკრატიული განვითარებისა საერთაშორისო თანამეგობრობაში ღირსეულად დამკვიდრების პერსპექტივა, — აცხადებენ მიმართვის ავტორები.



მათი თქმით, ახლა მთავარია საზოგადოების პოზიცია.

— ამ გზაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია და მიზანდასახულობა გააჩნია 7 ნოემბრის საპროტესტო აქციას. ხელისუფლებამ მკაფიოდ უნდა დაინახოს და გააცნობიეროს, რომ საზოგადოება არ შეურიგდება ქვეყანაში დამკვიდრებულ ძალადობას. ის დაიბრუნებს წართმეულ ღირსებას, — ამბობენ აქციის ორგანიზატორები.

მათი თქმით, ვისთვისაც სულ ერთი არ არის პიროვნული ღირსება, სახელმწიფოებრივი ინტერესები და დემოკრატიული ფასეულობები, 7 ნოემბერს აქციაზე უნდა მივიდნენ.

ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ შაბათს ქუჩაში ათეულობით ათასი ადამიანი გავა. ვნახოთ, 7 ნოემბრამდე რამდენიმე დღე დარჩა.

## გამსახურდიას სიკვდილის მიზეზების დამდგენი კომისიის შემადგენლობა უცნობია

ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მიზეზების დამდგენი კომისიის შემადგენლობა ჯერჯერობით დაუზუსტებელი რჩება.

პარლამენტის პარასკევის სხდომაზე კომისიის თავმჯდომარის და მდივნის ვინაობა უნდა გახდეს ცნობილი, რის შემდეგაც, რამდენიმე დღეში, კომისიის სრული შემადგენლობა უნდა დასახელდეს.

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტს კვოტებიც უკვე განსაზღვრული აქვს, თუმცა, საპარლამენტო ფრაქციებში იმ დეპუტატების ვინაობას ვერ აკონკრეტებენ, რომლებიც ამ კვოტებს დაიკავებენ.

კომისიაში 4 წევრი ნაციონალურ მოძრაობას უნდა



ჰყავდეს, რომელთა შორის მხოლოდ 2 სავარაუდო კანდიდატი სახელდება — ლაშა თორდია და ზვიად კუკავა, რომელიც დეპუტატი რამდენიმე კვირის წინ გახდა. ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატებს“ ორი კვოტა აქვს, რომელთაგან ერთს სავარაუდოდ გიორგი ახვლედიანი დაიკავებს.

უცნობია ფრაქცია მაჟორიტარების და ფრაქცია ძლიერი საქართველოს კანდიდატებიც.

ამ ეტაპზე მხოლოდ ის დეპუტატები არიან ცნობილნი, რომლებიც კომისიაში უფრაქციო დეპუტატების ქვოტას დაიკავებენ და სავარაუდოდ, მის ხელმძღვანელობასაც ჩაიბარებენ.

კომისიის თავმჯდომარე სავარაუდოდ კონსტანტინე გამსახურდია გახდება, კომისიის მდივანი კი ჯონდი ბაღათურია.

**მედიანიუსი**

## ახალგორის რაიონს დენის მიწოდება აღუდგა

ოკუპირებულ ახალგორის რაიონს ქართული მხრიდან ელექტროენერგიის მიწოდება აღუდგა. როგორც „მედიანიუსს“ ახალგორის რაიონის გამგებელმა ზურაბ ფიცხელაურმა აცნობა, დენის გათიშვის მიზეზი დუშეთის რაიონში ელექტროგადამცემი ხაზების დაზიანება გახდა. მისივე თქმით, სეპარატისტები აქტიურად მუშაობენ ცხინვალიდან ალტერნატიული ელექტროგადამცემი ხაზების გასაყვანად. გადამცემი ხაზები უკვე ახალგორამდეა მოსული, თუმცა უამინდობის გამო სამუშაოების დასრულება შეფერხდა.

ორი დღის წინ სეპარატისტებმა ახალგორელი ბავშვები, რომლებიც მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში დაგეგმილ ღონისძიებაში აპირებდნენ მონაწილეობას, ე. წ. საზღვარზე არ გამოუშვეს. ახალგორელების თქმით, ელექტროენერგიის გათიშვის გამო, ეს სეპარატისტების მხრიდან საპასუხო ქმედება იყო.

**მედიანიუსი**

## მენინგიტის დიაგნოზით ინფექციურ საავადმყოფოში 3 მცირეწლოვანი ბავშვი იმყოფება

ბაქტერიულ-ანტიბიოტიკური მკურნალობის კურსს ინფექციურ საავადმყოფოში 3 მცირეწლოვანი ბავშვი გადის.

როგორც „პირველს“ დავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ შოთა ცანავამ განუცხადა, 1 წლის და 1 თვის, 1 წლის და 2 თვის და 6 წლის ბავშვებს ბაქტერიული მენინგიტი - თავის ტვინის გარსის ანთება, ორგანიზმში შეჭრილი ბაქტერიის ან ინფექციის გამო განუვითარდათ. ცანავას ინფორმაციით, ამ დროისთვის ბავშვები ეპიდემიოლოგების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

**პირველი**

## 7 ნოემბერს დაგეგმილ საპროტესტო აქციას „ეროვნული ფორუმიც“ შეუერთდება

7 ნოემბერს დაგეგმილ საპროტესტო აქციას “ეროვნული ფორუმიც“ შეუერთდება. ამის შესახებ „პირველს“ პარტიის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა მაგდა პოპიაშვილმა განუცხადა. რაც შეეხება პრეზიდენტ სააკაშვილის 6 წლიანი მმართველობის შესახებ დასვნას, პოპიაშვილის განმარტებით, წარადგენენ თუ არა საკუთარ ხედვას “ფორუმელები“, დღეს, დღის ბოლომდე გადაწყდება. შეგახსენებთ, რომ 7 ნოემბერს არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიები სააკაშვილის 6 წლიანი მმართველობის შესახებ საკუთარი დასკვნის გამოქვეყნებას გეგმავენ. ოპოზიცია საკუთარ ხედვებს საზოგადოებას სასტუმრო “რედისონში“ გააცნობს. ამასთან, 7 ნოემბერს სხვა ღონისძიებებიცაა დაგეგმილი, მათ შორის 2007 წლის 7 ნოემბრის აღმნიშვნელი საპროტესტო აქცია.

**პირველი**

## ზოგად უნარებში ტესტურ დავალებათა რიცხვი შემცირდა

ზოგად უნარებში ტესტურ დავალებათა რიცხვი შემცირდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გამოცდების ეროვნული ცენტრის ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელმა სოფო დოლიძემ განუცხადა, 2010 წელს ზოგად უნარების ტესტურ დავალებათა რიცხვი წინა წლებთან შედარებით მცირე იქნება.

— ზოგად უნარებში 2010 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ტესტურ დავალებათა რიცხვი 100 ტესტიდან 80-მდე შემცირდება. აქედან 40 ტესტი ვერბალურ, ხოლო 40 მათემატიკურ ნაწილს ეკუთვნის. გამოცდისთვის განკუთვნილი დრო არ მცირდება და კვლავინდებურად სამ საათს გასტანს, — განაცხადა დოლიძემ.

მისივე თქმით, შენარჩუნდება დავალებათა ყველა ტიპი, რომელიც აბიტურიენტის უნარებს ისევე სარწმუნოდ შეამოწმებს, როგორც აქამდე ამოწმებდა.

**ინტერპრესნიუსი**

## რუსეთის საგარეო უწყება ქართულ მხარეს პროვოკაციებში ადანაშაულებს

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მტკიცებით, ქართული მხარე აგრძელებს პროვოკაციებს რუსეთის მოქალაქეებთან მიმართებაში.

საგარეო უწყების მტკიცებით, ქართული სპეცსამსახურების მორიგი სამიზნე იანოშ კენკაძე გახდა, რომელიც კრასნოდარის მხარიდან საქართველოში დედის მოსანახულებლად ჩავიდა. რუსული მხარის ინფორმაციით, 2009 წლის სექტემბერში, საქართველოში შემოსვლისას, კენკაძემ ქართველი მესაზღვრე ოფიცერის ყურადღება მიიპყრო, რომელმაც მისი მისამართი და საკონტაქტო ტელეფონები ჩაინიშნა.რუსეთის საგარეო უწყების მტკიცებით, 26 ოქტომბერს კენკაძეს საცხოვრებელ ადგილას ორმა ადამიანმა მიაკითხა, რომლებიც მას სპეცსამსახურების წარმომადგენლებად გაეცნენ, წაართვეს მას რუსეთის საზღვარგარეთის პასპორტი და გასაუბრებაზე დაიბარეს.

რუსული მხარის ვერსიით, იცოდა რა ქართული სპეცსამსახურების ბინძური მეთოდები, კენკაძემ დახმარებისთვის თბილისში შვეიცარიის საელჩოს რუსეთის ინტერესების სექციას მიაკითხა, რომლის თანამშრომლებმაც ის სომხეთის საზღვრამდე მიაცილეს.

საგარეო უწყების მტკიცებით, ქართულმა მხარემ სცადა დამუშავებული სქემის ამოქმედება, რომლის მსხვერპლნი უკვე გახდნენ რუსეთის მოქალაქეები ვლადიმირ ვახანია და პაველ ბლიაძე: პასპორტის წართმევა, გასაუბრება, რომლის დროსაც რუსეთის მოქალაქეს გასაუბრებას სთავაზობენ, და უარის შემთხვევაში ნარკოტიკის ან იარაღის ჩადება.

— ეს უკანონობა კონკრეტულ მიზანს ისახავს. როგორც საოცარი გულახდილობით განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა:“საჭიროა, რომ საქართველომ რუსეთი დაივიწყოს“. ამისთვის თითქოს ცოტაა დიპლომატიური კავშირების გაწყვეტა. საჭიროა ადამიანური, ნათესაური და იჯახური კავშირის შეწყვეტა, რომელიც საქართველოსა და რუსეთის კეთილმეზობლობას საუკუნეების განმავლობაში ამყარებს. მართლაც, ძნელია ამაზე მეტად გათელო ფეხქვეშ ფასეულობები, რომლებიც, სხვათა შორის წმიდაა ქართული საზოგადოებისთვის, — აცხადებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე
**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.**
**ტელეფონი/ფაქსი 95-25-89**
**E-mail: axtaoba@mail.ru**

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# არჩევნების ბოიკოტირებით ხელისუფლებას ვერ დავასუსტებთ

## სააკაშვილის ვადამდელი გადაყენება და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ოპოზიციის მუდმივ მოთხოვნად რჩება

**7 ნოემბერს, ყველაფრის მიუხედავად, ოპოზიცია ისევ გვერდიგვერდ დადგება. მართალია, აქციის ჩატარებას არასამთავრობოები იღებენ თავის თავზე, მაგრამ, როგორც ამბობენ, არც ოპოზიციის ლიდერები აპირებენ ჩრდილში ყოფნას.**

ნათია ხურცილავა

ოპოზიციაში ბევრმა წყალმა ჩაიარა. იყვნენ ერთადაც და ცალ-ცალკეც. ლანძღავდნენ ერთმანეთს და მემორანდუმებსაც აფორმებდნენ ამის წინააღმდეგ.

დღეს ოპოზიციას 7 ნოემბერი აერთიანებს. თუმცა, ორი წლის თავზე ეს თარიღი არ იქნება რაიმე პროცესების საწყისი. შეიძლება ასეთი საწყისი ოპოზიციაში პრაიმერის ჩატარება იყოს. ამის პირობას ზვიად ძიძიგური დებს.

ამ საკითხებზე „ახალ თაობას" „კონსერვატიული პარტიის" ლიდერი **ზვიად ძიძიგური** ესაუბრა

***— ბატონო ზვიად, 7 ნოემბერის აქციის ორგანიზატორობა რატომ ითავეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა? თქვენ თუ უერთდებით აქციას?***

— „კონსერვატორები" ვმონაწილეობთ ამ აქციის მომზადებაში საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად. რაც შეეხება თუ რატომ გადაწყდა ასე, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ეს იყოს არა პოლიტიკური პროტესტი, არამედ სამოქალაქო პროტესტი. რადგან 7 ნოემბერს ხელისუფლება არ დაპირისპირებია მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს, ის დაუპირისპირდა საკუთარ მოქალაქეებს და საკუთარ მოსახლეობას. ამიტომ, გადავწყვიტეთ, რომ სიმბოლურად ეს ყოფილიყო არასამთავრობო სექტორის, საზოგადოების მიერ პროტესტის დემონსტრირება. რაც შეეხება მონაწილეობას, რა თქმა უნდა, მონაწილეობას მივიღებთ.

***— როგორი ტიპის აქცია იქნება, რა იგეგმება?***

— ერთდღიანი აქცია იქნება, სამ საათზე დაიწყება და საღამოს დასრულდება.

***— პოლიტიკური პარტიებიდან ვინ აპირებენ აქციაზე მისვლას?***

— სხვა პოლიტიკური პარტიებიც იღებენ მონაწილეობას. ბურჯანაძის პარტია, დავითაშვილის პარტია, ოქრუაშვილის პარტია, „ფორუმი" იღებს მონაწილეობას.

***— ბატონო ზვიად, როგორია ოპოზიციის სამომავლო გეგმები, თუ მიმდინარეობს პარტიებს შორის კონსულტაციები?***

— თქვენ იცით „კონსერვატორების" გეგმის შესახებ, ჩვენი გეგმა არის პრაიმერის ჩატარება. ამასთან დაკავშირებით ოპოზიციას მივაწოდეთ ერთობის ჩვენეული ხედვა. ამ გეგმის განხორციელება უკვე შესულია გადამწყვეტ ფაზაში. ყველაზე უფრო დიდი სკეპტიკოსებიც კი, რომლებიც იყვნენ პრაიმერთან დაკავშირებით, უკვე ისინიც ხედავენ, რომ ეს არის გეგმა, რომელიც აუცილებლად განხორციელდება და აუცილებლად ექნება სათანადო პოლიტიკური მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან. ჩვენ ყველანი ვიქნებით მომსწრე ახალი პოლიტიკური პროექტის განხორციელების. პრაიმერი არის ოპოზიციური ერთობის ახალი გეგმა.

***— თუმცა, ჩვენ ვიცით, რომ ამის წინააღმდეგი იყო ალიანსი. დღეს ისინი საუბრობენ, რომ პრაიმერში ერთი პირობით მიიღებენ მონაწილეობას, თუ პრაიმერი მხოლოდ წინასაარჩევნო კანდიდატს გამოავლენს და არა ოპოზიციის ერთიან ლიდერს. ამაზე რას იტყვით?***

— ჩვენი გეგმა ორნაწილიანი იყო, რომელიც ერთსაც გულისხმობდა და მეორესაც. ამიტომ არ ვფიქრობ, რომ კანდიდატის გამოვლენა ნაკლები მნიშვნელობის არის. კანდიდატის გამოვლენაც ერთგვარად ოპოზიციური ფავორიტის გამოვლენას ნიშნავს თბილისში და არა მარტო თბილისში. ამ შემთხვევაში არ განმეორდება ის, რაც იყო საპარლამენტო არჩევნების დროს, როდესაც ოპოზიციის კანდიდატები ერთმანეთს ხმებს ართმევდნენ და ამით ხელი შეუწყვეს სახელისუფლო კანდიდატების გამარჯვებას.



***— რა შემთხვევაში მიიღებთ თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას?***

— არჩევნებსაც, აქციებსაც, სასამართლო პროცესებსაც განვიხილავთ ოპოზიციური პარტიის პოლიტიკურ არსენალში, როგორც ბერკეტებს. ამიტომ, რა თქმა უნდა, ჩვენ არჩევნებს შესაბამისად ვუყურებთ. არ მიგვაჩნია, რომ არჩევნების ბოიკოტირებით ხელისუფლებას დავასუსტებთ. ეს იქნება იმ შემთხვევაში, თუ მთელი ოპოზიციური სპექტრი განახორციელებს ბოიკოტს. რადგან მთელ ოპოზიციურ სპექტრში ასეთი ერთსულოვნება არ არის, ამიტომ ჩვენ, „კონსერვატორები", მივიღებთ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას.

***— ვინ იქნება თქვენი კანდიდატი მერის პოსტზე?***

— ამაზე მერე მოგახსენებთ, როდესაც პრაიმერის ორგანიზების პროცესებში ჩავერთვებით.

***— თუ არ ჩატარდა პრაიმერი, იმ შემთხვევაში თქვენ იქნებით კანდიდატი?***

— პრაიმერი ყველა ვარიანტში ჩატარდება, შემიძლია დაგარწმუნოთ.

***— ასეთი ერთსულოვნება არის დღეს ოპოზიციაში?***

— საკმაო რაოდენობა არის არასამთავრობო სექტორიდან, საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან, პოლიტიკური პარტიებიდან, რომლებიც არიან დაინტერესებული ამ პროექტით.

***— თუმცა, მახსოვს, როდესაც ექსპერტებთან იყო შეხვედრა, ისინი ეჭვის თვალით უყურებდნენ პრაიმერს და ამბობდნენ, რომ ახლა არ არის ამის დრო...***

— ყველა სიახლეს ახლავს ეს უბედურება, ეჭვის თვალით უყურებენ თავიდან. ამიტომაც დაგვჭირდა ამდენი დრო. რამდენიმეკვირიანი აქტიური კონსულტაციები გვაქვს, რომ ეს პროექტი ყველასთვის თუ არა ქართული პოლიტიკის უმეტესი ნაწილისთვის მისაღები რომ ყოფილიყო.

***— გამოდის, რომ თქვენი შეთავაზების მეორე ნაწილს ხსნით, რომელიც საერთო ლიდერის გამოვლენას ეხება...***

— არა, არ ვხსნით. შევქმნით სამუშაო ჯგუფებსაც კონკრეტულ ორგანიზაციებთან ერთად. შემდეგ უკვე შევაჯერებთ და ოპტიმალურ ვარიანტს გამოვიტანთ, თუ როგორი პროგრამა გავა. ვფიქრობ, შეჯერების პროცესი მალე დასრულდება.

***— ვინ არის თანახმა ამ იდეის? „ფორუმი" თუ არის თანახმა?***

— ნება მომეცით, რომ არ დავასახელო ვინ არის თანახმა და ვინ არა, რადგან ეს პროცესებს ხელს შეუშლის. როდესაც დაიწყება პროცესი, მაშინ, რა თქმა უნდა, თქვენს, ჟურნალისტების გარეშე, ამის გახმოვანება არ მოხდება. თქვენ პირველი გაიგებთ, ვინ მიდის პრაიმერის გზით, და ვინ არა.

***— როდისთვის იგეგმება პრაიმერის ჩატარება?***

— ჩვენ გეგმა გვაქვს, მაგრამ არ გვინდა ეს პოლიტიკური პარტნიორების გარეშე განვაცხადოთ. ამ განცხადებას ერთად გავაკეთებთ.

***— იანვრამდე დასრულდება ეს პროცესი?***

— ეს არ არის მხოლოდ „კონსერვატორების" გასაჟღერებელი თემა. ყველა პარტიამ ერთად უნდა გავახმოვანოთ და ამას ერთად გავაკეთებთ.

***— ბატონო ზვიად, რამდენად რეალურია ისევ ოპოზიციის ერთიანობაზე საუბარი?***

— ამას ერთად ვნახავთ.

***— ე.ი. გჯერათ ამ იდეის, რადგან ასე ლობირებთ...***

— მჯერა, რა თქმა უნდა. ერთობის გარეშე ჩვენ ვერ წავართმევთ ხელისუფლებას ვერც ერთ ბერკეტს და, საერთოდ, ამ ხელისუფლებას ვერ შევცვლით.

***— ოპოზიციამ უნდა შეცვალოს თავისი მოთხოვნა თუნდაც ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით?***

— სააკაშვილის ვადამდელი გადაყენება და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ოპოზიციის მუდმივ მოთხოვნად რჩება. ეს არ უშლის ხელს, რომ სხვა პოლიტიკურ თემებზე იაქტიუროს ოპოზიციამ, მაგრამ ეს არის ჩვენი მოთხოვნა, რომელსაც ყველამ ერთად მოვაწერეთ ხელი შარშან თებერვალში, როდესაც დიდი ოპოზიციური მემორანდუმი შედგა. ამ მემორანდუმში ჩამოყალიბებული მოთხოვნების ერთგული ვრჩებით.

***— ანუ დღეს ოპოზიცია თავის მოთხოვნებს არ ცვლის?***

— ეს მოთხოვნები უცვლელი რჩება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყოველდღიური პოლიტიკური პროცესი ამის გამო გაჩერდება და სხვა მოთხოვნები ოპოზიციას არ ექნება. ჩვენთვის ისევ აქტუალურია ტელევიზიების განთავისუფლების და პოლიტპატიმრების განთავისუფლების მოთხოვნა. ისევ აქტუალურია სასამართლოს განთავისუფლება.

***— ეს პროცესი ქუჩის აქციებს განიხილავს?***

— რა თქმა უნდა. მე ვფიქრობ, რომ ეს პროცესი ძალიან მწვავე და რადიკალური უნდა იყოს.

***— თუმცა, არა პერმანენტული...***

— ისევ 4 თვე ვიყოთ ქუჩაში, ეს არ იქნება ამ სიტუაციის შესაფერისი.


გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან", „მაგთიდან", „ბილაინიდან" ნომერზე — **30-30** და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.
ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე **30-30** და ფონდ „იავნანას" ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

**შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!**

*ფონდი „იავნანა" გაზეთი „ახალი თაობა"*


## უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში იუშჩენკოს გამარჯვება გაუჭირდება

უკრაინაში 2010 იანვარში დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებს საინტერესოს უწოდებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე. მისი თქმით, ეს არჩევნები კიდევ ერთხელ წარმოაჩენს უკრაინაში მიმდინარე, საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესს.



— უკრაინა დიდი ქვეყანაა და არაერთგვაროვანი საზოგადოებრივი განწყობებით, დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნები კი იქნება ქვეყნისთვის განახლებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი საწყისი, — აცხადებს თორნიკე შარაშენიძე.

მისივე თქმით, ძნელია იმსჯელო, თუ ვინ შეიძლება გახდეს უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული, რადგანაც ქვეყანაში წინასაარჩევნო კამპანია ჯერ კიდევ ახალდაწყებულია და ამჟამად მოსახლეობას უფრო სხვა პრობლემა — ვირუსული ინფექციის შედეგები აღელვებს. მიუხედავად ამისა, ექსპერტი ფიქრობს, რომ მომაალ არჩევნებში მოქმედ პრეზიდენტს, ვიქტორ იუშჩენკოს გამარჯვება გაუჭირდება.

— იუშჩენკო ვერ გაიმარჯვებს. ეს უკვე დიდი ალბათობით შეიძლება ითქვას. საპრეზიდენტო შეჯიბრი, ძირითადად" ორ კანდიდატს შორის, პრემიერ ტიმოშენკოსა და პარტია „რეგიონების" ლიდერ იანუკოვიჩს შორის გაიმართება. ძნელია ითქვას, ვინ შეიძლება იყოს მათ შორის გამარჯვებული, — ამბობს თორნიკე შარაშენიძე.

თორნიკე შარაშენიძე უკრაინის ახალ პოლიტიკურ პროცესში რაიმე რადიკალურ ცვლილებებს არ ელოდება. "უკრაინაში მოსალოდნელი არ არის მკვეთრი პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რომელმაც, შესაძლოა, გავლენა იქონიოს უკრაინის საგარეო ორიენტირებასა და ვექტორზე. თვით იუნუკოვიჩიც, რომელიც გამოცდილი პოლიტიკოსია, გამარჯვების შემთხვევაში, რადიკალურ ნაბიჯებს მოერიდება", — აცხადებს შარაშენიძე.

ექსპერტის აზრით, ცვლილებები მოსალოდნელი არ არის საქართველოსთან პარტნიორობასა და თანამშრომლობის კუთხითაც.

— საქართველოსთვის კეთილმეზობლური ურთიერთობა გაგრძელდება. უკრაინა არ აპირებს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ცნობის უგულებელყოფას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მასაც, მთელი სიცხადით დაუდგება ყირიმის პრობლემა. ამიტომ, კარგი სახელმწიფოებრივი ურთიერთობები შენარჩუნდება და გაგრძელდება, — აცხადებს ექსპერტი.

თორნიკე შარაშენიძის თქმით, უკრაინის ნატო-ში გაწევრიანებაც მას შემდეგ იქნება გადაწყვეტილი, როცა მოსახლეობა საკითხს რეფერენდუმზე მხარს დაუჭერს. "ეს საზოგადოებრივი კონსენსუსის შედეგი იქნება", — განაცხადა ექსპერტმა.

მედიანიუსი

## „სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა საქართველოს განვითარებისთვის" ოფიციალურად დაფუძნდა

გუშინ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს ახალი პოლიტიკური პარტია შეემატა. პარტიის „სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა საქართველოს განვითარებისთვის" დამფუძნებლები ქართველი მეცნიერები და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები არიან. პარტიას სათავეში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტოლოგი გია ჟორჟოლიანი ჩაუდგა.



პრეზენტაციაზე, რომელსაც თითქმის ყველა პოლიტიკური სუბიექტის წარმომადგენელი, არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი და ექსპერტები დაესწრნენ, პარტიის პრინციპები, მიმართულებები და ხედვა გაცხადდა.

როგორც გია ჟორჟოლიანმა განაცხადა, გლობალისტური ნეოლიბერალიზმისა და ნეოკონსერვაიზმის რადიკალური ფორმების გაბატონებამ, არასტაბილურ, საბჭოთა ეპოქის რთული მემკვიდრეობისა და უამრავი გამოწვევების წინაშე მდგომ საქართველოში მრავალი უარყოფითი შედეგი მოიტანა.

საქართველოსთვის ასეთი შედეგებია: ავტორიტარული მმართველობისკენ გადახრა, სოციალური უთანასწორობისა და ოლიგარქიის დამკვიდრება, კულტურული ერთგვაროვნების საფრთხე და სხვა. პრეზენტაციაზე პარტიამ დოკუმენტურად პროგრამული პრინციპები წარმოადგინა, ხოლო სამოქმედო დებულებას პარტიის პირველივე ყრილობაზე დაამტკიცებენ. როგორც თავდაპირველ დოკუმენტშია ნათქვამი, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკურ-კულტურული და რეგიონალურ-ინდივიდუალური განვითარება თაობათა სოლიდარობას, თავისუფლების, თანასწორობის, სამართლიანობის პირობებს უნდა დაეფუძნოს.

— საქართველო არის ევროპული ქვეყანა და ჩვენი განვითარების ბუნებრივი გზა არის ევროპული განვითარების გზა. ხაზგასმა იმისა, რომ საქართველოს არჩევაანი არის ევროპული, გულისხმობს არა ვინმესადმი ბრმად მიბაძვას, არამედ პასუხისმგებლობის აღებას საკუთარ ბედ-იღბალზე, თვითგანვითარებაზე ზრუნვას, — ნათქვამია პროგრამაში.

ამავე პროგრამაში მკაფიოდაა წარმოჩენილი პარტიის ხედვა სოლიდარულ საზოგადოებასა და სოციალურ სამართლიანობაზე, საბაზრო ეკონომიკის აუცილებლობაზე, განათლების ჰუმანისტურ ღირებულებებზე, მმართველობის ფორმებზე, საგარეო პოლიტიკის ორიენტირებაზე. ახალი პარტია მზადყოფნას გამოთქვამს აქტიური მონაწილეობა მიიღოს გაცხადებული პრინციპების განხორციელებასა და დაცვაში. პარტიაში ფიქრობენ, რომ სწორედ ამ მოტივით, გამორიცხული არ იქნება მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი ვთითმმართველობის არჩევნებშიც.

მედიანიუსი

## სტიქიით დაზარალებულებს საერთაშორისო ორგანიზაციები დაეხმარებიან

კახეთში სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას მსოფლიო ბანკის და გაეროს სასურსათო პროგრამის ჯგუფები დაეხმარებიან, — ამის შესახებ რადიო „ჰერეთს" კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში განუცხადეს.

რა სახის პროდუქტები შევა დახმარების პაკეტში ჯერ უცნობია, თუმცა გუბერნატორის მოადგილე კახეთში გიორგი სიბაშვილი აცხადებს, რომ დახმარების მიმღებთა რიცხვი და პროდუქტების სახეობა მას შემდეგ გადაწყდება, რაც რეგიონალური განვითარების სამინისტრო მდგომარეობას ადგილზე შეისწავლის. ოფიციალური მონაცემებით, კახეთში სტიქიამ საკმაოდ დიდ მასშტაბებს მიაღწია და 5 მუნიციპალიტეტი - ახმეტა, თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი და გურჯაანი მოიცვა. წინასწარი ინფორმაციით სტიქიით გამოწვეული ზარალი 2 მილიონ ლარს აჭარბებს.

მედიანიუსი

# ჩვენს სადეპუტატო ხელფასებს არავის დავუთმობთ!

## ნათელაშვილი სააკაშვილს გაეროს ოფისის წინ კარვის გაშლას ურჩევს

**ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამალვაში ამხელს და აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გამიზნულად ხდება იმის დამალვა, რომ გაეროს საერთაშორისო სასამართლო 1 დეკემბერს იწყებს სერბეთის სარჩელის განხილვას კოსოვოს დამოუკიდებლობის უკანონობაზე.**

შორენა კოწოწაშვილი

— უდავო ჭეშმარიტებაა, რომ არა კოსოვოს პრეცედენტი აფხაზეთისა და ცხინვალის დეიურე აღიარება არასოდეს არ მოხდებოდა. შესაბამისად, საქართველო სამ ნაწილად დაშლას გადაურჩებოდა, — აცხადებს **შალვა ნათელაშვილი** და დარწმუნებულია, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ რუსეთს გამიზნულად დაუთმო აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი.

ამ დასკვნამდე ლეიბორისტული პარტიის ლიდერი იმ პოლიტიკიდან გამომდინარე მიდის, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს და რომელიც, როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, რეალურად ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგობაში გამოიხატება.

— გაეროს საერთაშორისო სასამართლოში იწყება სერბეთის სარჩელის განხილვა კოსოვოს დამოუკიდებლობის უკანონობაზე. ამ საჩივარს შეუერთდნენ ევროკავშირის წევრი ესპანეთი, კვიპროსი, რუმინეთი მზადაა საბერძნეთი და სხვა ქვეყნები. ჩვენთვის ყველაფერს წამები წყვეტს. მოვუწოდებთ სააკაშვილს: თუ მასში კიდევ დარჩა ერთი წვეთი ქართული სისხლი, ამ სასამართლოში დაუყოვნებლივ დაუჭიროს მხარი სერბეთს ამ სარჩელში და ასევე თვითონაც სასწრაფოდ შეიტანოს სარჩელი ამ ორგანოში აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარებათა უკანონობაზე, — განაცხადა ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ლეიბორისტული პარტია აქტიურ მუშაობას იწყებს საერთაშორისო დონეზე იმისათვის, რომ მოხდეს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის აღიარების გაუქმება. ამ მიზნით ლეიბორისტები კონსულტაციებს მოსკოვშიც გამართავენ.

— ჩვენ ამ დღეებში ვიწყებთ კონსულტაციებს ვაშინგტონსა და მოსკოვში, რათა ორივე ამ სახელმწიფომ გააუქმოს სეპარატისტული რეგიონების აღიარება ბალკანეთიდან საქართველოს ტერიტორიათა ჩათვლით, — აღნიშნა შალვა ნათელაშვილმა.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სასამართლოში სერბეთის სარჩელის განხილვა კოსოვოს აღიარების უკანონობაზე 1 დეკემბერს იწყება. ნათელაშვილის თქმით, თუ არა კოსოვოს აღიარების პრეცედენტი, რაც ბუშის ადმინისტრაციის ინიციატივით შეიქმნა, აფხაზეთს და ცხინვალს არავინ აღიარებდა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, რაც არ უნდა ომი ატეხილიყო. იმიტომ, რომ იქ ომი ისედაც 20 წელი მიდიოდა, მაგრამ არავის უღიარებია. მათ შორის, პირველ რიგში, რუსეთს.



— როგორც კი რუსეთს საშუალება მიეცა და ხელმოსაჭიდი ნახა კოსოვოს აღიარების სახით დასაყრდნობად გამოეყენებინა, იმავე წუთს გამოიყენა. ანუ საქართველოს იურიდიული დაშლა კოსოვოდან დაიწყო და არა აგვისტოდან. ამიტომ სერბეთმა შეიტანა სარჩელი. ამ სარჩელის განხილვა იწყება 1 დეკემბერს. რაც ყველაზე სასიამოვნოა და იმედის მომცემი, სარჩელს თანამოსარჩელეებად შეუერთდნენ კვიპროსი, რუმინეთი, ესპანეთი. სიტუაცია არის 50/50-ზე. თუ გაეროს სასამართლომ უარი თქვა ანუ მიიღო გადაწყვეტილება კოსოვოს აღიარების უკანონობაზე, საერთაშორისო სამართალთან ამ აღიარების წინააღმდეგობაზე, გაეროს პრინციპებში დაფიქსირებულ ნორმებთან მის კონკურენციაზე, ეს ნიშნავს, რომ აფხაზეთი და ცხინვალი გვიბრუნდება. ეს პრეცედენტი აქაც გავრცელდება. როცა ამ განხილვის დროს სააკაშვილი ყატარში იქნება ფულის გათეთრებისთვის და არ დაუჭერს მხარს სარჩელს გაეროს სასამართლოში, არაფერი აღარ დაგვიბრუნდება, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა და ქვეყნის პრეზიდენტს მოუწოდა, თავი დაანებოს ბიასთან ერთად შეიხებთან სიარულს.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერის აზრით, სააკაშვილი ყველაზე მეტად უნდა აქტიურობდეს. ის უნდა ჩავიდეს გაეროში და კარავიც კი უნდა დადგას იმისათვის, რომ მსოფლიოს აჩვენოს, რომ მარტო გაქცევა კი არა, სხვა რამეც შეუძლია.

რაც შეეხება იმას, თუ როდის იქნება გაეროს საერთაშორისო სასამართლოს მიერ სერბეთის სარჩელთან დაკავშირებით გადაწყვეტილება გამოტანილი, როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ამ გადაწყვეტილებას 2010 წლის იანვრისთვის ელოდებიან.

— ესპანეთი და რუმინეთი შეუერთდნენ სერბეთის სარჩელს და საქართველოს პრეზიდენტი თავის ხალხს უმალავს ამ მოვლენას და ყატარში და ემირატებში დადის ფულის გასათეთრებლად. არ დაიჯეროთ, რომ სააკაშვილს აქ ინვესტორები ჩამოჰყავს. დაგროვილი ფულის გადანაწილება ხდება იმ ოფშორულ ზონებში, რომელიც იქ არის განლაგებული, — აღნიშნა ნათელაშვილმა და იქვე დაუმატა: „სააკაშვილის ხელისუფლება საგულდაგულოდ მალავს ამ მნიშვნელოვან ფაქტს, რაც გაერთიანებული ერების საერთაშორისო სასამართლოში ხდება. სად არის სააკაშვილი, რატომ არ უერთდება ამ სარჩელს? აბა, როგორ უნდა დაიბრუნოს დაკარგული ტერიტორიები — ომით? ომით ვერაფერს ვერ დავიბრუნებთ. უნდა დავიბრუნოთ სამართლებრივ-დიპლომატიური გზებით".

ლეიბორისტები დარწმუნებული არიან, რომ ამ ფაქტს ხელისუფლება მიზანმიმართულად ასაიდუმლოებს, რათა ვილაცეებს არ ეწყინოს.

— სააკაშვილს სერბეთის მსგავსად საერთაშორისო სასამართლოში სარჩელი არ შეუტანია. რომ შეეტანა, განხილვა დაიწყებოდა. არც თვითონ შეიტანა სარჩელი და არც სერბეთის სარჩელს შეუერთდა ანალოგიურ პრეცედენტზე. დასკვნა ერთია: მოლაპარაკებულია რუსეთთან, რომ ეს ტერიტორიები მას გადასცეს. რეალურად ეს ტერიტორიები სააკაშვილმა გაყიდა. სხვა რა დასკვნა უნდა გავაკეთოთ? სარჩელის დაწერა ხომ შეუძლიათ სააკაშვილის დაქირავებულ იურისტებს, რომლებიც ასი ათასობით ლარს იღებენ. რატომ არ დაწერეს სარჩელი?! ე.ი. სააკაშვილი შეეგუა ამ ტერიტორიების დაკარგვას. ეს არის ძალიან სერიოზული რეალობა, — აღნიშნა შალვა ნათელაშვილმა.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა მედიის წარმომადგენლებს სთხოვა, სერიოზულად იქნეს გაშუქებული ეს ინფორმაცია, რათა საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდეს შეუერთდეს სერბეთის სარჩელს; შეუერთდეს იმ პროცესს, რომელმაც მართლა შეიძლება საქართველო მიიყვანოს რაღაც კონკრეტულ შედეგამდე.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# 2 მილიონამდე მოქალაქე შიმშილის ზღვარზეა

## ბაღათურია პენსიების გაზრდას ითხოვს

**„თავისუფლების" ლიდერი კონსტანტინე გამსახურდიას სადეპუტატო უფლებამოსილება აღუდგა. პარლამენტში გუშინ პირველივე საკითხად გამსახურდიასთვის მანდატის აღდგენის საკითხი განიხილეს. რეგისტრაცია 98-მა დეპუტატმა გაიარა. გამსახურდიას უფლებამოსილების ცნობას 95-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი არც ერთი არ იყო.**

ნანა მიშელაშვილი

მას შემდეგ, რაც გამსახურდიას უფლებამოსილება აღუდგა, მან სხდომათა დარბაზში გადაინაცვლა. კონსტანტინე გამსახურდია ჯონდი ბაღათურიას გვერდით დაჯდა.

კონსტანტინე გამსახურდია, ისევე, როგორც ჯონდი ბაღათურია, დამოუკიდებელი დეპუტატებია. მათ გარდა, პარლამენტში კიდევ რამდენიმე დამოუკიდებელი დეპუტატია. შეიქმნება თუ არა პარლამენტში ახალი ფრაქცია, ეს კვლავ გადასაწყვეტია. ფრაქციის შექმნას 6 დეპუტატი სჭირდება, დამოუკიდებელი დეპუტატების რიცხვი, მართალია, ექვსია, მაგრამ დამოუკიდებელ დეპუტატებს შორის მაინცდამაინც იდილიური ურთიერთობა არ არის. სწორედ ამ უთანხმოების გამო ახალი ფრაქციის შექმნა ამ ეტაპზე ვერ ხერხდება.

პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე ძირითადად სოციალურ საკითხებზე კეთდებოდა განცხადებები. დეპუტატების ძირითადი საკამათო თემა ჯანდაცვისა და სოციალური საკითხები იყო. გუშინ საპარლამენტო მიკროფონები „ქრისტიან-დემოკრატებმა" „დაიპყრეს". მათ ძირითადად ჰოსპიტალურ სექტორში არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრეს და „ბლოკ ჯორჯიას" დაუპირისპირდნენ.

„ქრისტიან-დემოკრატმა" მაგდა ანიკაშვილმა პარლამენტში გამოსვლისას აღნიშნა, რომ ზოგიერთ საავადმყოფოში საშინელი ანტისანიტარიაა და ჰოსპიტალებში ჯანმრთელი ადამიანის შესვლაც კი სახიფათოა, არათუ ავადმყოფის. ანიკაშვილის თქმით, „ბლოკ ჯორჯია" არასწორ პოლიტიკას ატარებს და უფლებამოსილი არ არის, რაიმე გამოასწოროს.

ანიკაშვილი ამბობს, რომ კომპანიას არც ერთი ვალდებულება არ შეუსრულებია. ანიკაშვილს აინტერესებს ვინ მფარველობს „ბლოკ ჯორჯიას", რომ კომპანიასთან მთავრობა გაფორმებულ ხელშეკრულებას არ აუქმებს.

ანიკაშვილის ამ განცხადებას პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ თოიძე გამოეხმაურა. თოიძის განმარტებით, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტში ორ კვირაში ქვეყნის ჰოსპიტალურ სექტორში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით სხდომა გაიმართება.



— ამ 3 წლის განმავლობაში ქვეყანაში რამდენიმე თანამედროვე ტიპის ჰოსპიტალი აშენდა, სადაც დანერგილია თანამედროვე მეთოდები და სტანდარტები. ძალიან უნდა მოძებნო იქ, რომ ჭუჭყი და ანტისანიტარია ნახო, — განაცხადა ოთარ თოიძემ. მან იქვე დაამატა, რომ ქვეყანაში ასევე არის ძველი, ამორტიზებული საავადმყოფოებიც.

„ბლოკ ჯორჯიას" მისამართით სკანდალური განცხადება გააკეთა ოპოზიციონერმა ვიცე-სპიკერმა ლევან ვეფხვაძემ. ეს განცხადება ვიცე-სპიკერმა პარლამენტის მიკროფონიდან გააკეთა.

ვეფხვაძის თქმით, მას სკანდალური ინფორმაცია მიაწოდეს ადამიანებმა, რომ„ბლოკ ჯორჯიას" ხელმძღვანელობამ სამედიცინო პერსონალი დაიბარა და გამოუცხადა, რომ „ქრისტიან-დემოკრატები" „ბლოკ ჯორჯიას" იმიტომ ებრძვიან, რომ ამაში ვიღაცამ რამდენიმე მილიონი ლარი გადაიხადა.

— „ბლოკ ჯორჯიას" ხელმძღვანელებო, ეს თქვენს მორალურ და ზნეობრივ სახეზე ნამდვილად მეტყველებს. ძალიან ცუდია, რომ ეს კომპანია, რომელსაც ასეთი ტიპის მენეჯმენტი ჰყავს, საქართველოში მუშაობს და მას კიდევ ხელს უწყობენ, რომ ბოლომდე დაანგრიოს ჯანდაცვის სისტემა, — ასეთია ლევან ვეფხვაძის პოზიცია.

საკმაოდ მწვავე იყო ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერ გიორგი თარგამაძის პოზიცია, რომელმაც „ბლოკ ჯორჯიასთვის" ხელშეკრულების გაუქმება მოითხოვა.

— ეს მოთხოვნა დღითიდღე კიდევ უფრო მეტად გამწვავდება, რადგან მწვავდება იმ ადამიანების მდგომარეობა, რომელთაც საქართველოს ჰოსპიტალურ სისტემაში მუშაობა უწევთ ან არიან პაციენტები, — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

ჰოსპიტალურ სექტორში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმა. მისი თქმით, სახელმწიფომ უფრო დეტალურად უნდა ჩაიხედოს, რა ხდება ჰოსპიტალურ სექტორში და ეს პროცესი უკვე დაწყებულია.

— ჩვენ გვქონდა რამდენიმე შეხვედრა პრემიერთან და უახლოეს პერიოდში, ალბათ, გამოცხადდება ის ახალი ხედვა, რომელიც ჰოსპიტალური სექტორის რეფორმას შეეხება, — აღნიშნა გიგი წერეთელმა. მისივე თქმით, შესაძლოა რომელიმე კომპანიაზე შეტევა ადვილია, თუმცა, კერძო კომპანიაზე ამგვარი შეტევა სასურველი არ არის.

ვიცე-სპიკერის აზრით, შესაძლოა ობიექტური ფაქტორები იყო, რის გამოც ამა თუ იმ კომპანიამ თავისი დანაპირები ვერ შეასრულა. გიგი წერეთელი ამბობს, რომ თუ ვინმე ობიექტური ან სუბიექტური ფაქტორის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებას, ეს პირობები გადახედილ უნდა იქნეს და სახელმწიფოს მოქმედების გეგმა უნდა ჰქონდეს.

— სანამ ჩვენ რაღაც ვერდიქტს გამოვიტანდეთ, მით უმეტეს, დავიწყებდეთ საუბარს, რომ რომელიმე კომპანია საქართველოდან წავიდეს. მანამდე, ალბათ, უნდა ვიკითხოთ, რა გაკეთდა, რისი გაკეთება შეიძლება, — აღნიშნა გიგი წერეთელმა და იქვე დაამატა, რომ ძალიან ბევრ კომპანიას მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და რუსეთის ომის გამო პრობლემები შეექმნა.

ვიცე-სპიკერმა წერეთელმა მოითხოვა, რომ მთავრობის პოზიცია მოისმინონ და პარლამენტში მოწვეულ იქნენ ჯანდაცვის მინისტრი და პრემიერი.

საპარლამენტო ოპოზიციის განცხადებებს უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი გამოეხმაურა. მან „ქრისტიან-დემოკრატები" კერძო კომპანიების შერჩევითი ლობირების გამო გააკრიტიკა.

უმრავლესობის ლიდერის თქმით, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო ამა თუ იმ კომპანიამ ვერ შეძლო იმ თანხების მოზიდვა, რაც დაგეგმილი ჰქონდა იმისათვის, რომ საავადმყოფოები აეშენებინა.

— მთავრობა ძალიან აქტიურად მუშაობს, ჯანდაცვის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, პრემიერ-მინისტრი, იმისათვის, რომ საინვესტიციო თანხები მოიზიდონ, რათა აშენდეს საავადმყოფოები. ეს მართლა უმძიმესი საკითხია, ჩვენ ყველა გვერდში უნდა ამოვუდგეთ, ეს ფირმა იქნება თუ სხვა ფირმა, იმისათვის, რომ პროგრამა ბოლომდე მივიდეს და საავადმყოფოები აშენდეს, — განაცხადა პეტრე ცისკარიშვილმა.

უმრავლესობის წევრმა „ქრისტიან-დემოკრატებს" უთხრა, რომ თუ კერძო სექტორს მხარს უჭერენ, მაშინ მათ მხარში უნდა ამოუდგნენ და არა სელექციურად უტევდნენ ან იცავდნენ ამა თუ იმ კომპანიას.

მართალია, რომელიმე კომპანიის მისამართით განცხადება არ გაუკეთებია, თუმცა სოციალურ საკითხზე ისაუბრა „ქართული დასის" ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ. მან პენსიის საარსებო მინიმუმთან გათანაბრება მოითხოვა.

ბაღათურიამ მოითხოვა, რომ პენსია სამ ეტაპად გაიზარდოს და 150 ლარს ანუ საარსებო მინიმუმს გაუთანაბრდეს.

ბაღათურიამ განცხადებით მიმართა პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს. ბაღათურიას თქმით, ქვეყანაში მძიმე ფინანსური და ეკონომიკური კრიზისია, 900 ათასი ადამიანი სიღარიბის ზღვარს მიღმა პროგრამაშია რეგისტრირებული და 600 ათასი ადამიანი კიდევ ჩართვას ითხოვს.

— 2 მილიონამდე მოქალაქე შიმშილის ზღვარზეა. ამ დროს პრეზიდენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება ოპოზიციასთან პოლიტიკური კინკლაობით არის დაკავებული. ბოლო პერიოდში, რამდენიმე თვეა, პრეზიდენტი, როგორც ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე, ჩართულია აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად საარჩევნო კამპანიაში, — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

მისივე თქმით, სახელმწიფო ბიუჯეტი ძალიან ჰგავს საარჩევნო კამპანიის ბიუჯეტს და არა შეჭირვებულ სახელმწიფოს ბიუჯეტს, რომელსაც ამდენი დამშეული ადამიანი ჰყავს.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ბალაფშსა და ხაჯიმბას აფხაზური ენის ცოდნაში შეამოწმებენ

## აფხაზეთის პრეზიდენტობის სურვილი 5 ადამიანს აქვს

თეა მარხვაიე

**ორი დღის წინ აფხაზურ ცესკოში პრეზიდენტობის კანდიდატების წარდგენა შეწყდა. ცესკოში კანდიდატურების წარდგენა 13 ოქტომბერს დაიწყო. ამ დროის განმავლობაში 6 კანდიდატია იქნა წარდგენილი, თუმცა ერთ-ერთმა მათგანმა თავისი საბუთები მეორე დღესვე გამოიტანა. ეს 1964 წელს დაბადებული ჯემალიკ აიბა იყო.**

დანარჩენები ჯერჯერობით ბოლომდე აპირებენ ბრძოლას. „შესანიშნავი ხუთეულის" ყველა წევრი წარმატებაში დარწმუნებულია, უფრო ზუსტად, ხმამაღლა ასე აცხადებენ.

არადა, სავსებით შესაძლებელია, ამ „შესანიშნავ ხუთეულს" ვიღაცა გამოაკლდეს. ეს პროცესი გუშინ დაიწყო და 13 ნოემბრამდე გასტანს. პრეზიდენტობის კანდიდატებს მხოლოდ 13 ნოემბრის შემდეგ შეეძლებათ საარჩევნო კამპანიის დაწყება. მანამდე კი მათ მთელი რიგი შემოწმებები უნდა გაიარონ.

ყველაზე მთავარი გამოცდა აფხაზურ ენაში ტარდება. აფხაზეთის პრეზიდენტობის მსურველმა აუცილებლად უნდა იცოდეს აფხაზური ენა. იციან თუ არა პრეზიდენტობის მსურველებმა აფხაზური, სათანადო ტესტებით გაირკვევა. ის კანდიდატი, რომელიც ამ ტესტებზე სათანადოდ ვერ უპასუხებს, ავტომატურად თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდება.

აფხაზური ენის ცოდნასთან დაკავშირებით 5 წლის წინ უკვე ატყდა სკანდალი. პრეზიდენტობის მსურველებს მაშინაც ჩაუტარეს ტესტირება. ეს ტესტები ალექსანდრე ანქვაბმა ვერ ჩააბარა და ნაადრევად გამოეთიშა პრეზიდენტობისთვის ბრძოლას.

ამის გამო აღმოჩნდა მოგვიანებით ის ბაღაფწის გუნდში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი არჩევნებში ერთმანეთს დიდ კონკურენციას გაუწევდნენ, რითაც ორივე მათგანისთვისაც და ჩვენთვისაც ავადსახსენებელი რაულ ხაჯიმბა ისარგებლებდა.

საინტერესოა, ამ არჩევნების წინ ვის დაუწუნებენ აფხაზური ენის ცოდნას. ხაჯიმბასა და ბაღაფშს ეს ტესტები უკვე ჩატარებული აქვს. აი, ბესლან ბუტბამ კი შეიძლება ანქვაბის ბედი გაიზიაროს. ანქვაბის მსგავსად, ისიც დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა რუსეთში, ბიზნესით იყო დაკავებული და შეიძლება აღარც კი ახსოვს, რომ ინდაური აფხაზურად „ავიშვიშ" არის, ფეხბურთი — „შაპილამიპილ", თვალის ექიმი „აოკულისტი" და ა.შ.



რადგან გვარების ჩამოთვლაზე გადავედით, ბარემ ვთქვათ, ვის მოუწევს აფხაზური ენის დემონსტრირება. ბაღაფშის, ბუტბასა და ხაჯიმბას გვარები უკვე ვახსენეთ. მათ გარდა, ამ ტესტების შევსება ზაურ არძინბასა და ვიტალი ბღანბას მოუწევთ.

ეს უკანასკნელი ძალიან განათლებული ადამიანია, მართალია, უმუშევარია, მაგრამ, როგორც ამბობენ, ეს დროებითი მოვლენაა, კარგად სცოდნია აფხაზური ენაც. თუ იქაურებს დავუჯერებთ, ისეთი კარგი ფილოსოფოსია, სულ აფხაზურად შეუძლია თურმე სუნ ძის ტრაქტატების წაკითხვა.

რაც შეეხება არძინბას, აფხაზური, წესით, მანაც უნდა იცოდეს. აფხაზური მედიის აზრით, აფხაზურის ცოდნა არც ერთს გამოადგება რამეში და არც მეორეს. რუსი ექსპერტების განმარტებით, ზ. არძინბაც და ბღანბაც ამ არჩევნებში იმიტომ მონაწილეობენ, რომ ამ ყველაფერს დემოკრატიულის იერი მიეცეს.

ამას ქართველი ექსპერტებიც ეთანხმებიან. თბილისში მიიჩნევენ, რომ აფხაზები რუსების დახმარებით ყველაფერს გააკეთებენ, რათა ეს არჩევნები ობიექტურად ჩატარდეს. რუსეთი ყველაფერს გააკეთებს, რომ ამ არჩევნებს საერთაშორისო დამკვირვებლებიც დაესწრონ. პრინციპში, ერთ-ორ ნიკარაგუელს როგორ ვერ ჩამოიყვანენ მანაგუადან. მერე აქ ერთი ორ ჭიქა მანაგუას დაალევინებენ და არჩევნებიც კარგად მოეჩვენებათ.

პრეზიდენტობის კანდიდატების მსურველები აგიტაცია-პროპაგანდას ოფიციალურად 13 ნოემბრიდან დაიწყებენ. ეს ყველაფერი არაოფიციალურად მათ უკვე ზაფხულიდან აქვთ დაწყებული.

რაულ ხაჯიმბა, მართალია, ისევ კრემლის ფავორიტად ითვლება, მაგრამ მას გამარჯვებას არავინ უწინასწარმეტყველებს, რადგანაც მას ხმებს ბესლან ბუტბა წაართმევს.

არადა, ერთი პერიოდი საქმეს ისეთი პირი უჩანდა, ეს ბიჭები უნდა გაერთიანებულიყვნენ. ამ ზაფხულს მათ ერთად ჩაატარეს ბაღაფშის საწინააღმდეგო ყრილობა, რომელმაც ჩვენი ხელისუფლება აღაფრთოვანა. იმ ყრილობაზე აფხაზურმა ოპოზიციამ ანტირუსული განცხადებებიც კი გააკეთა.

იმ დროისათვის აფხაზეთსა და რუსეთს შორის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის მიხედვითაც აფხაზებს აფხაზეთში ფაქტიურად არაფერი აღარ ეკუთვნით. საუბარია სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებზე. პლიაჟზე კოტრიალი და ფსოუს წყლის დალევა ჯერჯერობით ისევ შეუძლიათ.

თბილისში ამ მოჩვენებითი ანტირუსული განწყობით გაიხარეს. საქმე იქამდე მივიდა, ჩვენმა ხელისუფლებამ ლამის ხაჯიმბას დაუჭირა მხარი. მაგრამ, ჩვენს ბედად, სოხუმში პუტინი ჩავიდა. ხაჯიმბას მაშინვე დაავიწყდა ადრე წაყენებული პრეტენზიები და რუსეთი ჩვენი ძმააო, აკივლდა.

ანტირუსული განწყობა აფხაზურ ოპოზიციას არ გამოუვიდა და, როგორც ექსპერტები განმარტავენ, ეს უფრო ბაღაფშის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებებია, ვიდრე რუსეთის.

ჯერ კიდევ სანამ ერთად იყვნენ, ხაჯიმბამ და ბუტბამ ბაღაფშს შარი მოსდეს, შენ გამო აფხაზი ხალხი რუსების წინააღმდეგ განეწყოო.

ახლა ხაჯიმბასა და ბუტბას ბაღაფშზე მეტად ერთმანეთთან აქვთ ანგარიშები გასასწორებელი. დევნილობაში მყოფ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს თუ დავუჯერებთ, მათ ერთმანეთი უცემიათ კიდევაც.

გია ბარამიას განცხადებით, მთავარი ცემა-ტყეპა წინ გველოდება. ის არც სამხედრო კონფრონტაციას გამორიცხავს. შეიარაღებული დაპირისპირების შიში სხვებსაც აქვთ. აფხაზმა ვეტერანებმა ათიოდე დღის წინ საგანგებო განცხადება გაავრცელეს. მათ ყველას თავშეკავებისკენ მოუწოდეს, პრეზიდენტობის კანდიდატებს კი ერთმანეთის წინააღმდეგ შავი პიარის აგორება აუკრძალეს.

შავი პიარი სოხუმში მაინც აგორდება. საამისოდ ბუტბასა და ბაღაფშს უფრო მეტი საშუალება აქვთ. ბაღაფში ე.წ. სახელმწიფო ტელევიზიასა და გამოცემებს აკონტროლებს, ბესლან ბუტბას კი საკუთარი გაზეთი და ტელევიზია აქვს. როგორც ამბობენ, ბუტბას ოპოზიციური მედიასაშუალებები აფხაზეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

საქმე საქმეზე თუ მიდგა, შავ პიარს ხაჯიმბაც ააგორებს. სხვა თუ არაფერი, ის წლების განმავლობაში საბჭოთა უშიშროებაში მუშაობდა. რა რა და ჭორების გავრცელება ამ უკანასკნელმა კარგად იცის.

მართალია, კანდიდატები ჯერ ოფიციალურად არ დარეგისტრირებულან, მაგრამ საკუთარი გუნდების წარდგენა უკვე დაიწყეს. ამ მხრივ ყველაზე მეტად ბაღაფშმა და ბუტბამ იაქტიურეს.

მომავალი მინისტრთა კაბინეტი ჯერ, მართალია, დაკომპლექტებული არა აქვთ, მაგრამ ვიცე-პრეზიდენტები უკვე დაასახელეს. ერთმაც და მეორემაც ვიცე-პრეზიდენტად ყოფილი შს მინისტრები ისურვა.

ბაღაფშის გაპრეზიდენტების შემთხვევაში დე ფაქტო რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი გახდება, ხოლო თუ ბუტბა გაიმარჯვებს, ამ პოსტს ალმასბეი ქჩაჩი დაიკავებს.

ანქვაბსაც და ქჩაჩსაც სხვადასხვა დროს აფხაზეთის შს მინისტრის პოსტები ეკავათ. აფხაზეთის შს მინისტრი ანქვაბი ჯერ კიდევ საომარი მოქმედებების დროს იყო. ეს პოსტი მან არძინბას კლანთან დაპირისპირების გამო დატოვა.

საომარი მოქმედებების დასრულებიდან რამდენიმე ხანში ის მოსკოვში წავიდა, აფხაზეთში 2004 წელს დაბრუნდა და პრეზიდენტობა სცადა.

პრეზიდენტის პოსტი — ვერა, მაგრამ პრემიერ-მინისტრისა კი დაითრია და, თუ ახლა მისი სათაყვანებელი ბაღაფში გაიმარჯვებს, ვიცე-პრეზიდენტი გახდება. ისე, ბაღაფშისა არ იყოს, მასაც რატომღაც პროქართულ ორიენტაციაში ადანაშაულებდნენ. პრემიერობის დროს მას რამდენიმე ტერორისტული აქტი მოუწყვეს. ანქვაბი ამ ტერაქტებს უვნებლად გადაურჩა.

რაც შეეხება ალმასბეი ქჩაჩს, ის შს მინისტრად 1998 წელს დაინიშნა. როგორც აფხაზები ამბობენ, კარგი ავტორიტეტით სარგებლობს.

თუმცა ამ შემთხვევაში არც ანქვაბისა და არც ქჩაჩის ავტორიტეტი არაფრის მომტანი არ იქნება. არჩევნები იმ შედეგით დასრულდება, რაც მოსკოვისთვის იქნება მისაღები. წინა არჩევნებისგან განსხვავებით, მოსკოვისთვის ბაღაფში ახლა უკვე მისაღები კანდიდატურაა.

# 2 მილიონამდე მოქალაქე შიმშილის ზღვარზეა

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ამის შემდეგ ბალათურიამ მოითხოვა, რომ პენსია საარსებო მინიმუმთან გათანაბრდეს. ბალათურიას წინადადებაა, რომ სამ ეტაპად გაიზარდოს პენსია,



1 იანვრიდან მოხდეს პენსიის 25-ლარიანი ზრდა, შემდეგ კი კიდევ 25-25 ლარით და საბოლოოდ შეადგინოს 150 ლარი.

პარლამენტში გუშინ ჯანდაცვის სფერო ერთადერთი არ იყო, რის შესახებაც ოპოზიცია მწვავე განცხადებებს აკეთებდა. საკმაოდ კატეგორიული იყო გიორგი ცაგარეიშვილის განცხადება. იგი რამდენიმე კვირაა, რაც სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან დასმულ შეკითხვებზე პასუხს მოითხოვს, მაგრამ პასუხს ვერ იღებს.

ცაგარეიშვილს ერთადერთი უწყება, რომელმაც უპასუხა, ფინანსთა სამინისტროა, თუმცა ამ სამინისტროს მიერ გაგზავნილ პასუხს ცაგარეიშვილი რებუსებსა და კროსვორდებს უწოდებს, რომელსაც ვერ ხსნის.

გუშინ ცაგარეიშვილმა პარლამენტის თავმჯდომარეს დახმარება სთხოვა, რომ დეპუტატის მიერ დასმულ შეკითხვებზე სხვადასხვა უწყებამ პასუხი გასცეს.

— იქნებ დამეხმაროთ, რათა შესაბამისი უწყებიდან ინფორმაცია გამოვითხოვო შესაბამისი თანხების განკარგვის თაობაზე, მათი მიზნობრიობის თაობაზე. ეს თანხები არის ჩვენი მოსახლეობის, ხალხის გადასახადებით აკრეფილი, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა და დავით ბაქრაძემ ჰკითხა, რა გზას უნდა დაადგეს, რომ შესაბამისი სტრუქტურებიდან პასუხი მიიღოს.

გიორგი ცაგარეიშვილმა დეპუტატებს ჰკითხა, პარლამენტის გარდა, სხვა სად უნდა დააყენოს ეს საკითხი. „გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მივმართო თუ რომელიმე საერთაშორისო სტრუქტურას, რომ ფინანსთა სამინისტრომ გადმოაგზავნოს ნორმალური წერილი, რომელსაც ნორმალური ადამიანი აღიქვამს? თუ ეს კროსვორდები და რებუსები უნდა ავხსნა? იქნებ დამეხმაროთ, პირდაპირ მოგმართავთ პარლამენტის თავმჯდომარეს", — უთხრა ცაგარეიშვილმა დავით ბაქრაძეს.

ოპოზიციონერ დეპუტატს პარლამენტის თავმჯდომარემ და ფინანსთა მინისტრის მოადგილემ უპასუხეს. დავით ბაქრაძის თქმით, რეგლამენტის მიხედვით, დეპუტატს უფლება აქვს, ინფორმაცია მოითხოვოს, აღმასრულებელი ხელისუფლება კი ვალდებულია, ეს ინფორმაცია მიაწოდოს.

— რაც შეეხება ურთიერთობის ტონსა და სტილს, ძალიან კარგია, რომ ეს თემა გაგახსენდათ, ბატონო გიორგი. ალბათ, ჩვენი ურთიერთობის ტონი და სტილი ყველა მომენტში უნდა ვაკონტროლოთ და არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთმანეთისგან რაიმე გვჭირდება, — უთხრა დავით ბაქრაძემ ოპოზიციონერ ცაგარეიშვილს.

გიორგი ცაგარეიშვილს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ირაკლი ღვალაძემ უპასუხა. მისი თქმით, ფინანსთა სამინისტრომ დეპუტატს დასმულ შეკითხვაზე პასუხი გაუგზავნა.

— ბატონო გიორგი, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ ეძახით ამ წერილებს რებუსებს. თქვენ კონკრეტულად მოითხოვეთ სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების ოდენობა და თარიღების მითითება. ჩვენ მიერ გამოგზავნილ დოკუმენტში დეტალურად არის მითითებული პრეზიდენტის კონკრეტული განკარგულება, რომლის მიხედვითაც მოხდა თანხის გამოყოფა, თანხის რაოდენობა და თარიღი, როდის მოხდა ამ თანხის გადარიცხვა. შესაბამისად, ჩემთვის გაუგებარია, რა ვერ გაარკვიეთ ამ დოკუმენტში, — უთხრა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ცაგარეიშვილს.

— მე მოვითხოვე სამართლებრივი აქტები, მაგრამ სამართლებრივი აქტების ნაცვლად გამოაგზავნეთ სტატისტიკა, — უთხრა გიორგი ცაგარეიშვილმა ფინანსთა მინისტრის მოადგილეს.

ამ საკითხზე დავა და კამათი პარლამენტში აღარ გაგრძელებულა, რადგან დამატებით მიკროფონები აღარ ჩართულა. ამდენად, ცაგარეიშვილისთვის უცნობი დარჩა ფინანსთა სამინისტროს მიერ გაგზავნილი დოკუმენტები.

# ჩვენს სადეპუტატო ხელფასებს არავის დავუთმობთ!

დასაწყისი მე-4 გვერდზე

შრომის პარტიის ლიდერი დარწმუნებულია, რომ დადებითი ნიშნები გამოკვეთილია. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და ესპანეთი არ შეუერთდებოდა, რომ არ იყოს სერბეთის სარჩელის განხილვის პერსპექტივა. ეს წამყვანი სახელმწიფოებია, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოში ამინდს ქმნიან.

— ამ დროს სააკაშვილმა, რომელმაც დაკარგა ტერიტორიები და, რომელმაც რუსის ტანკები შემოაგრიალა აქ; რომელმაც მთელი ენერგეტიკა, წყალი და ა.შ. რუსეთს აჩუქა და ხელში ჩაუგდო, ეს სააკაშვილი დღეს ზის და სარჩელის დაწერაც არ უნდა იმისათვის, რომ გაეროს სასამართლოზე განიხილოს ჩვენს თავს დამტყდარი უბედურება და საქართველოს დაშლის პრეცედენტი. მიზეზი ამის ის არის, რომ სააკაშვილმა გაყიდა საქართველოს ტერიტორიები. სხვა ახსნა ამას არ აქვს. სააკაშვილს არ უნდა, რომ საქართველოს ტერიტორიები დაბრუნდეს. აბა, რატომ არ უერთდება გაეროს სასამართლოზე სერბეთის სარჩელს? — განაცხადა ბოლოს ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა.

პრესკონფერენციის ბოლოს ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა კომენტარი გააკეთა პარტია „თავისუფლების" ლიდერ კონსტანტინე გამსახურდიას პარლამენტში შესვლასა და უფლებამოსილების აღდგენასთან დაკავშირებით.

შალვა ნათელაშვილის თქმით, ეს არის კონკრეტული პარტიის გადასაწყვეტი. თუ პარლამენტში არავინ არ შევიდოდა და სააკაშვილი მარტო დარჩებოდა, ეს იქნებოდა რეჟიმის დასასრული. მაგრამ თუ ერთი ოპოზიციონერიც კი შევიდოდა, მაშინ ლეიბორისტული პარტიის ლიდერის თქმით, ბოიკოტს აზრი აღარ ჰქონდა და ყველა უნდა შესულიყო.

— თავს დროზე პარლამენტში არშესვლა, ჩემი აზრით, იყო სტრატეგიული შეცდომა. ამან სააკაშვილს და მის ხელისუფლებას აგვისტოში საშუალება მისცა აფხაზეთი და ცხინვალი დაეთმო რუსეთისთვის. ტერიტრიები დაკარგულია ანუ სტრატეგიული შეცდომა დაშვებულია. ვფიქრობთ, ამ ეტაპზე, როცა საქმე გაფუჭდა, პარლამენტში შესვლას აზრი არ აქვს. თუმცა ჩვენს ხელფასს ოჩიაურებს და მინაშვილებს არ დავუტოვებთ, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ ლეიბორისტული პარტიის ლიდერი საკმაოდ გაღიზიანებულია იმ პირით, რომელიც პარტიის პოლიტიკური მდივნის გიორგი გუგავას ნაქირავებ ბინას ეხება და რომლის ქირასაც, დეპუტუტის ბინით უზრუნველყოფიდან გამომდინარე, პარლამენტი იხდის.

რაც შეეხება 7 ნოემბერს დაგეგმილ საპროტესტო აქციაში მიიღებს თუ არა ლეიბორისტული პარტია მონაწილეობას, როგორც ქვეყნის მთავარი ლეიბორისტი განმარტავს, ლეიბორისტების გარეშე ფაქტობრივად არც ერთი აქცია არ ჩატარებულა. შესაბამისად, არც ეს ჩატარდება.

— დღეს საქართველოსთვის გარდაუვალი აუცილებლობაა მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებიდან ჩამოცილება და არა მის მიერ შემოთავაზებულ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა. ამ არჩევნებში მონაწილეობა ნიშნავს მისთვის უფლებამოსილების გახანგრძლივებას. მაინტერესებს იმ ოპოზიციონერებისაგან, რომლებიც ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობენ, როგორ წარადგენენ დეპუტატობის კანდიდატებს ახალგორში, პერევში და ა.შ. თუ არ წარადგენენ, ეს ნიშნავს ამ წართმეული ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარებას. ჩვენ ასეთ პირობებში არც ერთ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებთ, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

# პანკისის თემა საქართველოს არანაირად არ სჭირდება

**საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების" წევრი ნიკა ლალიაშვილი ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნასთან დაკავშირებით უშიშროების საბჭოს მოწვევას ითხოვს. დეპუტატის მტკიცებით, ჩრდილოეთ კავკასიაში გამწვავებული ვითარების ფონზე ლარსის გამშვები პუნქტის გახსნა მიზანშეწონილი არ არის. გუშინდელ პლენარულ სხდომაზე ლალიაშვილმა ხელისუფლებას მოუწოდა, აღნიშნულ საკითხს სერიოზულად მოეკიდონ და მასზე საბოლოო გადაწყვეტილება უშიშროების საბჭოს ფორმატში მიიღონ.**

გერა მამულაშვილი

— ლარსის გამშვები პუნქტის გახსნა დიდი საფრთხის შემცველია და შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამის შესახებ ხელისუფლებაში ჩამოყალიბებული გადაწყვეტილება არსებობს. ამ ნაბიჯით ყაზბეგს დიდი შანსი მიეცემა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და ადგილობრივი მოსახლეობაც ისარგებლებს ამით, მაგრამ საკითხი საფრთხის შემცველია.

ჩრდილოეთ კავკასიაში მწვავე პროცესები მიმდინარეობს და საქართველოს ტერიტორიაზე თავშესაფრის მიზნით, შესაძლოა, ჩრდილოეთ კავკასიიდან შეიარაღებული ჯგუფების შემოღწევა მოხდეს. საკითხის ასე ერთბაშად და ხელაღებით გადაწყვეტა არ შეიძლება. ხელისუფლებამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა არა სატელევიზიო შოუს რეჟიმში, არამედ სამუშაო რეჟიმში, უშიშროების საბჭო შეკრიბოს და აღნიშნული საკითხი გადაწყვიტოს, — აცხადებს **ნიკა ლალიაშვილი**.

„ახალ თაობასთან" ინტერვიუში პოლიტოლოგი დემურ გიორხელიძე აცხადებს, რომ ჩრდილოეთ კავკასიასთან მიმართებაში სიფრთხილე აუცილებელია, თუკი საქართველოს საკუთარი მძიმე პრობლემების დროულად გადაწყვეტა სურს. თუმცა, მისივე თქმით, შეუძლებელია ლარსის გამშვები პუნქტის გახსნამ უარყოფითი რეაქცია გამოიწვიოს და ეს პროცესი ჩრდილო კავკასიაში დაძაბულ მდგომარეობასთან უშუალო კავშირში იყოს. გიორხელიძე აცხადებს, რომ თუ საზღვარი კარგად გაკონტროლდება, მაშინ ეს საფრთხე მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

— პირველ რიგში გეტყვით, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ძალიან დაძაბული სიტუაციაა. თუ ჩვენ სწორი პოზიციიდან შევხედავთ, ეს რუსეთის შიდა სახელმწიფო პრობლემაა; რაღაც ფორმით ამ ჩრდილოკავკასიურ წინააღმდეგობაში მონაწილეობა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოსთვის ძალიან დიდი გაუფრთხილებელი ნაბიჯი იქნება აბსოლუტურად არაპროგნოზირებადი და ძალიან მძიმე მოსალოდნელი შედეგებით. ასეთი რამ არ შეიძლება მოწონებული იქნას საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან, რადგან იმ პრობლემაზე, რაც დღეს ჩრლილოეთ კავკასიაში არსებობს, საერთაშორისო თანამეგობრობისთვის შესაბამისი ინსტიტუტები და პოლიტიკური ზეწოლის მექანიზმები არსებობს.

ამიტომ ვფიქრობ, რომ სიფრთხილე ჩრდილო კავკასიასთან ურთიერთობაში დღევანდელ სიტუაციაში აუცილებელია; რადგან ჩვენ ვისურვებდით, რომ ჩვენი პრობლემები რაც შეიძლება მალე გადაჭრილიყოს. მაგრამ თუ ჩვენ ამ დაპირისპირების რაღაც ფორმაში სტიმულატორის ფორმაში გამოვალთ, ბუნებრივია, ჩვენი პრობლემები ამით არ გადაიჭრება. ყოველ შემთხვევაში, არ გადაიჭრება ისე, როგორც ამას ჩვენ ვისურვებდით.

მე არ მინდა ვინმეს ილუზია ჰქონდეს, რომ რაც უფრო გართულდება ჩრდილოეთ კავკასიაში ვითარება, მით უფრო უკეთესია საქართველოსთვის. ჩვენ, ჯერ ერთი, არ გვჭირდება ილუზორული პერსპექტივები, როდესაც ჩვენ შეიძლება არასწორი წარმოდგენა გვქონდეს იმაზე, თუ რა მოუვა ხვალ და ზეგ რუსეთის სახელმწიფოს და რომ შეიძლება ამ სახელმწიფოს, მის მთლიანობას რაღაც პრობლემები შეუქმნას ჩრდილოეთ კავკასიამ. თუ ჩვენ ამ ილუზორულ ტალღაზე ვიმოქმედებთ, მაშინ ჩვენი პოლიტიკური შეცდომები გარდაუვალი იქნება.

ამიტომ აქ სიფრთხილე აუცილებელია. ჩვენ შეიძლება იქ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე რეაგირება მოვახდინოთ, მაგრამ ჩვენ არ უნდა ვიყოთ ის ქვეყანა, რომელიც რომის პაპზე უფრო დიდ კათოლიკობას გამოიჩენს. მაგრამ არც ისე უნდა მოვიქცეთ, რომ ჩვენი სტრატეგიული და მეგობარი ქვეყნების რაიმე ინიციატივას ჩამოვრჩეთ. ამიტომ აქ არის პოლიტიკა, ეს ურთულესი საკითხია და ჩვენი სახელმწიფოს მოქმედება შესაბამისობაში უნდა იყოს არა მარტო საერთაშორისო ნორმებთან, არამედ იგი შესაბამისობაში უნდა იყოს იმ პრობლემების მასშტაბთან, რა პრობლემების წინაშეც დღეს ჩვენი ქვეყანა დგას.

***— ყაზბეგის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნის მიმართ რა კონკრეტული დამოკიდებულებები შეიძლება ჰქონდეს რუსულ მხარეს?***

— არ მგონია, რომ ლარსის გამშვები პუნქტის გახსნა რაიმე უარყოფით რეაქციას გამოიწვევს რუსეთის სახელმწიფოს მხრიდან. ასეთი რაღაცეები, როგორც წესი, ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე ხერხდება. ცალმხრივად გამშვებ პუნქტს ხომ ვერ გახსნი? და თუკი ასეთი კონტაქტები არსებობს, ვფიქრობ, რომ იგი სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების დონეზე შეიძლება გაკეთდეს და არ შეიძლება უშუალო კავშირში იყოს იმ მოვლენებთან, რომლებიც დღეს ჩრდილო კავკასიაშია.



მთავარია, რომ ამ პუნქტზე ორმხრივი კონტროლი იარსებებს და აქ განსაკუთრებულ საშიშროებებს ვერ ვხედავ.

***— რამდენად შესაძლებელია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მდგომარების კიდევ უფრო გართულების შედეგად იქიდან შეიარაღებული ჯგუფების შემოღწევა ამ გზით მოხდეს?***

— ლარსის პუნქტს ჩვენ გავხსნით, თუ არ გავხსნით, ასეთი არალეგალური მცდელობები ალბათ ადრეც ყოფილა და შეიძლება მომავალშიც იყოს. მაგრამ ამისთვის არსებობს როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან საზღვრის შესაბამისი კონტროლი. თუ ჩვენ კარგად გავაკონტროლებთ ჩვენს საზღვარს, მაშინ ასეთი საფრთხე შეიძლება მინიმუმამდე იქნას დაყვანილი. იმიტომ, რომ არ არის გამორიცხული, ასეთი მცდელობა გარკვეული პროვოკაციული მიზნებისთვისაც იქნას გამოყენებული.

თუ ჩვენ მარტო არ შეგვიძლია ამის გაკონტროლება, მაშინ ჩვენმა ხელისუფლებამ ოფიციალურად უნდა განაცხადოს, რომ ასეთი საშიშროება არსებობს. ამიტომ ადამიანებს შორის ურთიერთობებს ხელი არ უნდა შეუშალოს; რაც თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო ყაზბეგში მცხოვრებთათვის, არამედ საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე თავისუფლად უნდა მოძრაობდეს ამ გზით; ასევე რუსეთის ნებისმიერი მოქალაქე, შეთანხმების თანახმად, ამ გზის საშუალებით რომ მოძრაობდეს.

ამ მხრივ არანაირი საშიშროებები არ არის, პირიქით, ეს სასურველია. ამიტომ ამ ორი საკითხის ერთმანეთთან გადაბმა არ იქნება სასურველი და თუკი არსებობს შეიარაღებული ფორმირებების აქ გადმოსვლის საფრთხეები, ჩვენი ძალების უკმარისობის შემთხვევაში, ბუნებრივია, დახმარებისთვის ყველას უნდა მივმართოთ. მათ შორის ჩვენი მეგობრების მეშვეობით, ანდა პირდაპირ რუსეთის მხარესაც, რომ ამ საფრთხეების თავიდან აცილება მოხდეს.

რეალურად ეს საფრთხეს უქმნის როგორც რუსეთს, ისე საქართველოს. ამიტომ როდესაც საფრთხე ორმხრივია, აქ გამოსავალი გაცილებით იოლად შეიძლება გამოიძებნოს.

***— რაც შეეხება პანკისური საფრთხის წინწამოწევას; რამდენად რეალურია იგი?***

— ეს თემა არსებობს, მაგრამ ჩვენ ვისურვებდით, რომ იგი საერთოდ არ არსებობდეს. ყველაზე სასურველი ვარიანტი ასეთია საქართველოსთვის. მაგრამ ხმაური ატეხილია და ეს ხმაური არანაირ სარგებელს არ აძლევს საქართველოს; რადგან ჯერჯერობით არასაკმარისია საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები იმისთვის, რომ ეს თემა დღის წესრიგიდან მოხსნილიყო. თემა ისევ თემად რჩება და იგი ჩვენთვის, უბრალოდ, კარგი არ არის.

პანკისის თემა საქართველოს არანაირად არ სჭირდება. ოდნავადაც რომ ვინმეს ამ შემთხვევაში რაიმე ხელმოსაკიდი გაუჩნდეს, შეიძლება იგი დიდ პრობლემად გადაიქცეს. ამიტომ არ შეიძლება ისეთი თემის დიდხანს დღის წესრიგში დატოვება, რომელიც ქვეყნისთვის პოტენციურ საფრთხეს შეიცავს. პანკისის თემა როგორი ფორმითაც არ უნდა იყოს გახმაურებული, ამ შემთხვევაში რუსეთის მიერ, დღის წესრიგიდან მალე უნდა მოიხსნას. ეს არის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა და ამისთვის ყველაფერი უნდა გაკეთდეს.

***— თქვენი პროგნოზით, როგორ შეიძლება განვითარდეს პროცესები ჩრდილოეთ კავკასიაში?***

— ჩვენთვის იდეალურია, რომ ჩრდილო კავკასიაში სიტუაცია ნელ-ნელა ნორმალიზაციისკენ წავიდეს. რადგან ჩრდილო კავკასიის აფეთქებამ არაფერი კარგი არ შეიძლება მოუტანოს მთლიანობაში სამხრეთ კავკასიას და რა თქმა უნდა, იგი ვერანაირ დადებით კარგ შედეგს ვერ მოუტანს საკუთრივ საქართველოსაც. ამიტომ, თუ ჩვენ გვინდა, რომ პრინციპში ნელ-ნელა წავიდეთ სიტუაციის ნორმალიზაციისკენ და ჩვენი სტრატეგიულად პარტნიორი და მეგობარი ქვეყნების მეშვეობით დავამაყაროთ ის ურთიერთობები, რომლებიც ორ ქვეყანას შორის მოაწესრიგებს ვითარებას და აგრეთვე დასახავს გზებს ჩვენი უმთავრესი სასიცოცხლო პრობლემების თანდათანობით მოწესრიგებისთვის, ამისთვის ჩვენ უნდა ვიყოთ განსაკუთრებით ფრთხილები და ვმოქმედებდეთ მაქსიმალურად პოლიტიკური არსენალის ფარგლებში.

ჩვენ არანაირი გართულების მოსურნენი არ უნდა ვიყოთ, მით უმეტეს, თუ გნებავთ, ირიბადაც კი, სტიმული არ უნდა მივცეთ ჩრდილოეთ კავკასიაში მდგომარეობის დაძაბვას; ვფიქრობ, რომ ეს გამართლებული არ იქნება და პრინციპში, ძალზე სახიფათოც შეიძლება იყოს. ეს არის პრობლემა, რომელიც რუსული სახელმწიფოს ძალიან დიდი თავის ტკივილია. რუსულმა სახელმწიფომ თავისი ძალებით უნდა შეძლოს ამ მძიმე პრობლემების გადაწყვეტა.

ამასთან ჩეჩნეთის მთავრობის საზღვარგარეთულ წარმომადგენელთა განცხადებები იმის თაობაზე, რომ საქართველო და მისი პრეზიდენტი სათავეში უნდა ჩაუდგეს დიდ ბრძოლას და ა.შ. ვფიქრობ, რომ ეს ისეთ ცეცხლთან თამაშია, რომლისგანაც შედეგის მიღება საქართველოსთვის უბრალოდ შეუძლებელია. ჩვენ ვართ გონიერი ადამიანები და ჩვენ გვაქვს უამრავი ჩვენი პრობლემა, მათ თავიანთი პრობლემები აქვთ და ერთმანეთთან არა თუ კარგი, არამედ ძალიან ცუდი ურთიერთობები გვაქვს. ამიტომ ჩვენ უნდა გამოვიდეთ ისტორიული პერსპექტივიდან. სახელმწიფოები ერთმანეთს ებრძოდნენ საუკუნეების განმავლობაში, დღეს ნორმალურად ცხოვრობენ მეზობლების რანგში და საკმაოდ მჭიდროდაც თანამშრომლობენ. ჩვენ უნდა გვახსოვდეს ის მარტივი პერსპექტივა, რომ ნებისმიერ ომს მოყვება მშვიდობა და ამ მშვიდობისთვის ნელ-ნელა უნდა ვემზადოთ. იმ მიმართულებით, რომ ამ მშვიდობამ მშვიდობიანი თანაცხოვრება ერთის მხრივ და ჩვენი პრობლემების გადაჭრის საშუალება მოგვცეს.

***— რამდენად დამაკმაყოფილებელია დღეს ამ კუთხით ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები?***

— ვფიქრობ, რომ უფრო დომინირებს კონფრონტაციული რიტორიკა. ჩემი აზრით, გაცილებით მოქნილი შეიძლება იყოს ეს პოლიტიკა და გაცილებით მეტი შეიძლება მოვთხოვოთ ჩვენს მეგობარ ქვეყნებს, რომ ამ მიმართულებით დახმარება გაგვიწიონ და მოგვაწესრიგებინონ ეს ურთიერთობები. შეუძლებელია მუდმივად საომარი განწყობის და რიტორიკის ქვეშ ცხოვრება. ასეთი რამ არ ხდება; გარკვეული პერიოდებით არავინ არ არის დაზღვეული და ჩვენ აღმოვჩნდით ასეთ დაძაბულ მდგომარეობაში.

ახლა უნდა ვიფიქროთ იმაზე, რაზეც ფიქრობენ ყველანი, მათ შორის რუსეთშიც. რომ ადრე თუ გვიან, ეს დაპირისპირება უნდა დასრულდეს და ჩვენ ნორმალურად, მეზობლურად უნდა ვიცხოვროთ. ამ შეთანხმებამ უნდა მოგვცეს საშუალება, რომ ჩვენ პატივი ვცეთ ერთმანეთის ტერიტორიულ მთლიანობას, პატივი ვცეთ ერთმანეთის ინტერესებს და არ შევუქმნათ ისეთი პრობლემები, რომლებიც ჩვენ დღეს გვაქვს რეალურად შექმნილი.

## საქართველოს ეროვნული ბანკი: კრიზისი დასრულებულია

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ ქვეყნის ეკონომიკაში დაფიქსირებულ ბოლოდროინდელ მაკროეკონომიკურ ტენდეციები კომერციული ბანკების ხელმძღვანელებთან ერთად განიხილა. "საბანკო სექტორის წარმომადგენლებთან ჩვენ გავიარეთ მთავარი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები. სექტემბრის თვე კომერციული ბანკების კონსოლიდირებული მოგებით დასრულდა. ეს არის პირველი თვე ბოლო ცამეტი თვის განმავლობაში, როდესაც ბანკებმა მოგება აჩვენეს. ჩვენმა სავალუტო რეზერვებმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და ასევე უპრეცედენტოდ მაღალია ლიკვიდობა საბანკო სექტორში. მხოლოდ ეს სამი მაჩვენებელი ნათელი დასტურია იმისა, რომ კრიზისი დასრულებულია. ჩვენი მთავარი გამოწვევა დღეს არის რაც შეიძლება სწრაფად აღვადგინოთ ის ზრდის ტემპები, რომელიც მანამდე იყო საქართველოში, მხედველობაში მაქვს 2007 წელი და 2008 წლის პირველი ნახევარი" - განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ.

მნიშვნელოვნად დასტაბილურდა სავალუტო ბაზარი. საქართველოს ეროვნული ბანკის ინტერვენციები ნულთან ახლოსაა. შეგახსენებთ, რომ 2009 წლის 25 მაისიდან საქართველოს ეროვნული ბანკი სავალუტო ბაზარზე ინტერვენციებს მხოლოდ სავალუტო აუქციონების მეშვეობით ახორციელებს. ეროვნული ბანკი ყოველდღიურად, ბლუმბერგის სავაჭრო სისტემაში ბანკთაშორის ბაზარზე დადებული გარიგებების და სავალუტო აუქციონებზე დაფიქსირებული შედეგების გათვალისწინებით ითვლის დღის საშუალო-შეწონილ კურსს.

გიორგი ქადაგიძის განცხადებით, აგვისტოს დეფლაციის შემდეგ მოსალოდნელია წლის ბოლოს წლიური 3 პროცენტიანი ინფლაცია. მისი თქმით, მართალია, გარკვეულად მცირდება საბიუჯეტო ხარჯები 2010 წელს, თუმცა იგი კვლავ მაღალ დონეზე იქნება შენარჩუნებული, რაც უზრუნველყოფს მომავალ წელსაც ეკონომიკური აქტივობის ფისკალურ სტიმულირებას.

2009 წლის ბოლოსთვის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი საგრძნობლად შემცირდება და 13 პროცენტს მიაღწევს. გაუმჯობესებაა ეკონომიკის ისეთ ინდიკატორებში როგორიცაა ვაჭრობა, ექსპორტი. თუკი აქამდე ყოველთვიურად კლებისაკენ მოდიოდა საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების მონაცემი, სექტემბერში ეს მაჩვენებელი ზრდისკენ წავიდა და სექტემბერში წლის მანძილზე მაქსიმუმს მიაღწია. შემცირებულია ვაჭრობის კლების ტემპებიც, განსაკუთრებით გაუმჯობესდა ექსპორტი. დამაიმედებელია ტენდენციები უძრავი და მოძრავი ქონების ბაზრებზე. აღსანიშნავია, რომ საგრძნობლად დასტაბილურდა მდგომარეობა უძრავი და მოძრავი ქონების ბაზრებზე. ასევე, ემისიის დროინდელ დონეს დაუბრუნდა საქართველოს სუვერენული ობლიგაციების ფასი, რაც უცხოელი ინვესტორების ნდობის მაღალ ხარისხზე მიუთითებს.

— ჩვენ ეს პროგნოზები ჯერ კიდევ მიმდინარე წლის ზაფხულში გავაკეთეთ, ეს შესაძლებელი გახდა სწორი და გათვლილი ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკის შედეგად, — განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ.

**მედიანიუსი**

## პატრიარქის მხარდასაჭერად აქცია გაიმართა

გუშინ მართლმადიდებლობის მხარდამჭერი აქცია გაიმართა. ახალგაზრდების მსვლელობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სამების საკათედრო ტაძრამდე გაიმართა.

ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მხარდასაჭერად გამოსულმა 40-მდე ახალგაზრდამ მსვლელობა ყოველგვარი განცხადებებისა და მოწოდებების გარეშე მოაწყო. მანიფესტაციაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, ასევე, „თანასწორობის ინსტიტუტისა" და მოძრაობა „რატომ?"-ის წარმომადგენლები.

სამების საპატრიარქო ტაძარში მისვლის შემდეგ მათ სანთლები დაანთეს, რის შემდეგაც დაიშალნენ. როგორც აქციის დასრულების შემდეგ ერთ-ერთმა მონაწილემ მიშა მესხმა განაცხადა, აქციის ლოზუნგი იყო „ჩაუქრობელი სანთლებით სამებამდე". მისი თქმით, აქციის შინაარსში იგულისხმებოდა უწმინდესის მხარდაჭერაც, რადგან ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით სხვადასხვა განცხადებები კეთდება. მიშა მესხის განცხადებით, ახალგაზრდები უწმინდესის დასაცავად ყველაფერს გააკეთებენ.

**ინტერპრესნიუსი**

## შვედეთისა და საქართველოს თავდაცვის უწყებებმა თანამშრომლობის გეგმა შეიმუშავეს

შვედეთსა და საქართველოს თავდაცვის უწყებებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმა შემუშავდა. კონსულტაციების გამართვის მიზნით გუშინ თავდაცვის სამინისტროს შვედეთის თავდაცვის ატაშე, პოლკოვნიკი პარ ბლიდი ეწვია.

შვედი პოლკოვნიკი თავდაცვის მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ვაშაკიძემ მიიღო. პარ ბლიდი ასევე შეხვდა საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსს მარიკა ლალიაშვილს და წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლის მოადგილეს, ვიცე-პოლკოვნიკ ზაზა კეკელიას.

მხარეებმა შვედეთსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროებს შორის სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე იმსჯელეს. მათ ასევე განიხილეს საქართველოში არსებული უსაფრთხოების სისტემა.

შვედეთის თავდაცვის ატაშე საქართველოს 6 ნოემბერს დატოვებს.

**ინტერპრესნიუსი**

# საქართველოში გამოკითხვა სერიოზულად ვერასდროს ჩატარდება

გერა მამულაშვილი



**პოლიტიკური ოპოზიციის ნაწილი ერთიანი საარჩევნო ლიდერის (კანდიდატების გამოსავლენად პრაიმერის (შიდა არჩევნების ჩატარებაზე მუშაობს. ამას განსაკუთრებით კონსერვატორები მოითხოვენ. „დაიცავი საქართველოს“ ლიდერი ლევან გაჩეჩილა ეც არ გამორიცხავს ასეთ პრაიმერში მონაწილეობას.**

„ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი აცხადებს, რომ წარმოუდგენელია პრაიმერის ჩატარება იქ, სადაც „ყველა ერთმანეთს ჭამს“. მისივე თქმით, მძიმე მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას არა პრაიმერი, არამედ გონიერება და სწორი პოლიტიკა გადაარჩენს, „რაც ქართველ პოლიტიკოსებში დეფიციტს წარმოადგენს“. ჭიპაშვილი აცხადებს, რომ აჯობებს ოპოზიცია შიგნით ერთმანეთში შეთანხმდეს და ერთიანი კანდიდატურა დაასახელოს.

***— როგორ აფასებთ ოპოზიციის ერთი ნაწილის სურვილს, რომ საარჩევნოდ პრაიმერები (შიდა არჩევნები) ჩაატარონ?***

— პრაიმერი და საქართველო ერთად ცოტა წარმოუდგენლად მეჩვენება. პრაიმერი სადაც არის, ანუ შეერთებულ შტატებს ამ საქმეში დიდი ხნის გამოცდილება აქვს და ყველაფრის ასე ბრმად გადაღება ნამდვილად არ ღირს. ჯერ ერთი, საერთოდ არ მესმის, საქართველოში რა პრაიმერი უნდა ჩატარდეს, როცა ყველა ერთმანეთს ჭამს. ვთქვათ, თუ ოთხი პარტია შეთანხმდება და ამ პრაიმერს ჩაატარებს, უმჯობესი არ არის, რომ პარტიებმა, ნაცვლად ამ გამოცხადებისა, უბრალოდ, ერთმანეთში მოილაპარაკონ და თავიანთი კანდიდატურა დაასახელონ?

ასე რომ, მიმაჩნია, პრაიმერი არ არის ის, რაც საქართველოს გადაარჩენდა. საქართველოს გადაარჩენს გონიერება და სწორი პოლიტიკა. სამწუხაროდ, ჩვენს პოლიტიკოსებში დიდი დეფიციტია როგორც გონიერება, ასევე სურვილი იმისა, რომ ეს ქვეყანა ამ ურთულესი მდგომარეობიდან გამოვიდეს. ამიტომ ოპოზიციის ეს „ინოვაცია“ არაფრისკენ და არსაითკენ მიმავალი გზაა, ვინაიდან ჩვენთვის პრაიმერი ისევეა, როგორც მოუხეშავ ძროხას რომ ლამაზი უნაგირი დაადგა.

***— ბრძანეთ, რომ უმჯობესია თუნდაც ოთხი პარტია თუ მოილაპარაკებს და ერთიან კანდიდატურაზე შეთანხმდება. რატომ ვერ ხერხდება ამის მიღწევა?***

— ოპოზიცია ამას იმიტომ ვერ ახერხებს, რომ საქართველოში ყველას პირველობა უნდა. ხომ იცით ანეკდოტი რიგში მდგომი ქართველების შესახებ. გათვლა ასეთია — პირველი, მეორე, მესამე და ა.შ. დაიწყება გათვლა და სულ პირველი, პირველი, პირველი ისმის. ყველას პირველ ნომრად ყოფნა უნდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ოთხ პარტიაში ეს შეუძლებელი ხდება. არადა, საქართველოში ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა, იმდენი პარტიაა, ყოველ შემთხვევაში, ნათესავებით და ახლობლებით შევსებული, თორემ რეალურად, ალბათ, ერთი ორია, ვისაც ას კაცამდე მაინც მხარს უჭერს.

ასე რომ, ესენი ერთმანეთში ვერც ვერასდროს შეთანხმდებიან, მით უმეტეს, გასაოცარია ამათი სურვილი, რომ პრაიმერმა გამოავლინოს ყოველივე ეს. როდესაც შენ ამბობ პრაიმერს, ეს ნიშნავს, რომ ვერ თანხმდები და ამიტომ გჭირდება თუნდაც იმ ოთხეულში გარკვევა სხვისი დახმარებით. ეს არის პრაიმერი, მეტი არაფერი.

***— მაგ პირველი-პირველის დაძახებისას ყველაზე ადრე „პირველი“ მაინც ალასანიამ დაიძახა...***

— დიახ, მის მომხრეებს ანუ მის მფარველებს შეერთებულ შტატებში უნდოდათ, ჯერ კიდევ ნიუ იორკში მყოფს დაეძახა, პირველიო. რა მოხდა ახლა, ალასანიამ ეს ერთი თვის დაგვიანების შემდეგ დაიძახა. ეს კაცი ამას მუდამ გაიძახის, რაც ქართულ ორბიტაზე გამოჩნდა, როგორც უაღრესად დიდი პოლიტიკოსი, ამას ბრჭყალებში ვამბობ. აქედან გამომდინარე, ერთი რამ არის — ალასანიასთვის ოკეანის გადაღმელებს უკვე შეკერილი აქვთ მერის კოსტიუმი და, ალბათ, პრეზიდენტის კოსტიუმსაც შეუკერავენ.

დარწმუნებული ვარ, 2013 წელს ალასანია მოგვევლინება პრეზიდენტად, ოღონდ არა ისეთად, როგორიც დღევანდელი პრეზიდენტია, ხოლო პრემიერ-მინისტრად ისევ სააკაშვილი იქნება, ოღონდ მთელი ძალაუფლებით ქვეყნის მმართველისა. ამ დროს ალასანია იქნება, როგორც რუსები იტყვიან, „სვადებნი გენერალი“ (საქორწინო გენერალი). ასე რომ, მას აქვს შანსი, გახდეს ასეთი პირველი და ეს იქნება ტანდემი, რომელიც საქართველოს გაახარებს, ბრჭყალებში, ცხადია. ეს მოხდება შემდეგი ხუთი წლის განმავლობაში, 2013 წლიდან დაწყებული და ჩვენ სულ ვიქნებით ალასანია-სააკაშვილების გრიალში. ამასობაში წამოიზრდება სააკაშვილის ედუარდი, მერე, ალბათ, ალასანიასაც გაუჩნდება ვინმე და ა.შ.

***— ბრძანეთ, რომ ალასანია არ იქნება ისეთი პრეზიდენტი, როგორიც დღეს არის. მაინც, როგორი პრეზიდენტი იქნება ის?***

— ყოველგვარი ძალაუფლებისგან დაცლილი პრეზიდენტი, ანუ იმაზე ნაკლები, როგორიცაა დღეს გერმანიაში ანდა, ვთქვათ, იტალიაში და ა.შ.

***— გამოდის, რომ დღევანდელ სახელისუფლებო კანდიდატს გიგი უგულავას შანსები არ აქვს?***

— უგულავას აქვს შანსები, როგორ არ აქვს. მოგეხსენებათ, რომ უგულავა ასე ადვილად არ დათმობს პოზიციებს, მით უმეტეს, რომ კარგა ხნის წინ ის მიიჩნიეს კიდევაც ზოგიერთ წრეში სააკაშვილის შემცვლელად. უგულავა არ ჩანს ის პიროვნება, რომელიც ასე იოლად გაეცლება არსებულ პოლიტიკურ სარბიელს და იმ მოპოვებული ფულის ჭამას მოანდომებს დარჩენილ ცხოვრებას. არ მგონია, ასე იყოს.

ამ ფულს კიდევ სხვა ფულის დამატების სურვილი ექნება და ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ისიც შესთავაზებს საკუთარ თავს საზოგადოებას. უფრო სწორად, მან საზოგადოებას უკვე შესთავაზა საკუთარი თავი — ქუჩებს ავიწროებს, ქუჩიდან ქუჩაზე გადასასვლელ ხიდებს ქმნის და კიდევ რაღაც სისულელეებს მოიგონებს. ერთი მოიგონა, მაგრამ ჩაუვარდა სითი-პარკის სახით, მაგრამ ის სხვა სითი-პარკს გამოიგონებს. მერე, მოგეხსენებათ, ადგილობრივი თვითმმართველობები შექმნა ყველა ალმასკომთან თუ გამგეობასთან.

**გაგრძელება მე-8 გვერდზე**

# დედაქალაქში მიწისქვეშა გადასასვლელები საშინელ დღეშია

## რატომ ვერ იცლის მერია მიწისქვეშა თბილისისთვის

შორენა გონგლა ე



მიწისქვეშა გადასასვლელები, თუ შეიძლება ითქვას, ოდითგანვე პრობლემას წარმოადგენდა თბილისისთვის. გადასასვლელების კეთილმოწყობისთვის არც წინა ხელისუფლებას უთენებია ღამეები და არც დღეს გვაქვს იდეალური მდგომარეობა. მართალია ცენტრალურ ქუჩებზე რამდენიმე მიწისქვეშა გადასასვლელი მოწესრიგდა, მაგრამ ეს ცხვირის მოწმენდას უფრო ჰგავს, ვიდრე რეალურად საქმის კეთებას.

თბილისში სულ 624 მიწისქვეშა გადასასვლელია, აქედან სულ თითზე ჩამოსათვლელია ისეთი გადასასვლელი, სადაც მეტ-ნაკლებად შეიძლება ადამიანი უსაფრთხოდ გადაადგილდეს. მაგალითისთვის, გმირთა მოედანზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელი, არც მეტი, არც ნაკლები, შეიძლება ითქვას, 21-ე საუკუნის სიბინძურის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს. იქ ჩასულ ადამიანს თავისუფლად შეუძლია გადასასვლელის რომელიმე კუთხეში ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ან თუნდაც პანელიდან მოხსნილი ქალის ჩაყვანა, სანთლით საძებარი არც ჩამპალი ნარკომანების მიერ დაყრილი ერთჯერადი შპრიცები არის საძებარი და არც თავზე ქუდჩამომხობილი უსაქმურებისა და კრიმინალების ნახვა. მოკლედ, ქალაქის მერის მიერ 30 უბნად დაყოფილ თბილისში ეს მიწისქვეშა გადასასვლელი რიგით მერამდენე უბნად არის დაფიქსირებული, არ ვიცი, მაგრამ ბატონ გიგის ერთი ექსკურსიის მოწყობა ნამდვილად არ აწყენდა, რათა საკუთარი თვლით ნახოს და საკუთარი ნერვული დაბოლოებებით შეიგრძნოს ყველა ის სიბინძურე, რომელიც ამ გადასასვლელშია, თანაც მინდა ბატონ მერს შევახსენო, რომ 2009 წლის ბიუჯეტში მიწისქვეშა გადასასვლელების კეთილმოწყობისთვის მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი. მოკლედ, ადამიანს, რომელსაც ქალაქის მერის თანამდებობაზე დარჩენის პრეტენზია გააჩნია, ურიგო არ იქნება, თუ დროებით სახელდახელოდ წითელ-ყვითლად გადაღებილი მოედნების ზარზეიმით გახსნას თავს დაანებებს. თუ ასე მოხდა, ქალაქის თავკაცს ვპირდები, რომ ძალიან ბევრ საინტერესო რამეს აღმოაჩენს, რომელიც ყურადღებას და შემდეგ ჰიმნის თანხლებით ლენტის გაჭრას ნამდვილად საჭიროებს.

ეს ფრიად საინტერესო და ამავე დროს საკმაოდ მტკივნეული თემა გუშინ პარტია „მომავალი საქართველოს“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე დაისვა. პარტიის ლიდერის, გიორგი ლაღიძის განცხადებით, ქალაქში ამ კუთხით საგანგაშო მდგომარეობაა.

— ამ თვალსაზრისით ქალაქში არის სავალალო მდგომარეობა, ხელისუფლება მხოლოდ ცენტრალურ ქუჩებზე არსებულ გადასასვლელებზე ზრუნავს და ისიც, შეიძლება ითქვას, მეტი-ნაკლებად. ჩვენი ინფორმაციით, 2009 წლის ბიუჯეტში მიწისქვეშა გადასასვლელების კეთილმოწყობისთვის გამოყოფილი იყო თანხა ერთი მილიონ 480 ათასი ლარი და პრაქტიკულად ამ თვალსაზრისით არაფერი არ არის გაკეთებული, გაურკვეველია მერიის რომელი ჩინოვნიკის ჯიბეში მიდის ეს ფული, მაშინ როდესაც გმირთა მოედანზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელი არის კრიმინალების ბუდედ ქცეული. ხალხს ფაქტიურად უჭირს იქ გადაადგილება, ხელისუფლება კი არაფერს აკეთებს და ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ გარკვეული ჩინოვნიკების ჯიბეებში დაილექა ამ პრობლემის მოსაწესრიგებლად გამოყოფილი თანხები. მინდა მოვუწოდო ქალაქის მერიას, ნუ იქნებიან ისინი მხოლოდ პიარის კეთებაზე გადასულები და რეალურად იზრუნონ ამ პრობლემის მოწესრიგებისათვის. ასეთ მძიმე მდგომარეობაშია ქალაქში არსებული მიწისქვეშა გადასასვლელების უმეტესი ნაწილი. არსად არაა გაწერილი თანხები, ეს უკვე საფუძვლიან ეჭვს ბადებს, — აცხადებს გიორგი ლაღიძე.

პატიის ლიდერს ნამდვილად ვეთანხმებით, რომ ეს საკმაოდ მტკივნეული თემაა, თუმცა მსგავსი პრობლემების ჩამოთვლაზე საკმაოდ დიდხანს შეიძლება საუბარი, ამიტომ „ახალი თაობა“ სხვა საკითხებითაც დაინტერესდა, თუნდაც იმით, აპირებს თუ არა ლაღიძე ოპოზიციის მიერ დაგეგმილ აქციაში მონაწილეობის მიღებას და რა პოზიცია ექნება ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით. მისი თქმით, ამ აქციაში მისი პარტია აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას, თუმცა მხოლოდ 7 ნოემბერს. აქციების გაგრძელებას კი ის არ ეთანხმება.

— 2007 წლის 7 ნოემბრის აქციაში ჩვენ ვიღებდით მონაწილეობას და ჩვენც ვართ მსხვერპლი ამ ხელისუფლების ბარბაროსული ქმედების, ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ 7 ნოემბრის აქციას, მხარდაჭერას ვუცხადებთ იმ ადამიანებს, ვინც ამ აქციაში მიიღებს მონაწილეობას და მე ვფიქრობ, რომ 2007 წლის ნოემბერს ხელისუფლებამ აჩვენა თავისი ნამდვილი სახე. ჩვენ ალბათ მივიღებთ მონაწილეობას ამ აქციაში, რადგან ეს აქცია არის მიმართული ძალადობის წინააღმდეგ, იმ უსამართლობის წინააღმდეგ, რასაც ეს ხელისუფლება სჩადის წლების განმავლობაში და ამიტომ ამ დღეს ქართველი ხალხი უნდა დადგეს ერთად.

***— ამ აქციაში იმიტომ იღებთ მონაწილეობას, რომ უკავშირდება გარკვეულ თარიღს თუ საერთოდ მხარდაჭერას უცხადებთ ოპოზიციის პროტესტს?***

— აქ არაფერ შუაშია ოპოზიცია, 2007 წლის 7 ნოემბერს ხელისუფლებამ დაარბია საკუთარი მოქალაქეები, ხელისუფლებამ მაშინ ლახვარი ჩასცა თავისუფალ სიტყვას, როდესაც დაარბია იმედი. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ იქ ხალხი უნდა მივიდეს არა ოპოზიციის მხარდასაჭერად, არამედ უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტის გამოსახატად და თავისუფალი სიტყვის დასაცავად. უნდა აჩვენონ ხელისუფლებას, რომ არასოდეს არ დაუშვებენ ძალადობის განმეორებას ჩვენს ქვეყანაში.

***— იმ შემთხვევაში, თუ ეს აქციები გაგრძელდა და მიიღო პერმანენტული ხასიათი, ამ შემთხვევაში თქვენ თუ იქნებით ოპოზიციის იმ ლიდერების გვერდით, ვინც უხელმძღვანელებს ამ აქციებს?***

— სავარაუდოდ, ჩვენ შემდგომ აქციებში აღარ მივიღებთ მონაწილეობას, თუმცა მე ვფიქრობ, რომ არც ოპოზიციას აქვს ეს გეგმაში, ეს არის ერჯერადი სახის აქცია. ჩვენ დავინახეთ, რომ ამ აქციებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, თანაც ოპოზიციური პარტიების ნაწილი უკვე საარჩევნო ციკლში მუშაობს და ემზადებიან არჩევნებისთვის. აქედან გამომდინარე, არც ოპოზიციის ფართო სპექტრი წავა ხანგრძლივ აქციებზე. ჩემი აზრით, ქუჩის აქციები ვერ გამოიღებს ისეთ შედეგს, როგორიც საჭიროა, ამიტომაც არ მივიღებთ ამ აქციებში მონაწილეობას.

***— აპრილის აქციების დროს შედეგი რა იქნებოდა, წინასწარ არავინ იცოდა, თუმცა არც მაშინ ჩანდით ოპოზიციის გვერდით...***

— მაშინდელ აქციებს ჰყავდა ისეთი ორგანიზატორები, ამ შემთხვევაში მე ვგულისხმობ ყოფილ თანამდებობის პირებს, რომელთა გვერდშიც ნამდვილად არ დავდგებოდით, ვინაიდან თუნდაც ნინო ბურჯანაძე 2007 წლის აქციების დროს იყო ხელისუფლებაში და ძალიან კარგად მახსოვს მის მიერ გაკეთებული განცხადებები. აქედან გამომდინარე, ჩემთვის ძალიან ბევრი რამე იყო მიუღებელი და ამიტომაც არ დავდექით ამ ე.წ. რადიკალური ოპოზიციის გვერდით.

***— ეს ადამიანებით დღესაც ოპოზიციაში არიან და შემდგომშიც ასე იქნება, თქვენ როგორ გესახებათ ფართო ასპარეზზე გასვლა ამ ადამიანების გარეშე?***

— ვილაცაზე მიტმასნა ნამდვილად არ არის ჩვენი თვითმიზანი და ამას ნამდვილად არ ვაპირებთ, ჩვენ გვაქვს ჩვენი მიზანი, რომ გავაძლიეროთ პარტიის შიდა რგოლები და გვაქვს კონკრეტული გეგმა, რომლის განხორციელებასაც ვაპირებთ. შეიძლება იყოს გარკვეული ღონისძიებები, რაშიც ოპოზიციასთან ერთად მივიღებთ მონაწილეობას, ოპოზიციის იმ ნაწილთან, ვინც ჩვენთვის მისაღები იქნება.

***— ამ ეტაპზე გარკვეულ პარტიებთან თუ აწარმოებთ კონსულტაციებს?***

— კი მიმდინარეობს აქტიური კონსულტაციები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. არ არის გამორიცხული, რომ არჩევნებისთვის კოალიციის სახით ჩამოვყალიბდეთ, თუმცა ჯერ გადაწყვეტილი არაფერი არ არის. ჩვენ ვაპირებთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას, თუმცა ამასთანავე მოვითხოვთ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას. რადგან თუ ლევან თარხნიშვილი იქნება ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, არჩევნების ჩატარებას არანაირი აზრი არ ექნება და ალბათ, ჩვენც გაგვიჭირდება გადაწყვეტილებების მიღება. ეს ადამიანი არის კრიმინალი, მან არაერთხელ საკმაოდ წარმატებით გააყალბა არჩევნები და თუ ეს ადამიანი კიდევ ერთ არჩევნებს ჩაატარებს, ის კიდევ ერთხელ შეაყრის ქართველ ხალხს თვალში ნაცარს. თუ ამ ხელისუფლებას რეალურად უნდა პოლიტიკური კრიზისის განმუხტვა, ეს ადამიანი უნდა გაათავისუფლოს დაკავებული თანამდებობიდან და მის მიმართ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე.





მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607
ახალი ქსელები 700 608
გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.

# გოგი დოლიძე ჩივის

ეკა ირემაშვილი

კინომცოდნე გოგი დოლიძემ კინოსა და თეატრის უნივერსიტეტის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

— ამ სარჩელით მოვითხოვ სამეცნიერო კონკურსის შედეგების გაუქმებას, რომელიც არაპროფესიონალების მიერ ჩატარდა. ამის თქმის უფლებას მაძლევს ის ფაქტი, რომ კომისიაში არ შედიოდა არც ერთი სპეციალისტი, რომელმაც იცის ქართული კინოს ისტორია. ვერავის მივცემ უფლებას, კინომცოდნეობა საქართველოში საერთოდ განადგურდეს და სწორედ ამიტომ კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ვასაჩივრებ, — აცხადებს პროფესორი გოგი დოლიძე.

გოგი დოლიძე ხელოვნებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თეატრისა და კინოს ხელოვნების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის კინოს მიმართულებაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობდა. კონკურსი სამი კვირის წინ ჩატარდა და უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის პოსტზე კომისიამ ეთერ ოკუჯავა დაამტკიცა.

— ჩვენმა რექტორმა ჩაატარა სამეცნიერო სექტორის კონკურსი, რომლებიც ვმუშაობთ ქართული კინოს ენციკლოპედიაზე. როგორც ჩვენმა ძვირფასმა რექტორმა გამოაცხადა კონკურსის შედეგები, გაიმარჯვა სხვამ, მე კი დავრჩი კონკურსის გარეთ.

***— იქნებ მართლა გაიმარჯვა ამ ქალბატონმა და თქვენ ტყუილად ჩივით?***

— თუ გაიმარჯვა, ამას დაადგენს სასამართლო. მე ყველას პირში ვუთხარი, რომ მათ დაარღვიეს ყოველგვარი დებულება. საკონკურსო კომისიაში არ იყო არც ერთი სპეციალისტი და როგორ გაიმარჯვა? ნუთუ ერთი სპეცალისტი მაინც არ უნდა იყოს კომისიაში? ეს არის წერა-კითხვის უცოდინარი, უწიგნური ხალხი. ამის დამტკიცება შეიძლება, როცა კონკურსი იქნება და როცა ტრიბუნა მომეცემა. როცა ჩემი ნაწერები არ წაუკითხავთ, როგორ მედავებიან? ჩემი ნაწერები ხომ არ გაქრება? ეს ნაწერები შევიტანე და დავდე სასამართლოში. მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

***— კონკურსი თავიდანვე კანონდარღვევით ჩატარდა?***

— ყოველგვარი წესი, კანონი, მორალი და დებულება დაირღვა ამ კონკურსში.

***— გჯერათ, რომ მოიგებთ სასამართლო პროცესს?***

— რას ჰქვია, მჯერა?! ამაში ეჭვი არ მეპარება. სოციოლოგებისა და მუზეუმების მენეჯერებისაგან შემდგარ კომისიას დაუწერია, რომ მე მაქვს 30 სტატია და იმ ქალბატონს აქვს 34 სტატია. თუ არ იქნა ის 34 სტატია, ვინ არის გამარჯვებული? არ არსებობს ბუნებაში ეს 34 სტატია, აქედან კი ყველაფერი ნათელია. კიდევ იმაზე მედავებიან, რომ მას აქვს სამი მონოგრაფია, მე კი — ერთი. ამის დამტკიცებას რა უნდა?! კომისიას არაფერი მოუთხოვია, არც წაუკითხავს, მაგრამ, რომც წაეკითხათ, მაინც ვერ გაიგებდნენ, იმიტომ რომ მათ არ იციან, ვინ არიან თენგიზ აბულაძე, ლადო გუდიაშვილი, ალექსანდრე წუწუნავა, ნიკოლოზ შენგელაია და რა ველაპარაკო ასეთ ხალხს? ამ ყველაფერს დავწერ და პირველ რიგში წარვადგენ სასამართლოში, შემდეგ კი — თქვენთან.

შოთა რუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის უნივერსიტეტში კი განმარტავენ:

— ეს ის „არაკომპეტენტური" კომისიაა, რომლის შემადგენლობაც გასულ წელსაც იგივე იყო და მაშინ გოგი დოლიძემ ამ კონკურსში გაიმარჯვა, თუმცა მათ პროფესიონალიზმში ბატონ გოგის შარშან ეჭვი არ შეუტანია.

# გურჯაანში „ოქროს შემოდგომა" დასრულდა

ეკა ირემაშვილი

გურჯაანში ფოლკლორის რეგიონული ფესტივალი „ოქროს შემოდგომა" დასრულდა. მასში მონაწილეობა გურჯაანის, ყვარლის, ახმეტისა და ლაგოდეხის ფოლკლორულმა გუნდებმა მიიღეს.

ფესტივალის ორგანიზატორმა, გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, ერთი კვირის განმავლობაში საფესტივალო პროგრამაში სხვადასხვა კულტურული ღონისძიება გააერთიანა. ფესტივალი საესტრადო სიმღერების კონკურსმა გახსნა, რომელიც გურჯაანის კულტურის ცენტრში გაიმართა. მასში მონაწილეობა ადგილობრივმა ახალგაზრდებმა მიიღეს. ფესტივალის ერთკვირიან პროგრამაში კი სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების აღსაზრდელთა ფოლკლორული საღამო და ბავშვთა თეატრების დათვალიერება გაიმართა.

გამარჯვებულთა დაჯილდოება „შემოდგომის ზეიმის" დღესასწაულზე მოხდა, რომელიც გურჯაანში 1 ნოემბერს გურჯანქალაქობაზე გაიმართა.



# ილია მეორე ხვალ ბაქოში ჩაბრძანდება

სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე დღეს ბაქოში გაემგზავრება.

როგორც „მედიანიუსს" საპატრიარქოში განუცხადეს, უწმინდესის ბაქოში ვიზიტი კავკასიის მუსლიმანთა საბჭოს მეთაურის გაჯი ალაჰშუკურ ფაშაზადეს დაბადების 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებას უკავშირდება, რომელიც 6 ნოემბერს გაიმართება.

როგორც რამდენიმე დღის წინ თვითონ პატრიარქმა აღნიშნა, 6 ნოემბერს იგივე ღონისძიებაზე სხვა ეკლესიების სულიერ ლიდერებთან ერთად, რუსეთის კათალიკოს-პატრიარქი კირილიც იქნება.

მედიანიუსი

# თბილისში ცოცხალი როკ-კონცერტი გაიმართება

ეკა ირემაშვილი

კომპანია „პრომო ინდასტრიზის" ორგანიზებით საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის საკონცერტო დარბაზში ცოცხალი როკ-კონცერტი გაიმართება.

„პრომო ინდასტრიზი" წარმოადგენს პრომოუტერულ-საპროდიუსერო კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა მუსიკოსების პროდიუსირება, როკ-კონცერტებისა და ფესტივალების ორგანიზება, საერთაშორისო ფესტივალებსა და ტურებზე მუსიკოსების გაგზავნა.

კომპანიის ხელმძღვანელი ლევან ბეიტრიშვილი

— ჩვენ მიერ ორგანიზებული კონცერტების მიზანია, საზოგადოება რაც შეიძლება ხშირად დაესწროს მაღალი დონის კონცერტებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ღონისძიებაზე ძირითადად 70-იანი წლების საუკეთესო როკ-ჯგუფების სიმღერები გაჟღერდება, ეს საღამოები არ არის მხოლოდ როკ-მუსიკოსებისა და ამ მუსიკალური მიმდინარეობის მოყვარულთათვის.

***— რა პრინციპით ადგენთ საკონცერტო პროგრამას?***

— ჩვენ ეტაპობრივად ვატარებთ გამოკითხვას, სადაც გამოიკვეთება ლიდერი ჯგუფები, ამის შემდეგ კი ვიწყებთ კონცერტისთვის მზადებას. გასულ თვეში საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში კომპანიამ გამართა როკ-კონცერტი „ლედ ზეპელინის ტრიბუტი", სადაც ქართველი ჯგუფების მიერ შესრულდა ლეგენდარული ბრიტანული როკ-ჯგუფის ჰიტების ქოვერები. კონცერტმა ჩაიარა ანშლაგით, ამან ბიძგი მოგვცა, რომ აღარ გავჩერდეთ და გვაგრძნობინა, რომ საქართველოში ასეთი მუსიკის კონცერტების დეფიციტია.

***— ახლა რას სთავაზობთ მსმენელს?***

— ახლა გვინდა, 70-იანი წლების საუკეთესო როკ-ჯგუფების შემოქმედება გავაერთიანოთ და მსმენელს შევთავაზოთ. 70-იანი წლების საუკეთესო როკ-ჯგუფების კონცერტის ჩატარება კვლავაც გამოკითხვის შედეგების ნახვის შემდეგ გადავწყვიტეთ.

***— რატომ 70-იანების მუსიკა?***

— იმიტომ, რომ 70-იანი წლების მუსიკამ მუსიკალური მიმდინარეობის თავისი ეპოქა შექმნა.

***— რომელი ჯგუფების კომპოზიციები შესრულდება თქვენს კონცერტზე?***

— შოუზე აუდიტორიას შესაძლებლობა ექნება, მოისმინოს ლეგენდარული ჯგუფების: „ბითლზის", „როლინგ სთოუნზის", „ლედ ზეპელინის", „დიფ ფარფლის", „ქვინის", „დორზის", „პინქ ფლოიდის", დევიდ ბოუვის, ელტონ ჯონისა და სხვათა უკვდავი ჰიტები საუკეთესო ქართველი როკ-მუსიკოსების შესრულებით. კონცერტზე ჯგუფები ასევე შეასრულებენ საკუთარ კომპოზიციებსაც.

***— ლეგენდარული ჯგუფების კომპოზიციების საკუთარი ვერსიით შესრულების უფლება აქვთ ქართველ მუსიკოსებს?***

— რა თქმა უნდა. მათ კონცერტზე არ უნდა წარმოადგინონ სიმღერის კალკი. ჩვენ ქართველ მუსიკოსებს ვაძლევთ შანსს, ამ უკვდავი ჰიტების მათეული ვერსია შემოგვთავაზონ, თუმცა პირობა უცვლელია — მათ მუსიკა არ უნდა დაამახინჯონ. ძალიან მიხარია, რომ შეირჩნენ კარგი მუსიკოსები, კარგი სიმღერები. ჩვენ, ორგანიზატორებს, მოგვწონს, ახლა მსმენელის გადასაწყვეტია, რომელი ქართული ჯგუფი როგორ დაინახავს ამა თუ იმ ჯგუფის უკვდავ ჰიტს. გამოკითხვამ გვაჩვენა, რომ ასეთ საღამოებს მსმენელი მონატრებულია. ჩვენს კონცერტებზე მარტო ახალგაზრდები კი არა, ხანშიშესული ხალხიც მოდის შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად.

***— გახდება თქვენი საღამოები სისტემატური?***

— რა თქმა უნდა. ჩვენ ასეთ კონცერტებს ყოველთვიურად ჩავატარებთ. ჩვენი კომპანიის მიზანი არ არის მხოლოდ ტრიბუტ საღამოები, ჩვენ გვინდა, ფართო საზოგადოებამ ამ უკვდავი ჰიტების წყალობით გაიცნოს და შეიყვაროს ქართველი მუსიკოსები.

***— ბევრია თქვენს საღამოებში მონაწილეობის მსურველი?***

— ძალიან ბევრი და ეს გვახარებს. ჩვენ ვცდილობთ, ყველა კონცერტში სხვადასხვა ჯგუფი გამოვიყვანოთ. წინა კონცერტიდან ახალ ღონისძიებაში მხოლოდ ორი ჯგუფი მონაწილეობს.

***— ახალ კონცერტში ვინ მონაწილეობს?***

— ჯგუფები „სანდა", „ლაბირინთი", „აპრილი", გიგი გეგელაშვილის ახალი ბენდი „გობლინს", „ქომიქ ქონდიშენი" და „ბლუზ ფაქტორი". ყველა ეს ჯგუფი ნებისმიერ კონცერტს დაამშვენებდა. საბედნიეროდ, საქართველოში ბევრი უნიჭიერესი ბენდია, მაგრამ მათ არ აქვთ შესაძლებლობა, ეს ნიჭი გამოავლინონ. ჩვენი კომპანია კი სწორედ ასეთ მუსიკოსებს ეხმარება. ჩვენი მიზანია, მათ შეუქმნას ფონი და შესაძლებლობა დიდ სცენაზე ამ ნიჭის წარმოსაჩენად.

კომპანია „პრომო ინდასტრიზის" მიერ ორგანიზებული კონცერტი საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში 8 ნოემბერს გაიმართება.

# ქართველი პიანისტი საერთაშორისო კონკურსზე დაუკრავს

ეკა ირემაშვილი

აფხაზეთიდან დევნილი 15 წლის ანა ყიფიანი (ლევან ინაშვილის კლასი) იაპონიაში ჰამამაცუს მეშვიდე პიანისტთა საერთაშორისო კონკურსში მიიღებს მონაწილეობას.

იგი ერთ-ერთია იმ 100 მონაწილეთაგან, რომელიც პირველ ტურში მსოფლიოს მასშტაბით 250 პრეტენდენტიდან შეირჩა. ის კონკურსზე შუმანის „იუმორესკას", შოპენის მესამე სონატას, სკრიაბინის მეორე სონატა „ფანტაზიას" და ბეთჰოვენის ვარიაციებს შეასრულებს.

ახალგაზრდა პიანისტი უკვე არის კრაინევის მე-9 საერთაშორისო კონკურსის გრან-პრის მფლობელი, ასევე პიანისტთა საერთაშორისო და ეროვნული კონკურსების პირველი პრემიების ლაურეატი, კონკურსის „იტალია იღებს მეგობრებს" და ტრივი „მეცოს" მონაწილე. ამის მიუხედავად, ქართველ პიანისტს მიაჩნია, რომ თავისი მასშტაბებითა და მნიშვნელობით იაპონურ კონკურსში მონაწილეობა მის შემოქმედებით ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეტაპია.

# საქართველოში გამოკითხვა სერიოზულად ვერასდროს ჩატარდება

დასაწყისი მე-7 გვერდზე

უგულავას ჯერ კიდევ აქვს, ცხადია, შანსი, თუ არ ვცდები, გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე თუნდაც ალასანიას.

***— დაბოლოს, პარტიებისა და პოლიტიკოსების ბოლო რეიტინგს როგორ შეაფასებთ, რომელიც ამერიკულმა რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა ჩაატარა?***

— ამაზე დავწერე სტატია სახელწოდებით „სამი მომენტი გასული კვირისა". ეს იყო ჰოლივუდელი ვარსკვლავის გამოჩენა სააკაშვილის როლში, შემდეგ იყო ჟურნალ „ტაიმის" მიერ გაკეთებული უზარმაზარი სტატია სააკაშვილზე და მესამე იყო ეს „აირაის" გამოკითხვის შედეგები. სამივე იყო დიდი დაწოლა საქართველოს მოსახლეობაზე, ფსიქოლოგიური, მასმედიური მიწოლა ქართველებზე, რაც შეიძლება მძაფრად და მაგრად.

სამივესთან დაკავშირებით მე ასეთ პოზიციას გამოვხატავ — ის მღერის, ვინც მუსიკას უკვეთს, ანუ შემკვეთი ამ შემთხვევაში სააკაშვილია. როდესაც „აირაი" აცხადებს და აქვეყნებს ამ შედეგებს, მე ერთი წუთითაც ეჭვი არ შემპარვია, რომ ეს არის სააკაშვილისა და მისი გუნდის მიერ შეკვეთილი, თორემ წარმოუდგენელია, სააკაშვილის ჰქონდეს ასეთი რეიტინგი, რომელიც ქვას ქვაზე არ დატოვებს, ანდა, ვთქვათ, ასეთი პოპულარულები, როგორიც არიან ნაციონალური მოძრაობის პარტიელები და ა.შ. ეს ძალიან დამაფიქრებელია. ამ ქვეყანაში ყველაფერი დიდი კითხვების ქვეშ არის. განსაკუთრებით საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგები კითხვების ქვეშ კი არა, პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიყალბეა. ჯერ ერთი, საქართველოში, უბრალოდ, ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება, მოსახლეობის გამოკითხვები ჩაატარო, როდესაც მოსახლეობა აქ ერთს ფიქრობს, მეორეს პასუხობს და მესამეს გეგმავს თავის თავში. ე.ი. ჩვენი მოსახლეობა უკვე დაეჩვია არა ორმაგი, არამედ სამმაგი და ოთხმაგი სტანდარტებით ცხოვრებასაც. ამიტომ არც ერთი გამოკითხვა საქართველოში არ შეიძლება ჩატარდეს სერიოზულად და ნორმალურად თუნდაც ამ კომპონენტიდან გამომდინარე, რაც უკვე გითხარით, მით უმეტეს, როდესაც ეს არის დადგმული სპექტაკლი. ცხადია, აქ ზედმეტია რაიმე ჭეშმარიტებასა და სიმართლეზე საუბარი.


## განცხადებები

● პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე მკურნალობს იაპონური აპარატით და წურბელებით, მალამოებით უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, რადიკულიტს, თმის ცვენას, ბუასილს ოპერაციის გარეშე, განგრენის საწყის ფორმას, წითელ ქარს, ტროპიკულ წყლულს, დაწყლულებულ ფეხებს, ფრჩხილების სოკოს, ფსორიაზს, პიგმენტურ ლაქებს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ცხიმგროვას თვალებზე, პეპატიტს A,B,C. საერთო მკურნალობის კურსი 5-10 დღიანია. ტელ: 893-39-04-87; 96-38-27. აღმაშენებლის 93.

● სიმაღლეში ზრდა სწრაფად და ეფექტურად 2-დან 25 წლამდე თვეში 3-4 სმ. მცენარეული პრეპარატებით. ტელ: 858-46-36-74; 35-17-39 ექიმი ქეთევანი.

● ვმკურნალობ მამაკაცურ პრობლემებს, იმპოტენციას, პროსტატის ადენომას, შარდის შეკავება-შეუკავებლობას მცენარეული პრეპარატებით ხელმისაწვდომ ფასად. ტელ: 899-53-68-18, 35-17-39 ექიმი ქეთევანი.

● ვყიდი ნატა ვაჩნაძის პირად ნივთს, ანტიკვარს, XIX საუკუნის ზარდახშას. ფასი შეთანხმებით. ტელ: 34-63-27; 877 44-93-28.

● გახდომა თვეში 10-15 კგ, გასუქება თვეში 5 კგ-ით, სიმაღლეში ზრდა თვეში 3-5 სმ. ტელ: 34-02-38; 893-12-77-09 ნონა.

● მხოლოდ მცენარეულ ნედლეულზე დამზადებული პროდუქციით ვმკურნალობთ: ნევროზს, უძილობას და გულსისხლძარღვთა დაავადებებს. ტელ: 898-201-101 იკითხეთ ირინა.

● შევიძენყველასახისწიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.

● იყავით ტანადნი და ჯანმრთელნი! წონაში სწრაფად კლება და მომატება, ჭარბთმიანობა, თმის ცვენა, ორგანიზმის გაწმენდა უნიკალური მცენარეული საშუალებებით, ოპერაციის გარეშე საკვერცხის კისტის, მიომას, ჩიყვის, კუჭის წყლულის, ბუასილის მკურნალობა 100%-იანი შედეგით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 34-02-38; 855 49-50-38 ნინო.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის, ასაკის, ზომის და რაოდენობის წიწვოვან და ფოთლოვან ხე-მცენარეთა ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. ტელ: 96-62-96 საღამოს, მობ: 897-96-62-96.

● მამაკაცებისთვის!იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 57-66-90 (საღამოს); 899-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871 33-01-61.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან გათავისუფლება, ორგანიზმისა და ღვიძლის გაწმენდით, დამოკიდებულების მოხსნა, ასევე იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შეკავება-შეუკავებლობა, ტკივილი და წვა შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-96-89-15 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში ზრდა სწრაფად და ეფექტურად 2-დან 25 წლამდე თვეში 3-4 სმ. მცენარეული პრეპარატებით. საუკეთესო შედეგებით. ტელ: 858-46-36-74; 35-17-39 ექიმი ქეთევანი.

● ვმკურნალობ მამაკაცურ პრობლემებს, იმპოტენციას, პროსტატის ადენომას, შარდის შეკავება-შეუკავებლობას მცენარეული პრეპარატებით ხელმისაწვდომ ფასად. საუკეთესო შედეგებით. ტელ: 899-53-68-18, 35-17-39 ექიმი ქეთევანი.

● ამერიკაშისტაჟირებულიფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მოედანზე (სუპერმარკეტ „ბიფე-სის" სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.

# ზესტაფონური ცივი შხაპი და დანარჩენი მშვიდობა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ძირითადად ჩემპიონატზე ჰქონდა გადატანილი, რაც რამდენჯერმე ეჭვის საგანი გახდა სპეციალისტებში (იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ თასის თამაშებს „ვიტ ჯორჯია“ ჩემპიონატში ცვლიდა ქულებზე). წელს კი, როგორც ჩანს, ამ ეჭვების გასაქარწყლებლად „ვიტ ჯორჯიამ“ თასზეც გაიბრძოლა და იმერეთს საბრძოლო შემადგენლობით ეწვია, თუმცა, როგორც გამოჩნდა, უშედეგოდ. მართალია, ვეტერინარებიც იწევდნენ მეტოქის კარისკენ, უფრო მეორე ტაიმში, მაგრამ არცთუ ფხიანად და რაიმე რეალურის შექმნა ვერ მოახერხეს.

მეორე ტაიმი შედარებით მშვიდად ჩატარდა. „ზესტაფონი“ მიხვდა, რომ საქმე უკვე სანახევროდ გადაწყვეტილი ჰქონდა და მაინცდამაინც არ მოუკლავს თავი შეტევებში, ამასთან, თავს მშვენივრად იცავდა და მატჩის თავისთვის სასარგებლო შედეგით დასრულება არ გასჭირვებია.

### „ჩიხურა“ — „დინამო“ 1:1
**0:1 გ.კაშია (21), 1:1 ენუქიძე (67)**

**„ჩიხურა“:** დოლაძე, მაჭარაშვილი (გვეტაძე 84), მგალობლიშვილი, ცარციძე, ტყებუჩავა, ზაბახიძე, ჭილაძე, ქამუშაძე (დეკანოიძე 46), პეტრიაშვილი (სტეფანიშვილი 56), ენუქიძე, კობახიძე

**„დინამო“:** ლორია, კაკუბავა, გ.კაშია, კრშკო, თომაშვილი, მამუჩაშვილი, ჯიშკარიანი, ნემსაძე, ჯუისი (ლექვთაძე 63), კოშკაძე, სიხარულიძე

„დინამო“ ამ მატჩს სერიოზული დანაკლისით შეხვდა — გუნდის ხელმძღვანელობის მიერ დათხოვნილ დავით დიღმელაშვილსა და გიორგი ნერგაძეს ტრავმირებული ფეხბურთელებიც დაემატნენ — ლევან ხმალაძე, გიორგი მერებაშვილი და მათე ვაწაძე, ეს დანაკლისი დისკვალიფიცირებულმა შოთა კაშიამ და ჯორჯ აკირემიმ „შეავსეს“. სამაგიეროდ გუნდს დაუბრუნდა ტრავმამოშუშებული მილოშ კრკშკო, მაგრამ ამხელა დანაკლისს სლოვაკი ფეხბურთელი ვერ შეავსებდა.

საჩხერეში ამინდი არცთუ იდეალური გამოდგა მატჩისთვის, მაგრამ სათამაშო ტემპი საშუალოზე მაღალი იყო, რასაც ვერ ვიტყვით ფეხბურთელთა საშემსრულებლო ოსტატობაზე.

მატჩის დასაწყისში „დინამო“ უფრო აქტიურად გამოიყურებოდა, მაგრამ საქმე კარში დარტყმამდე არ მიდიოდა, სამაგიეროდ პირველივე დარტყმა გოლად აქციეს — 21-ე წუთზე მასპინძლებმა თავიანთი საჯარიმოს სიახლოვეს ვაჟა ნემსაძე წააქციეს, რომელიც გუნდის კაპიტანმა გურამ კაშიამ ზუსტად შეასრულა და ანგარიში გახსნა.

თითქოს გაშვებულ გოლს ელოდაო და მასპინძლებიც უფრო გამოცოცხლდნენ. ტაიმის ბოლომდე გუნდებმა თითო სახიფათო მომენტი გაცვალეს.

მეორე ტაიმში სტუმრები უფრო აქტიურები იყვნენ, მაგრამ გოლი მასპინძლებმა გაიტანეს — 67-ე წუთზე კობახიძის კუთხურის შემდეგ კარში დარტყმას დეკანოიძე ცდილობდა, თუმცა ბოლოს ბურთს მიმართულება ენუქიძემ მისცა და ანგარიში გაათანაბრა.

დინამოელებს შეეძლოთ მატჩი თავიანთ სასარგებლოდ დაესრულებინათ, მაგრამ შესანიშნავად თამაშობდა საჩხერელთა მეკარე. დოლაძემ მამუჩაშვილის, კოშკაძის, ლექვთაძისა და სიხარულიძის დარტყმები მოიგერია, ხოლო როდესაც მასთან პირისპირ სიხარულიძე დარჩა, დინამოელმა ბურთის დარტყმა ვერ მოახერხა.

სავარაუდოდ, ამ წყვილში გამარჯვებულის ვინაობაც ცნობილია — მიუხედავად გუნდში არსებული პრობლემებისა, დინამოელებს საშინაო მატჩში პირველლიგელი გუნდის დამარცხება და ნახევარფინალში გასვლა არ გაუჭირდება.

### „ბაია“ — „სპარტაკი“ 1:1
**1:0 კვეკვესკირი (4), 1:1 ბოიომო (60)**

ამ წყვილის პირველი მატჩი, შესაძლოა ითქვას, ლოგიკურად დასრულდა, თუმცა მიმდინარე სეზონში „სპარტაკი“ უფრო უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე ზუგდიდური გუნდი და საშინაო მატჩში, ალბათ, ყველაფერს ლოგიკურად დააყენებს.

### „მეშანი“ — „კოლხეთი“ 0:0

საქართველოს თასის გათამაშებაში პირველი შემთხვევა იქნება, როდესაც ნახევარფინალში პირველლიგელი გუნდი გავა. მათი პირველი მატჩი მარტვილში უგოლოდ დასრულდა და ყველაფერი ფოთში გასამართ შეხვედრაში გადაწყდება.

# ფსონები ახალშობილზე

ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელ უეინ რუნის ვაჟი შეეძინა. მისმა მეუღლე კოლინმა ორშაბათ ღამით იმშობიარა და მეუღლეს 3.700-კილოგრამიანი მემკვიდრე აჩუქა, რომელსაც კაი უეინ რუნი დაარქვეს. საინტერესოა, რომ მანჩესტერული გუნდის ფეხბურთელის ცოლმა ლივერპულის ჰოსპიტალში იმშობიარა — ქალაქში, სადაც რუნის მშობლები ცხოვრობენ.

მშობიარობას თავად ფეხბურთელიც ესწრებოდა და ამის გამო გუნდის ვარჯიშებიც გააცდინა. ჩვილი უკვე გადაიყვანეს სახლში — კოლინიც და პატარა რუნიც თავს მშვენივრად გრძნობენ.

რაც შეეხება სახელს — კაის უელსურ-სკანდინავიურ-ბერძნული ფესვები აქვს და გასაღების მცველს ნიშნავს, ხოლო უეინი ჩვეულებრივი ბრიტანული სახელია.

კიდევ ერთი ცნობა ახალშობილის შესახებ საბუკმეიკერო კანტორებმაც გამოაქვეყნეს. პატარა რუნი ჯერ მხოლოდ 2 დღის არის და საქვეყნოდ ცნობილი „უილიამ ჰილი“ მასზე უკვე ფსონებს იღებს. თუ ახალშობილი საერთოდ მამის კვალს გაჰყვება და ფეხბურთს ითამაშებს, კოეფიციენტი 66-ის ტოლია, თუ ინგლისის პრემიერლიგის რომელიმე გუნდში მოხვდება — 100-ჯერ გაიზრდება დადებული თანხა, 125-ჯერ მეტი მოგება გაიცემა თუ „მანჩესტერში“ ითამაშებს, ხოლო ინგლისის ნაკრებში თამაშის შემთხვევაში მოგება 150-ჯერ მეტი იქნება.

გავრცელებული ინფორმაციით, ამ მოკლე დროის მანძილზე საბუკმეიკერო კანტორამ უკვე მიიღო 650.000 გირვანქის ფსონები.

# ვილიას მხოლოდ მანჩესტერი აწყობს

როგორც კი „ვალენსიას“ ხელმძღვანელობა ვალების გადახდის მიზნით გუნდის ერთ-ერთი ლიდერის დავიდ ვილიას შესაძლო გაყიდვაზე ალაპარაკდა, საქმეში მაშინვე ჩაერთო ლონდონის „ჩელსი“. რომან აბრამოვიჩის გუნდის მიზანი ნათელია — სურთ, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი სათავისოდ შეიძინონ და კონკურენტებს დაასწრონ, რომელთა შორის ყველაზე მეტად ასევე ბრიტანული „მანჩესტერი“ აქტიურობს. „ჩელსი“ მზად არის, ფეხბურთელის სანაცვლოდ 33 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს.

„ჩელსის“ სურვილი ერთია, ფეხბურთელის — მეორე. ვილიას ახლობლები ღიად აცხადებენ, რომ ფეხბურთელი ინგლისში თუ გადავა, ეს მხოლოდ „მანჩესტერი“ იქნება და სხვა გუნდები ნურც შეეცდებიან მის გადაბირებას.

— გასულ ზაფხულს „ჩელსი“ უკვე იჩენდა ინტერესს ვილიას გადასაბირებლად, მაგრამ თავად ფეხბურთელს მისი განხილვა აზრადაც არ მოსვლია. ჯერ ერთი, თავად ფეხბურთელს ეჭვი ეპარება, ექნება თუ არა საკმარისი სათამაშო დრო ლონდონურ კლუბში, ამასთან, „ჩელსის“ სათამაშო სტილი მაინცდამაინც არ ხიბლავს. დავიდისთვის ინგლისში უპირველეს გუნდად „მანჩესტერი“ რჩება და, თუ ბრიტანეთში გადასვლას მოისურვებს, სწორედ ამ გუნდში გადავა, თუმცა გარკვეული პრობლემა აქაც იქმნება — ფეხბურთელის ასაკი და საკმაოდ მაღალი ფასი, რომელსაც „ვალენსია“ ითხოვს. თუ მანჩესტერელები მოახერხებენ ესპანურ კლუბთან ამ საკითხების მოგვარებას, მაშინ ვილია „ოლდ ტრაფორდზე“ ითამაშებს.

# ჟერმეინ პენანტი: „ბენიტესმა მიდგომა არ იცის“



ჟერმეინ პენანტი ნისლიან ალბიონზე „არსენალსა“ და „ლივერპულში“ თამაშობდა, ამჟამად ესპანური პრიმერა დივიზიონის „სარაგოსას“ ღირსებას იცავს. სამშობლოში ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელმა ვერც ერთ გუნდში ვერ შეძლო ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება და ამაში სწორედ „ლივერპულის“ ესპანელ მწვრთნელ რაფაელ ბენიტესს ადანაშაულებს. პენანტის აზრით, ბენიტესი ურიგო მწვრთნელი არ არის, მაგრამ ფეხბურთელებისადმი მიდგომა არ იცის, რაც მერსისაიდულ გუნდს პრემიერლიგის ჩემპიონს ვერასდროს გახდის.

***— რამდენიმე დღის წინ აცხადებდით, რომ „ლივერპულის“ ბოლოდროინდელი წარუმატებლობა რაფაელ ბენიტესის ბრალია, თუმცა მას შემდეგ ლივერპულელებმა მოახერხეს „მანჩესტერის“ დამარცხება. ამ ფაქტმა აზრი ხომ არ შეგაცვლევინათ?***

— „მანჩესტერის“ დამარცხება ნებისმიერი გუნდისთვის საამაყო და გასახარი შედეგია, მაგრამ მხოლოდ მათთან მოგება აზრს ვერ შემაცვლევინებს. ფერგიუსონის გუნდის დამარცხებამდე „ლივერპულმა“ ზედიზედ 4 მატჩი წააგო, ხოლო მას შემდეგ — კიდევ ერთი მატჩი პრემიერლიგაში და ერთიც ლიგის თასზე „არსენალთან“. ჩემი აზრით, ბენიტესმა თავისი შესაძლებლობები ამოწურა „ლივერპულში“ და მის ხელში გუნდი ვერასდროს გახდება ინგლისის ჩემპიონი.

***— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?***

— ესპანელი სპეციალისტის სათამაშო ტაქტიკა ძალიან ფრთხილია, რაც „ლივერპულის“ ვარსკვლავებს ხელს უშლის, თავიანთი შესაძლებლობები სრულად წარმოაჩინონ. ბოლო დროს „ლივერპულმა“ რამდენიმე ძვირადღირებული ტრანსფერი განახორციელა, მაგრამ შედეგი არ ჩანს. ბენიტესმა ეს ტრანსფერები ეფექტურად ვერ გამოიყენა.

***— თქვენ „ლივერპულის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება გიჭირდათ, ბოლოს კი საერთოდ დაგითხოვეს „ენფილდ როუდიდან“. ეს გამონათქვამები ბენიტესისადმი წყენით ხომ არ არის გამოწვეული?***

— კითხვა ძალიან არაკორექტულად არის დასმული და უფლებას ვიტოვებ, უპასუხოდ დავტოვო.

***— მაშინ, თუ შეიძლება, მიპასუხეთ — ბოლო დროს „ლივერპული“ რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა. თქვენი აზრით, ისინი იმსახურებდნენ გუნდიდან წასვლას?***

— თუ აკვირდებით რობი კინისა და პიტერ კრაუჩის თამაშებს „ტოტენჰემში“, ამ კითხვის პასუხს ავტომატურად მიიღებთ. რატომ ვერ გაიხსნენ ისინი „ლივერპულში“? ამის მიზეზის ახსნა უმარტივესია — ბენიტესი მათ სრულ თავისუფლებას უზღუდავდა, არასწორად ურჩევდა პოზიციებს და მათი სათამაშო სტილის მიმართ ტაქტიკურადაც ბევრ შეცდომას უშვებდა. ესპანელი სპეციალისტის სათამაშო ტაქტიკის მორგება ნებისმიერ შემოქმედებითი სტილის ფეხბურთელს გაუჭირდება. მის ხელში თავის შესაძლებლობებს ვერც ერთი ფეხბურთელი სრულად ვერ წარმოაჩენს.

***— გინდათ თქვათ, რომ ბენიტესი სუსტი სპეციალისტია?***

— ასეთი რამ არ მითქვამს და არც მაქვს უფლება. ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ ბენიტესს ისეთი ტაქტიკური გადაწყვეტილება მიუღია, მეტოქე აზრზე ვერ მოსულა. მას ერთადერთი სისუსტე გააჩნია და ეს არის ნიჭიერი ფეხბურთელებისთვის მოედანზე არასწორი პოზიციის შერჩევა და ფუნქციების სათანადოდ ვერგამოყენება. ბენიტესი შეშინებულ ფეხბურთს რომ არ ათამაშებდეს გუნდს, „ლივერპულიც“ და მისი თითოეული ფეხბურთელიც გაცილებით ლაღად ითამაშებდა — დაახლოებით ისე, როგორც „ბარსელონა“ თამაშობს. თუ ძლიერი მწვრთნელის იმიჯი უნდა, ბენიტესმა ხოსე გვარდიოლას უნდა მიბაძოს. მართალია, ფეხბურთელები თავიანთ ნებაზე არ უნდა მიუშვას, მაგრამ არ უნდა შეუზღუდოს ის, რაც მათი ძლიერი მხარეა. ამას დიდი სამწვრთნელო გამოცდილება სჭირდება და გასაკვირი ის არის, რომ გვარდიოლამ გამოცდილების გარეშე მოახერხა ამის დანახვა, ბენიტესს კი საკმაოდ ხანგრძლივი სამწვრთნელო კარიერა უმაგრებს ზურგს და ეს ვერ შეძლო.

# ლივერპულის ტრავმაქრონოლოგია

„ლივერპულს“ ბოლო დროს სერიოზული პრობლემები მოეძალა, მაგრამ სადღეისოდ ჩემპიონთა ლიგაზე გასამართ მატჩში „ლიონთან“ მერსისაიდული კლუბი ისეთ დღეშია, მტერიც რომ არ ისურვებს.

კლუბის ვებგვერდის ცნობით, ფრანგებთან მატჩში „ლივერპულმა“ შესაძლოა 11 ფეხბურთელი მოისაკლისოს.

ყველაზე მძიმე დანაკლისი, რა თქმა უნდა, გუნდის კაპიტნის, სტივენ ჯერარდის არყოლა იქნება. მისი გამოჯანმრთელება იმაზე მეტად გაიწელა, ვიდრე ამას თავიდან ვარაუდობდნენ.

— „ლიონთან“ მატჩში ჯერარდი ვერ ითამაშებს. ეს შეიძლება დარწმუნებით ითქვას. სტივენი კიდევ მკურნალობს, რაც ძალიან საწყენია, მაგრამ, ისღა დაგვრჩენია, მოთმინებით ველოდოთ მის გამოჯანმრთელებას. მას გაუკეთდა ინექცია, მაგრამ საბოლოო პასუხი მხოლოდ 2-3 დღის შემდეგ გვეცოდინება, — განაცხადა ბენიტესმა.

ასევე ცნობილია, რომ სასტარტო შემადგენლობაში არ იქნება გუნდის კიდევ ერთი ლიდერი, ფერნანდო ტორესი, თუმცა მისი გამოჩენა მოედანზე მაინც შესაძლებელია, რადგან ბენიტესი მის განაცხადში შეყვანას აპირებს.

— როდესაც „ფულემთან“ მატჩში ტორესი შევცვალე, თავს კრიტიკის ქარცეცხლი დამატყდა, მაგრამ სიტუაცია არც ისე იყო, როგორც გულშემატკივარი ფიქრობდა. მაშინ გვეგონა, რომ ტორესს აუცილებლად დასჭირდებოდა ოპერაცია, მაგრამ ბოლო დღეებში სიტუაცია შეიცვალა და კარგია, რომ მისი ჯანმრთელობა ქირურგიული ჩარევის გარეშე გაუმჯობესდება. ამჟამად ფერნანდო თავს ისევ სუსტად გრძნობს, ამიტომ მის მოედანზე გაყვანას ვერ გავრისკავ, რადგან შესაძლოა გართულებები მოჰყვეს, თუმცა განაცხადში აუცილებლად მეყოლება, — აღნიშნა ლივერპულელთა მწვრთნელმა.

უკვე ცნობილია, რომ მოედანზე გასვლას ასევე ვერ შეძლებენ ალბერტ რიიერა, მარტინ შკრტელი და მარტინ კელი. საეჭვოა გლენ ჯონსონის, დანიელ აგერისა და ფაბიო აურელიოს თამაშიც, რომლებმაც „ფულემთან“ მატჩი გამოტოვეს. მათ გარდა, ეჭვქვეშ დადგა ალბერტო აკვილანისა და დიეგო კავალიერის თამაში. აკვილანმა ახლახან მოირჩინა ტრავმა, თუმცა გაცივდა და ახლა ვირუსს ებრძვის, ისევე, როგორც კავალიერი.

— აკვილანი ისევ მკურნალობს, ამჯერად მას ვირუსული ინფექცია შეეყარა, მართალია, გუნდთან ერთად ვარჯიშობს, მაგრამ მისი ფიზიკური მდგომარეობით კმაყოფილი არ ვარ. თითქოს არც ისე მძიმე მოჩანს შკრტელის ტრავმა, მაგრამ, თუ ახლა არ გავუფრთხილდით, ექიმების აზრით, შესაძლოა მძიმე მდგომარეობა მივიღოთ. საფრანგეთში გუნდთან ერთად არ წამოვა აურელიოც, ხოლო აგერი, ნგოგი და ჯონსონი ჩვენთან ერთად წამოვლენ და იქ გაირკვევა, შეძლებენ თუ არა „ლიონთან“ თამაშს, — დასძინა ესპანელმა სპეციალისტმა.

# კიევში გულშემატკივრებს პირბადეები დაურიგდებათ

დღეს კიევში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მატჩი გაიმართება ადგილობრივ „დინამოსა“ და მილანის „ინტერს“ შორის. ერთხანს ამ მატჩის გადადებაზეც იყო საუბარი, რადგან უკრაინის რამდენიმე რეგიონში ღორის გრიპის ვირუსი დაფიქსირდა, მაგრამ უეფამ ნება დართო, ეს მატჩი დაგეგმილ დღეს გამართულიყო.

ჯერ კიდევ გასულ კვირაში უკრაინის სპორტის მინისტრის განცხადებით, ღორის გრიპის ეპიდემიის გამო მატჩის ცარიელ ტრიბუნებზე ჩატარებაც იგეგმებოდა. უკრაინაში სადღეისოდ საერთოდ აკრძალულია მასობრივი ღონისძიებები, მათ შორის, სპორტულიც. საერთოდ შეჩერებულია ადგილობრივი ჩემპიონატი ქვედა ლიგებში, მხოლოდ უმაღლესი ლიგის მატჩები იმართება, მაგრამ დასწრება იმდენად დაბალია, რომ მის დროებით გადადებასაც ფიქრობენ.

ყველაფერ ამის მიუხედავად, დინამოელთა პრეზიდენტი იგორ სურკისი ფიქრობს, რომ მატჩი სავსე ტრიბუნების ქვეშ გაიმართება.

— იმედი მაქვს, „დინამო“ — „ინტერის“ მატჩი მაინც დიდ ინტერესს გამოიწვევს და სტადიონის ტრიბუნები შეივსება, თუმცა ახლა ქვეყანაში ისეთი სიტუაციაა, ამის 100-პროცენტიანი გარანტია არ არსებობს, რადგან გულშემატკივრების მხარდაჭერა დიდ რისკთან იქნება დაკავშირებული. ქვეყნის 9 ოლქში საკმაოდ რთული სიტუაციაა, მაგრამ უკრაინის აღმოსავლეთ და ცენტრალურ ზონებში საქმე შედარებით მშვიდად არის. ჩვენ უკვე შევიძინეთ გულშემატკივრებისთვის დამცავი საშუალებები (პირბადეები), რომელიც სტადიონის შესასვლელშივე დაურიგდებათ. სტადიონზე 17.000 მაყურებელი ეტევა, ხოლო ჩვენ 20.000 პირბადე შევიძინეთ. გულშემატკივარს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს და მათი დახმარებით შეგვიძლია, მეტოქე დავამარცხოთ, რაც ჯგუფიდან გასვლის შესაძლებლობას მოგვცემს. ჯერ მხოლოდ 3 ტურია გასული, მაგრამ სადღეისოდ ჯგუფში ისეთი სიტუაცია, რომ ყველაფერი თავიდან იწყება, — განაცხადა სურკისმა.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**
შეფილდი-ნიუკასლი ........ 0:1

**იტალია. სერია ბ**
მანტოვა-ბრეშა ........ 2:2

**გერმანია. II ბუნდესლიგა**
ჰანზა-ზ.პაული ........ 0:2

**საფრანგეთი. II ლიგა**
ლე ავრი-ნანტი ........ 4:0

**პორტუგალია. ა ლიგა**
აკადემიკა-გიმარაეში ........ 2:0

**ბელგია. პროლიგა**
გენკი-სერკლი ........ 2:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**
ვიქტორია-ბრნო ........ 1:1

**დანია. სასლიგა**
ოდენსე-ოლბორგი ........ 1:1

**არგენტინა. პრიმერა**
ბანფილდი-ესტუდიანტესი ........ 2:1
ტიგრე-ოლდ ბოიზი ........ 1:2

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**
შარლოტი-ნიუ ........ ჯერსი
79:68
ნიუ ........ იორკი-ნიუ
ორლეანი ........ 117:111
იუტა-ჰიუსტონი ........ 96:113
საკრამენტო-მემფისი ........ 127:116(ოტ)
კლიპერსი-მინესოტა ........ 93:90

**ჩოგბურთი**

**ბაზელი. ატპ. ტური**
სეპი-ბოგლი ........ 4:6;6:1;7:5
ფედერერი-როხუსი ო. ........ 6:3;6:4
შტეპანეკი-შუტლერი ........ 6:2;6:0

**ვალენსია. ატპ. ტური**
მონტანესი-ბაუტისტა ........ 6:1;3:6;6:4
ბერდიჩი-მატი ........ 6:3;6:4
ლოპესი-გრული ........ 7:5;6:2
დავიდენკო-ფალა ........ 6:2;6:1
სიმონი-კუნიცინი ........ 6:3;6:2
მონფილსი-გრანოლერსი ........ 6:4;6:2
მონაკო-ვასაიო აგუერო ........ 6:3;6:2

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**
ფილადელფია-ტამპა ბეი ........ 6:2
აილენდერსი-ედმონტონი ........ 3:1
ფინიქსი-ლოს ანჯელესი ........ 3:5

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## დღის კალენდარი
**4 ნოემბრისთვის**



წლის 308-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 57 დღე.

### საეკლესიო კალენდარი

22-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. ოთხშაბათი

ხსენება მოციქულთა სწორისა ამბერკისა - იერაპოლის ეპისკოპოსისა. საკვირველთმოქმედისა (დაახლ. 167); წმიდა შვიდთა ყრმათა ეფესელთა: მაქსიმილიანესი, იამბლიქოსი, მარტინიანესი, დიონისესი, ანტონინესი, ექსაკუსტოდიანესი (კონსტანტინე) და იოანესი (დაახლ. 250); მოწამეთა: ალექსანდრე ეპისკოპოსის ირაკლი მხედრისა და ოთხთა დედათა: ანნასი, ელისაბედისა, თეოდოტიასი და გლიკერიასი. დღესასწაული ყაზანის ღვთისმშობლის ხატისა.

### დაიბადნენ:

1575 - გვიდო რენი, იტალიელი ფერმწერი.

1812 - ნინო ჭავჭავაძე, პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი და ცნობილი რუსი მწერლისა და დიპლომატის ალექსანდრ გრიბოედოვის მეუღლე.

1942 - ჟიგმონდ მორიცი, უნგრელი მწერალი.

### გარდაიცვალნენ:

1919 - სოფია ტოლსტაია, ცნობილი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის მეუღლე.

1924 - გაბრიელ ფორე, ფრანგი კომპოზიტორი.

1987 - იცხაკ რაბინი, ისრაელის პრემიერ-მინისტრი, მოკლა ებრაელმა ექსტრემისტმა.

2001 - ილია ანთელავა, საქართველოს ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი.

### მოვლენები:

1493 წელი - ქრისტეფორ კოლუმბის ექსპედიციამ კუნძული გვადელუპა აღმოაჩინა.

1838 წელი - სტენდალმა დაიწყო თავისი ცნობილი რომანის "პარმის სავანის" წერა, რომელიც შვიდ კვირაში დაამთავრა.

1848 წელი - საფრანგეთის დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საფრანგეთის მეორე რესპუბლიკის კონსტიტუცია.

1853 წელი - თურქეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს.

1879 წელი - ჯეიმს რიტიმ დააპატენტა პირველი საკასო აპარატი, რათა ბოლო მოეღო ბარმენთა ქურდობისათვის თავის მაღაზიაში ოჰაიოს შტატის პატარა ქალაქ დეიტონში.

1890 წელი - ლონდონში გაიხსნა მსოფლიოში პირველი მიწისქვეშა ტრანსპორტი - მეტრო.

1922 წელი - ინგლისელმა არქეოლოგმა ჰოვარდ კარტერმა აღმოაჩინა ფარაონ ტუტანჰამონის აკლდამა.

1946 წელი - პარიზში დაარსდა იუნესკო - გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაცია.

1956 წელი - საბჭოთა ჯარები შეიჭრნენ ბუდაპეშტში. დაუზუსტებელი მონაცემებით, დაიღუპა 25 ათასი უნგრელი და 7 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი.

1970 წელი - საბჭოთა კავშირში დაარსდა ადამიანის უფლებათა კომიტეტი, რომლის წესდებას ხელი მოაწერეს აკადემიკოსმა ანდრეი სახაროვმა, ანდრეი ტვერდოხლებოვმა და ვალერი ჭალიძემ.

1980 წელი - აშშ-ში პრეზიდენტის არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა რესპუბლიკელმა რონალდ რეიგანმა.

### ღირსსახსოვარი დღეები:

ტონგა - კონსტიტუციის დღე.

პანამა - დროშის დღე.

აშშ - უილ როჯერსის დღე.

**მედიანიუსი**

# საფრანგეთის პრეზიდენტი ბავშვობაში სარეცხ ფხვნილს უწევდა რეკლამას

საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი 12 წლის ასაკში სარეცხი ფხვნილის რეკლამის გადაღებაში მოდელად მონაწილეობდა. გადაღებისათვის მიღებული ფულით იგი დედას ეხმარებოდა, რადგან მისი ოჯახი ხელმოკლედ ცხოვრობდა.

როგორც ბრიტანული ბულვარული გაზეთი „დეილი მეილი" აღნიშნავს, პარიზელი მოსწავლე ნიკოლა სარკოზი საფრანგეთში 60-იანი წლების პოპულარულ სარეცხ საშუალებას, „ბონუქსს" უწევდა რეკლამას.

1967 წელს გადაღებულ რეკლამაზე გამოსახულია ცისფერ მაისურში გამოწყობილი ქერათმიანი მოზარდი, მოდურად შეკრეჭილი ვარცხნილობით. როგორც ამბობენ, სარკოზის მუქი თმა ქერად შეუღებეს. ხელში ბავშვს სათამაშო თვითმფრინავი უჭირავს, რომელსაც სარეცხი ფხვნილის მწარმოებელი ბავშვებისათვის პარკში საჩუქრად დებდა.

მიუხედავად თმების ფერისა, როგორც ამბობენ, ფოტოზე გამოსახულ ბავშვში, სარკოზის ცნობა ძნელი არ არის.

სამსახური ბავშვს მამამ უშოვა. პოლ სარკოზი ცოლს, ანდრეას 1967 წელს გაეყარა. პრეზიდენტი ხშირად აღნიშნავდა, რომ განქორწინების შემდეგ სამი შვილით მარტო დარჩენილ დედამისს ფინანსურად ძალიან უჭირდა. თავის დროზე პოლ სარკოზი „ბონუქსისთვის" სარეკლამო ტექსტებს წერდა, სხვა ცნობებით, ილუსტრაციებს ხატავდა და სამუშაოდ



შვილის მოწყობა არ გასჭირვებია. სარეცხი ფხვნილის რეკლამის მონაწილე ბავშვებს „ბონუქსი" თანამედროვე 33 ევროს ტოლფას თანხას უხდიდა დღეში.

რეკლამაში სარკოზის მონაწილეობა 40 წლის განმავლობაში არავის გახსენებია. „ბონუქსის" მესვეურებმა გასულ კვირას დაადასტურეს, რომ მომავალი პრეზიდენტი რეკლამაში მართლაც მონაწილეობდა.

მცირე ტანის მქონე ბიჭუნა რეკლამაზე იმაზე უფრო პატარა ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. სარკოზი ხშირად იხსენებდა, რომ დაბალი ტანის გამო თანატოლები ხშირად დასცინოდნენ. მისი თქმით, სწორედ ბავშვობაში გადატანილი დაცინვა დაეხმარა მას გამხდარიყო ის, რაც გახდა.

იმავდროულად, ფრანგული მედია ამტკიცებს, რომ რეკლამაზე გამოსახული ქერათმიანი ბავშვი სარკოზი სულაც არ არის. ამას პრეზიდენტის გარემოცვაც უარყოფს და სარკოზის მამას იშველიებენ, რომელიც რეკლამაში გამოსახულ ბავშვში შვილს ვერ ცნობს.

მიუხედავად ამისა, გამორიცხული არ არის, რომ პატარა ნიკოლა სარკოზი „ბონუქსის" სხვა რეკლამაში მონაწილეობდა. ერთ-ერთმა გამოცემამ პრიზიც კი დააწესა იმისთვის, ვინც პირველი იპოვიდა „დამამტკიცებელ საბუთს".

აღსანიშნავია, რომ სარკოზის ამჟამინდელი მეუღლე, ყოფილი მოდელი კარლა ბრუნი გარეგნობაზე ზრუნვას საძრახისად არ მიიჩნევს. სწორედ მისი ზეგავლენის შედეგია, რომ სარკოზიმ წონაში დაიკლო და დიზაინერულ კოსტუმებში გამოეწყო.

როგორც მედია წერს, მცირე სიმაღლე სარკოზის კვლავაც აწუხებს. როგორც ამბობენ, სევილიაში იგი ფეხსაცმელში საიდუმლო შუასადებებს უკვეთს, რაც მას სიმაღლეში 9 სმ-ის მომატების შესაძლებლობას აძლევს.

საფრანგეთის პრეზიდენტის სიმაღლე 165 სმ-ია.

# ევროპას საჰარის მზე გაათბობს



ევროპის წამყვანმა ენერგეტიკულმა კომპანიებმა გაავრცელეს განცხადება კონსორციუმის შექმნის შესახებ, რომელიც მიზნად ჩრდილოეთ აფრიკაში მზის ელექტროსადგურების ვრცელი კომპლექსის მშენებლობას ისახავს.

პროექტის ავტორების ჩანაფიქრით, ამ კომპლექსმა რუსულ გაზზე ევროპის დამოკიდებულება მნიშვნელოვნად უნდა შეამციროს.

კონსორციუმის კაპიტალი 400 მილიარდ ევროს შეადგენს. მასში 12 ევროპული კომპანია შევიდა, მათ შორის „დოიჩე ბანკი", „სიმენსი" და იტალიური ფირმა „ი დოთ ონი".

პროექტის განხორციელება უკვე დაიწყო. ოფიციალურად მას „ინიციატივა დეზერთექი" ჰქვია. ეს სახელწოდება ორი ინგლისური სიტყვის „დეზერთ" — „უდაბნო" და „თექნოლოჯის" შეხამებას წარმოადგენს.

პროექტის თანახმად, ევროპაში ელექტროენერგიის მიწოდება უკვე 2015 წელს უნდა დაიწყოს. 2050 წლისათვის კი აფრიკის ჩრდილოეთით აგებულმა მზის ელექტროსადგურებმა ენერგიაზე ევროპის მოთხოვნილების 15% უნდა დააკმაყოფილოს.

ამჟამად ტუნისსა და ალჟირში, საჰარის უდაბნოში მზის პირველი ელექტროსადგურების სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს. გარდა ამისა, იგეგმება ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში.

„დეზერთექის" პირველი ეტაპი ათობით მზის ელექტროსადგურის შექმნას გულისხმობს.

ისინი ასობით პარაბოლური ანტენისაგან იქნებიან შემდგარი, მათგან მზის გამოსხივება ცენტრალური ენერგეტიკული ბლოკისაკენ აირეკლება, სადაც სითბოს გადამცემები და ტურბინები იქნება გამართული.

ეს ტექნოლოგია დიდი ხანია ცნობილია და კარგად არის გამოცდილი. სილიციუმის ფოტოელემენტებთან შედარებით ენერგიის გამომუშავება დაგროვილი სითბოს წყალობით მას მთელი დღე-ღამის განმავლობაში შეუძლია.

პრაქტიკაში ეს ორი კონტურის გამოყენებას გულისხმობს. პირველ კონტურში რაიმე თბოტევადი თხევადი ნივთიერება, მაგალითად, თხევადი ნატრიუმი იქნება გამოყენებული, მეორე კონტური წყლით იქნება სავსე, რომელსაც ნატრიუმი გააცხელებს და ორთქლად გადააქცევს. წყლის ორთქლი კი შემდეგ ტურბინებს აბრუნებს. თხევადი ნატრიუმის ჩატუმბვა მიწისქვეშა საცავებში იქნება შესაძლებელი, სადაც იგი სითბოს რამდენიმე საათის განმავლობაში შეინარჩუნებს.

ამ პროექტის ყველაზე სარისკო ნაწილს ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა წამოადგენს, რომლებმაც ჩრდილოეთ აფრიკა ევროპას უნდა დაუკავშირონ. მათ ზღვის ფსკერზე გაიყვანენ.

როგორც ვარაუდობენ, მუდმივი დენის მაღალი ძაბვის კაბელებს მთელს ჩრდილოეთ აფრიკაში გაიყვანენ, პერსპექტივაში კი მთელს ახლო აღმოსავლეთში. ახალი მასალების გამოყენებით დანაკარგებს მინიმუმამდე შეამცირებენ.

ახალი ქსელების წყალობით პროექტში ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების ჩართვაც იქნება შესაძლებელი, რადგან სარკეები მათ ტერიტორიაზე განთავსდება.

ამჟამად ესპანეთში და დასავლეთ აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში მზის საცდელი ელექტროსადგურები არსებობს. ისინი ზემოაღწერილი პრინციპით მოქმედებენ. ახალი პროექტის მასშტაბები გაცილებით უფრო ვრცელი იქნება.

ამ სამრეწველო ინიციატივას ოფიციალურად დაუჭირეს მხარი გერმანიის მთავრობამ და პირადად ანგელა მერკელმა. რუსულ გაზზე დამოკიდებულების შემცირების თვალსაზრისით ანგელა მერკელი ამ პროექტზე დიდ იმედებს ამყარებს.

პროექტისადმი დიდი დაინტერესება გამოხატეს ახლო აღმოსავლეთში. იორდანიის მემკვიდრე პრინცმა ამ რეგიონში კონსორციუმის ფილიალის შექმნის იდეა გამოთქვა. ანალოგიური პროექტის განხორციელებას ავსტრალიაც გეგმავს, რომელსაც აფრიკის მსგავსად მზის ენერგიით მდიდარი უდაბნოს ვრცელი რეგიონები გააჩნია.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# ჭარბი წონის მქონე პაციენტი რენტგენის გადასაღებად ზოოპარკში გაგზავნეს



ჭარბი წონის მქონე გერმანელი მოქალაქე, რომელიც დაახლოებით 230 კგ-ს იწონიდა, ექიმებმა რენტგენის სურათის გადასაღებად ზოოპარკის ვეტერინარულ კლინიკაში გაგზავნეს, რადგან „ადამიანური" აპარატი მის წონას ვერ გაუძლებდა. პაციენტმა უარი განაცხადა და რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა.

51 წლის ტომას ლესერმანი თავს ცუდად გრძნობდა, დღეში რამდენჯერმე კარგავდა გონებას. ქმრის მდგომარეობით შეშფოთებულმა ცოლმა ჰოსპიტალიზაცია მოითხოვა.

მისი თქმით, ექიმები თომასს ათ საათზე მეტი დროის განმავლობში სინჯავდნენ, რის შემდეგაც რენტგენოსკოპიის დანიშნულება გამოუწერეს. როგორც გაირკვა, კლინიკის აღჭურვილობა მხოლოდ 200 კილოგრამამდე პაციენტებისათვის იყო გათვალისწინებული და ამიტომ იგი ჰაგენბეკის ზოოპარკის ვეტერინარულ კლინიკაში გაგზავნეს. ცოლ-ქმარმა ლესერმანებმა ეს რეკომენდაცია დაცინვად მიიღეს და რენტგენის სურათის გადაღებაზე უარი განაცხადეს.

ზოოპარკში რენტგენის სურათის გადაღებაზე უარის თქმიდან 13 დღის შემდეგ კი თომასი გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების მიზეზი უცნობია.

კლინიკის ექიმები აღიარებენ, რომ მათ მიერ გამოწერილ „დანიშნულებას" პაციენტის და მისი ახლობლების გაღიზიანება და უკმაყოფილება შეიძლება გამოეწვია, მაგრამ იმავდროულად აღნიშნავენ, რომ სხვა გზა არ ჰქონდათ.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მე-17 საუკუნის ესპანელი მხატვარი; 2. ფულის ერთეული სომხეთში; 3. მიწის სათხრელი მანქანა; 4. ვირგილიუსის ეპიკური პოემა; 5. ლითონის ჩაღრმავებული ფორმა შრიფტის ჩამოსასხმელად; 6. მონასტერი ქსნის ხეობაში; 11. სამონასტრო კომპლექსი გორის მახლობლად; 13. სამხრეთ ამერიკის აღმომჩენი იტალიელი ზღვაოსანი; 14. კომიკური ოპერების სახელწოდება გერმანიასა და ავსტრიაში; 15. ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო; 17. დიდი სპორტული შეჯიბრება ნიჩბიანი, იალქნიანი და მოტორიანი ნავებით; 18. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული მუქი ყავისფერი, ძვირფასბეწვიანი, პატარა ცხოველი; 19. ტოკიოს ძველი სახელწოდება.

**თარაზულად:** 7. მეფის სიგელი; 8. სამეთვალყურეო გემი ნავსადგურში; 9. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 10. გეომეტრიული ფიგურა; 12. გამდნარი თუჯიდან ფოლადის მიმღები აპარატი მეტალურგიაში; 14. ტყეში ბინადარი ეკლებიანი ცხოველი; 16. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 18. აშშ-ს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრი; 20. ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 21. ელექტროობის წინააღმდეგობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 22. ბუნებრივი წყალვარდნილი; 23. ბრაზილიის ნაკრებისა და „მილანის" ფეხბურთელი; 24. შიგა წვის ძრავის მქონე ორთვლიანი მანქანა.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფიტი; 2. ქორქი; 3. ამირა; 4. ბორტი; 5. ტოლედო; 6. კარამელი; 8. ილუმინაცია; 10. გიბლარტარი; 11. მინიატურა; 14. კალასი; 15. როგანი; 16. კუპრი.

**თარაზულად:** 1. ფუნქცია; 4. ბოტანიკა; 7. ტატრა; 9. ბანგი; 12. ბოჟოლე; 13. ფუქსი; 14. კათეტი; 17. ფაუსტი; 18. ემანსიპაცია; 19. მაყვალი; 20. ტიტანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. გლისადა; 2. რვალი; 3. იუკატანი; 4. კუპერი; 5. მთავარი; 6. ვისკოზა; 11. პირსი; 13. პრომეთე; 14. პარანგონი; 15. კონტრალტო; 17. ეკლერი; 18. მირაჟი; 19. მოლა.

**თარაზულად:** 7. ალიევი; 8. მუჯურეთული; 9. ასკილი; 10. საფერავი; 12. შამპინიონი; 14. პლისკა; 16. აერობუსი; 18. მარიჯანი; 20. კრონა; 21. არა; 22. პანთეონი; 23. თხლე; 24. ბატალიონი.

# კანადელ მოქალაქეს აშშ-ის მთავრობის წინააღმდეგ ჩივილის უფლება არ მისცეს



ნიუ იორკის სასამართლომ წარმოშობით სირიელ კანადელ მოქალაქეს 2002 წელს ტერორიზმთან კავშირის ეჭვით შეცდომით დაპატიმრებასთან დაკავშირებით აშშ-ის ხელისუფლების წინააღმდეგ სარჩელის წაყენებაზე უარი უთხრა.

მაჰერ არარი ნიუ იორკში, კენედის სახელობის აეროპორტში კანადის ხელისუფლების მცდარი ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს. ამ ინფორმაციის თანახმად, მას თითქოს ისლამისტ მეამბოხეებთან ჰქონდა კავშირი.

არარი შემდეგ თვითმფრინავით სირიაში გადაიყვანეს, სადაც, როგორც იგი ამტკიცებს, აწამეს.

სირიის ხელისუფლები ამ განცხადებას უარყოფენ.

თავის განცხადებაში მაჰერ არარი აშშ-ის სასამართლოს გადაწყვეტილებას კანონის უზენაესობისათვის მიყენებულ დარტყმას უწოდებს.

2007 წელს კანადის ხელისუფლებმა აღიარეს, რომ იგი უსაფუძვლოდ დააკავეს და 9 მილიონი დოლარი კომპენსაცია გადაუხადეს.

არარი ახლა ზარალის ანაზღაურებას აშშ-ისგანაც მოითხოვს. იგი ამტკიცებს, რომ ე.წ. საგანგებო გადაცემის მსხვერპლი გახდა, პრაქტიკისა, რომელიც ტერორიზმში ეჭვმიტანილების საზღვარგარეთ გადაცემას გულისხმობს, სადაც დაკითხვა უფრო მკაცრი მეთოდების გამოყენებით მიმდინარეობს.

მიუხედავად ამისა, ნიუ იორკის სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ საქმეში ჩარევის უფლებამოსილება არ გააჩნია.

როგორც სასამართლოს წერილობით გადაწყვეტილებაში არის ნათქვამი, ასეთ შემთხვევაში მოქალაქისათვის ზარალის ანაზღაურების გადაწყვეტილება კონგრესმა უნდა მიიღოს.

არარის ადვოკატები აცადებენ, რომ მათ გადაწყვეტილი აქვთ აშშ-ის უზენაეს სასამართლოს მიმართონ.

# არგენტინაში ყოფილი ხუნტის წარმომადგენლებს ასამართლებენ



არგენტინაში სასამართლოს წინაშე წარდგნენ ქვეყნის უკანასკნელი სამხედრო ლიდერი და მისი გადამდგარი გენერლები.

განსასჯელებს 1970-იანი წლების ბოლოს სამხედრო მთავრობის 56 ოპონენტის გაუჩინარებასთან დაკავშირებით ასამართლებენ.

როგორც ბრალდება ამტკიცებს, დანაშაული დედაქალაქ ბუენოს აირესის გარუბანში, კამპო დე მაიოს ბაზაზე იქნა ჩადენილი.

ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციების მონაცემებით, არგენტინაში 1976-დან 1983 წლამდე უგზო-უკვლოდ დაიკარგა 30 ათასამდე ადამიანი. რვავე განსასჯელი, ექვსი გენერალი და სამხედრო მთავრობის ორი ყოფილი წევრი ბრალდებებს უარყოფს.

81 წლის რეინალდო ბინიონე პროცესის დროს ავადმყოფურად გამოიყურებოდა. ბრალდებების წაკითხვის დროს იგი სკამზე აქეთ-იქით ირწეოდა.

ერთ-ერთი მსხვერპლის ახლობლების ინტერესების დამცველმა ადვოკატმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ ეს ისტორიული პროცესი მიზნად ჭეშმარიტებას ისახავს.

მისი თქმით, მსგავსი დანაშაულის დაუსჯელად დატოვება შეუძლებელია.

პროცესზე განსასჯელთა შორის არიან გადამდგარი გენერლები სანტიაგო ომარ რივეროსი, ეუხენიო უგანაბენს პერელიო, ხორხე გარსია, ფერნანდო ეხეკილ ფერპლატსენი და კარლოს ალბერტო ტეპედინო.

მოსალოდნელია, რომ პროცესზე ბრალდების მხრიდან 130-ზე მოწმე გამოვა. შეფასებების თანახმად, პროცესი მინიმუმ თებერვლამდე გასტანს.

ბინიონე შინაპატიმრობაში არის აყვანილი. მას წამებასთან კავშირის, საცხოვრებელ სახლში არალეგალურად შეღწევის და ადამიანის უფლებების დარღვევის ბრალდებები აქვს წაყენებული. ეს ბრალდებები 1976-78 წლებში მომხდარ მოვლენებთან არის დაკავშირებული.

იგი არგენტინის ოთხიდან უკანასკნელი სამხედრო მმართველი იყო. ხუნტას იგი 1982-83 წლებში ხელმძღვანელობდა. დიქტატურის კრახის შემდეგ ძალაუფლება მან დემოკრატიული გზით არჩეულ რაულ ალფონსინს გადასცა.

შეფასებების თანახმად, კამპო დე მაიოს ყაზარმებში 5 ათასამდე ადამიანი იყო დაკავებული. ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტების თანახმად, აქ დიქტატურის დროს ერთ-ერთი უდიდესი სიკვდილის ბანაკი იყო გამართული.

# ჩეხეთი ლისაბონს ხელს აღარ უშლის



ჩეხეთის კონსტიტუციურმა სასამართლომ დაადგინა, რომ ლისაბონის შეთანხება არ ეწინააღმდეგება ქვეყნის ძირითად კანონს და ამ გადაწყვეტილებით პრეზიდენტ ვაცლავ კლაუსის მიერ აღნიშნული დოკუმენტის ხელმოწერას გზა გაუხსნა.

როგორც მოსალოდნელი იყო, სასამართლომ მხარი არ დაუჭირა ევროსკეპტიკოსების მოსაზრებას, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ევროპის შეთანხმება ჩეხეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტს, კანონმდებლობას არღვევდა და სახელმწიფოებრიობის საფუძვლებს ძირს უთხრიდა.

იმ შემთხვევაში, თუკი კლაუსმა შეთანხმებას ხელი უახლოესი ორი კვირის განმავლობაში მოაწერა, ლისაბონის შეთანხმება ძალაში 1 დეკემბერს შევა.

ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან შეთანხმების რატიფიცირება ჯერჯერობით მხოლოდ ჩეხეთს არ მოუხდენია. ეს დოკუმენტი გაერთიანებული ევროპის უფრო ეფექტურად ფუნქციონირების აუცილებელ პირობად მიაჩნიათ.

სამშაბათს დილით ლისაბონის შეთანხმების ძალაში შესვლის ორი დაბრკოლება არსებობდა, ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელი და ჩეხეთის პრეზიდენტის, კლაუსის ხელმოწერა.

შეთანხმების ტექსტთან დაკავშირებით თავიანთი არგუმენტების უკანასკნელი პაკეტი სენატორებმა უზენაეს სასამართლოში პარასკევს წარადგინეს, მაგრამ მაშინ სასამართლომ განაცხადა, რომ ვერდიქტი სამშაბათისათვის იქნებოდა ცნობილი.

სასამართლომ სენატორების არგუმენტები განიხილა და უარყო ისინი. ახლა მხოლოდ პრეზიდენტის ხელმოწერა დარჩა.

ვაცლავ კლაუსი, როგორც ჩანს, სავსებით კმაყოფილია ევროკომისიის დაპირებით, რომლის მიხედვითაც ჩეხეთი ევროკავშირის ადამიანის უფლებათა ქარტიაში არ ხვდება.

პრეზიდენტის თქმით, იგი ლისაბონის შეთანხმების ხელმოწერის წინააღმდეგი აღარ გამოვა.

მიუხედავად ამისა, მიმომხილველების ერთი ნაწილი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ მომენტში ჩეხეთმა კვლავ რაიმე სიურპრიზი შეიძლება მოამზადოს.

რაც შეეხება კლაუსს, იგი აშშ-ში აპირებდა გამგზავრებას და შესაძლოა, სასამართლოს გადაწყვეტილების შესასრულებლად მას რამდენიმე დღე დასჭირდეს.

# ოთხ ტანზანიელს ალბინოსის მკვლელობისთვის სიკვდილი მიუსაჯეს



ტანზანიაში ალბინოსი მამაკაცის მკვლელობისათვის ოთხ მოქალაქეს სიკვდილი მიუსაჯეს.

ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ შინიაგას სასამართლომ დაამტკიცა, რომ განსასჯელებმა ალბინოსი მამაკაცი მკვლელობის შემდეგ დაანაწევრეს, თავი და ფეხები მოაჭრეს.

ალბინოსების მკვლელობა ტანზანიაში გავრცელებულ დანაშაულს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, სასამართლოებმა ამ მკვლელობებთან დაკავშირებით სასიკვდილო განაჩენის გამოტანა მხოლოდ ცოტა ხნის წინ დაიწყეს.

პირველი ასეთი განაჩენი მიმდინარე წლის სექტემბერში გამოიტანეს. მაშინ სამ მამაკაცს ალბინოსი ბიჭუნას მკვლელობისათვის სიკვდილი მიუსაჯეს.

ტანზანიელი ჯადოქრები მოკლული ალბინოსების ორგანოებისაგან სხვადასხვა ამულეტებს ამზადებენ და შემდეგ თავიანთ კლიენტებზე ათასობით დოლარად ყიდიან.

წინასწარი შეფასებების თანახმად, ბოლო ორი წლის განმავლობაში ტანზანიაში 50-მდე ალბინოსი მოკლეს. ანალიტიკოსების თქმით, ათასობით ალბინოსი სიკვდილის მუდმივი შიშით ცხოვრობს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რაიონებში, სადაც მკვლელობების უმეტესი ნაწილი ხდება. „ალბინოსებზე ნადირობა“ მეზობელ ბურუნდიშიც არის გავრცელებული. ბოლო დროს იქ 12 ალბინოსი ადამიანი მოკლეს.

მიმომხილველების თქმით, მრავალი ტანზანიელი სასამართლოს გადაწყვეტილებას მიესალმება. ისინი იმედოვნებენ, რომ სიკვდილით დასჯის შიში ალბინოსების მიმართ დანაშაულის ტალღას ჩააცხრობს.

ამასთან მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს სურს, რომ გარდა უშუალო მკვლელებისა, დაისაჯონ ისინიც, ვინც მათგან ადამიანის სხეულის ნაწილებს ყიდულობენ.

სიკვდილმისჯილებს განაჩენის გასაჩივრება აქვთ გადაწყვეტილი.

# იუშჩენკომ რუსეთთან გაზის კონტრაქტების შესწორება მოითხოვა



უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო მინისტრთა კაბინეტისაგან რუსეთთან 2009 წლის 19 იანვარს დადებული გაზის კონტრაქტებში ცვლილებების ოფიციალურად შეტანას მოითხოვს.

უკრაინის პრეზიდენტის წარმომადგენლების თქმით, იუშჩენკო 2010 წლისათვის რუსული ბუნებრივი გაზის შესყიდვის ოპტიმალური მოცულობის დადგენას ეკონომიკის რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე მოითხოვს.

პრეზიდენტის წარმომადგენლების თქმით, იუშჩენკოს მიაჩნია, რომ აუცილებელია უკრაინისათვის გაზის ღირებულების და უკრაინის ტერიტორიაზე გაზის ტრანზიტის ურთიერთმისაღები ფასების დადგენა, რასაც საფუძვლად ორი სახელმწიფოს პრეზიდენტების მიერ 2008 წლის 19 თებერვალს დადებული შეთანხმება უნდა დაედოს.

იუშჩენკოს, გარდა ამისა, აუცილებლად მიაჩნია ვალდებულებების, საჯარიმო სანქციებისა და რისკების სიმეტრიის საკითხის განხილვა, რომლის დროსაც საერთაშორისო თანამშრომლობის გამოცდილება უნდა იქნას გაზიარებული, გარდა ამისა, მისი აზრით, ევროპისა და აზიის გაზსადენების სისტემაში უკრაინის გაზის სატრანსპორტო სისტემის წამყვანი როლიც არის გასათვალისწინებელი.

უკრაინის პრეზიდენტის წარმომადგენლების თქმით, გაზის კონტრაქტების შესრულების პრაქტიკამ ორივე მხარისთვის მათი უპერსპექტივობა დაამტკიცა.

იუშჩენკო დადებითად აფასებს კომპანია „ნაფტოგაზ უკრაინას“ მზადყოფნას უკრაინელი მომხმარებლებისათვის გაზის მიწოდებასთან დაკავშირებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, შეშფოთებულია იმით, რომ ახალ წლამდე ორ თვეზე ნაკლები დრო რჩება, მთავრობას კი რუსეთის მხარესთან გაზის სფეროში თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის უმთავრესი პარამეტრები ჯერ არ განუსაზღვრავს.

აღსანიშნავია, რომ ამ განცხადების გავრცელებამდე უკრაინის პრემიერ-მინისტრმა იულია ტიმოშენკომ განაცხადა, რომ უკრაინის პრეზიდენტი რუსული გაზის ღირებულების გადახდისათვის ფულის გამოყოფას ხელს უშლის. ამ განცხადებით რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმირ პუტინი 30 ოქტომბერს, ტიმოშენკოსთან სატელეფონო საუბრის შემდეგ გამოვიდა.

უკრაინის პრემიერ-მინისტრის თქმით, ტიმოშენკო ცენტრალურ ბანკთან ნორმალურად თანამშრომლობას ხელს უშლის, ოქროსა და ვალუტის რეზერვები კი ამ ბანკის განკარგულებაში იმყოფება.

პუტინმა აგრეთვე უკრაინის მიერ გაზთან დაკავშირებული, კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე ისაუბრა.

მანამდე ტიმოშენკომ არაერთხელ განაცხადა, რომ პუტინთან შეთანხმებით, უკრაინას მხოლოდ მოხმარებული გაზის ღირებულება უნდა გადაეხადა.

როგორც ცნობილია, „ნაფტოგაზს“ რუსეთთან გაზის კონტრაქტების კორექტირება და შესწორება სურს. „ნაფტოგაზის“ დელეგაცია მოსკოვში ამ საკითხების განსახილველად გამგზავრებას აპირებდა.

კერძოდ, „ნაფტოგაზს“ სურს, რომ რუსეთმა იგი კონტრაქტით გათვალისწინებულზე ნაკლები რაოდენობით გაზის გამოყენებისათვის არ დააჯარიმოს. საკონტრაქტო მოცულობა 33.6 მილიარდ კუბომეტრს შეადგენს, „ნაფტოგაზმა“ კი მხოლოდ 27 მილიარდი კუბომეტრი გამოიყენა.

ამჟამად არსებული კონტრაქტების თანახმად, „ნაფტოგაზმა“ 2010-2019 წლებში წელიწადში არანაკლებ 53 მილიარდი კუბომეტრის იმპორტი და მათგან 80%-ის ანაზღაურება უნდა მოახდინოს. მოხმარებულსა და კონტრაქტით გათვალისწინებულს შორის სხვაობამ თითქმის 4 მილიარდი დოლარი შეიძლება შეადგინოს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## სამგლოვიარო განცხადებები

ჯონდო და ჯუმბერ ჩომახიძეები, ელდარ, რამაზ და გულნაზ ცაგარეიშვილები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დეიდაშვილი

**ზურაბ ალექსანდრეს ძე ჩომახიძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ირაკლი დოკვაძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

**ალექსანდრე (ალიოშა) არახამიას**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი**
**4 ნოემბერი**

**08.30** სერ. **"ჯგუფი"** **09.00** დოკ. ფილმი "ვანდომის სამყარო" **10.00, 12.00, 16.00, 20.00** მოამბე **10.10** სერ. **"უბრალოდ დესერტი"** **11.00** სერ. **"ხუთი დღე შუაღამემდე"** **12.30** მე მიყვარს საქართველო **14.30** დოკ. ფილმი "არქიტექტურა" **15.00** სერ. **"სიყვარულის არდადეგები"** **16.30** ან. სერ. "ფლატმანია" **17.00** სერ. **"კრიმინალური პოლიცია"** **18.00** დოკ. ფილმი "დ. ნ. მ. იმედი და ღირებულება" **19.05** სერ. **"უბრალოდ დესერტი"** **20.45** "სიზმარვიზია" **21.00** სერ. **"ხუთი დღე შუაღამემდე"** **22.00** მხ. ფ. **"პიკის საათი 2"** **23.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. **02.10** ლიგის მიმოხილვა

**19.00** ან. ფილმი "ფლატმანია" **19.25** "სიზმარვიზია" **19.40** სერ. **"ხუთი დღე შუაღამემდე"** **20.25** დოკ. ფილმი "ვანდომის სამყარო" **21.25** სერ. **"სიყვარულის არდადეგები"** **22.00** მხ. ფ. **"მაცი ხვიტია"** (U) **23.15** მხ. ფილმი **"დროის მანქანა"** (U)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"შურისძიების ცეცხლში"** **11.00** ვა-ბანკი **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.40** კურიერი **12.20** სერ. **"გზა დიდებისკენ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერ. **"უფროხილდი ანგელოზს"** **15.25** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **15.50** სერ. **"გულის ძახილი"** **16.50** სერ. **"დონ ხუანი და ლამაზმანი"** **18.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **19.00** სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** **19.50** სერ. **"ანხელის საიდუმლო"** **22.00** ვის უნდა **20** ათასი **22.50** სერ. **"ექიმი ჰაუსი"** **23.40** **ჩემპიონთა ლიგა**. "ლიონი" - "ლივერპული" **01.40** პატრული **02.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა

**08.00** მულტფილმი **09.00** სერ. **"მარია ემილია"** **09.50** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **10.50** სერ. **"ტყუპები"** **12.00** სერ. **"სი-ეს-აი"** **12.40** მხ. ფილმი **15.00** სერ. "დრაკონის ბეჭედი" **15.50** მხ. ფილმი **17.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **19.30** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **20.20** სერ. **"ტყუპები"** **21.10** ძილისპირული **21.30** ვიქტორინა "ქეშ შოუ" **22.35** "სიცილი მზეზე" **23.10** სერ. **"სი-ეს-აი"** **00.30** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **10.00** სერ. **"ორმაგი თამაში"** **11.25, 14.35** ტვ-მარკეტი **11.40** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **12.00** სერ. **"ვინმე"** **13.00** სერ. **"მარადიული გრძნობა"** **15.00** სიმართლის დრო (გან.) **16.00** სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** **17.35** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **18.00** სერ. **"სიყვარულის აჩრდილი"** **19.05** სერ. **"მარადიული გრძნობა"** **21.00** სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** **22.00** ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ **23.00** სერ. **"ვინმე"** **00.00** მხ. ფილმი **"მგლების იმპერია"** (15) (ჟ. რენო) **02.15** ქრონიკა **02.30** სერ. **"კლონი"**

**08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **08.45** მულტფილმი **10.30, 19.30** სერ. **"დედოფალი ელისაბედი"** **11.45, 21.00** სერ. **"ცხოვრების ქარცეცხლში"** **12.40** მხ. ფილმი **"გოგონას საუკეთესო მეგობარი"** **14.50** მხ. ფილმი **"ვესტსაიდური ისტორია"** **18.00** დოკ. ფილმი **19.00** ნოვოსტი **22.00** "სცენა" **23.00** დოკ. ფილმი "ტელევიზიის იუბილე" **23.45** საზეიმო კონცერტი **00.45** მხ. ფილმი **"ოცნების გოგონები"**

ერთსულოვნება **09.10** დილის პროგრამა "განთიადი" **10.30** დროის ჩანაწერები **11.00** მგზავრები წუთისოფლისა **11.30** დოკ. ფილმი **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"მევლუდი"** **13.00** კონცერტი **15.10** მულტსერ. "რედვოლი" **15.35** მხ. ფილმი **"მიზანი"** **1**-ლი ს. **16.55** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.30** დებიუტი **19.15** მხ. ფილმი **"გამოაღეთ ფანჯრები"** **20.35** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** დოკ. ფილმი "წმინდა დიმიტრი ყიფიანი" **22.00, 00.15** სიახლენი **22.20** გადაცემა "პერსპექტივა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გადაცემა "პერსპექტივა"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2009 წლის 4 ნოემბრის ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,6825

ევრო —2,4035

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536

რუსული რუბლი — 0,0533

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 15-16, ღამით — 4-7

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-21, ღამით — 19-13

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 19-12, ღამით — -4-6

**ამინდის პროგნოზი 4 ნოემბრისთვის**




## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია




"სალხინო" აწესრიგებს შარდ-სასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა,შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს; პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების: ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის; კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

პრაქტიკამ დაადასტურა ისიც, რომ "სალხინო" სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭის და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ "სალხინო"-ს მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით. „სალხინო"-ში შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებულია და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნების ათეულობით სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

"სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებგვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.


## ზესტაფონური ცივი შხაპი და დანარჩენი მშვიდობა

გუშინ საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის მე-29 გათამაშების პირველი მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა. ცენტრალური მატჩი ზესტაფონში გაიმართა, რომელსაც „ვიტ ჯორჯია" სტუმრობდა. სპეციალისტების აზრით, ეს მეოთხედფინალური წყვილი ფინალის ტოლფასი იყო, მაგრამ, მატჩის მიმდინარეობიდან და შედეგიდან გამომდინარე, ბრ ოლა არ შედგა.

აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულის ვინაობა სწორედ ამ მატჩში გამოვლინდა, დანარჩენი მატჩები ფრედ დამთავრდა. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი ის იყო, რომ ოთხივე მატჩი დასავლეთ საქართველოს ორ რეგიონში, იმერეთსა და სამეგრელოში გაიმართა და ყველა მათგანი წვიმის თანხლებით ჩატარდა.



### „ზესტაფონი" — „ვიტ ჯორჯია" 3:0
**1:0 დვალი (6), 2:0 დაუშვილი (38), 3:0 გრიგალაშვილი (39)**

**„ზესტაფონი":** მამალაძე, ლობჟანიძე, გ.ონიანი, ხიდეშელი, ელიავა, დაუშვილი, ძარია (ბენაშვილი 67), აფციაური, გრიგალაშვილი (კორღალიძე 81), გელაშვილი (ნ.კვასხვაძე 81), დვალი

**„ვიტ ჯორჯია":** მიქაბერიძე, ბეჭვაია, ა.კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე, გ.დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი (ჯანელიძე 59), მგელაძე (ბერიაშვილი 46), მელქაძე, ლიპარტია, კვარაცხელია

დიდი ინტერესისა და უშელავათო ბრძოლის ნაცვლად იმერეთში, პრაქტიკულად, გადაწყდა ნახევარფინალში გამსვლელი გუნდის ვინაობა. ძნელია წარმოსადგენია, გია გეგუჩაძის შეგირდებმა საპასუხო მატჩში სამბურთიანი ჰანდიკაპი გაანიავონ. „ზესტაფონმა" წვიმიან ამინდში მეტოქეს მართლაც ცივი შხაპი გადაასხა.

ზესტაფონელებმა პირველი ჭრილობა ვეტერინარებს დასაწყისშივე მიაყენეს — უკვე მე-6 წუთზე შოთა გრიგალაშვილის კუთხურს პირველი თავით მურთაზ დაუშვილი შეხვდა, შემდეგ კი ასევე თავით კარში ჯაბა დვალმა გადაგზავნა და ანგარიში გახსნა. საერთოდ, პირველი ტაიმი ზესტაფონელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა და მისი რეალიზება კიდევ 2 ბურთში აისახა — ჯერ მურთაზ დაუშვილმა შორეული ულამაზესი დარტყმით მოახერხა ანგარიშის ორამდე გაზრდა, ხოლო ერთ წუთში უკვე შოთა გრიგალაშვილმა ძალიან მაღალოსტატურად ითამაშა და სასიკვდილოდ დაჭრა ვეტერინარები.

„ვიტ ჯორჯია" წინა გათამაშებებზე ყოველთვის უარს ამბობდა სათასო ბრძოლაზე და ყურადღება


გაგრძელება მე-9 გვერდზე


## დოდო ჭიჭინაძე გარდაიცვალა


ეკა ირემაშვილი


ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავი, დოდო ჭიჭინაძე, 85 წლის ასაკში წმინდა მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა. მსახიობი ბოლო პერიოდში თავს ცუდად გრძნობდა, რის გამოც იგი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

დოდო ჭიჭინაძემ ქართულ თეატრსა და კინოში არაერთი დასამახსოვრებელი პერსონაჟი განასახიერა. ფილმებში „შეწყვეტილი სიმღერა", „ბაში-აჩუკი", „დავით გურამიშვილი", „ჭრიჭინა" და სხვ. განსახიერებულ როლებში მსახიობს ყოველთვის ბუნებრიობა და არამიწიერი სილამაზე ახასიათებდა. დოდო ჭიჭინაძე წლების განმავლობაში კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობი იყო, სადაც არაერთი სცენური სახე შექმნა.





85 წლის იუბილესადმი საქართველოს სახალხო არტისტს დოდო ჭიჭინაძეს გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე კინოთეატრ „რუსთაველის" წინ ნატო ვაჩნაძის, ლეილა აბაშიძისა და ოთარ კობერიძის ვარსკვლავების გვერდით სახელობითი ვარსკვლავი გაუხსნეს. ვარსკვლავის გახსნამდე კი კინოთეატრში მსახიობის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საგანგებო ფილმიც აჩვენეს, რომელიც მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ერთგვარი შეჯამება იყო.

## ასტროპროგნოზი 4 ნოემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**ეს დღე მშვიდად გაატარეთ.**

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კური** — გზიდან ფულს მიიღებთ, გახარებული ხართ. **ტყუპები** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — ახალ სამსახურში თავს კომფორტულად იგრძნობთ, იაქტიურეთ. **ქალწული** — სახლში სიახლეა, ძვირფას ავეჯს შეიძენთ. **სასწორი** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **ღრიანკალი** — დაისვენეთ და გაერთეთ, დღეს არ გადაიღალოთ. **მშვილდოსანი** — ყველა საქმე გამოგდით, იაქტიურეთ. **თხის რქა** — ისე მოიქეცით, როგორც გსურთ. **მერწყული** — თქვენი საქმე წინ მიდის, ახალი პროექტი გაამართლებს. **თევზები** — გზიდან ფულს მიიღებთ, გახარებული ხართ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეებს!**

## კროსვორდი ა




**შვეულად:** 1. ვახტანგ გორგასლის ვაჟიშვილი; 2. ინგლისური იუმორისტული ჟურნალი; 3. თვალის ფერადი გარსი; 4. საარყე ტიკჭორა; 5. ევროკომისიის თავმჯდომარე; 6. იატაკზე დასაჯდომი ბალიში იაპონურ სახლებში; 8. წყალბადის იზოტოპი, „მძიმე წყალი" 10. პოპულარული ბალნეოლოგიური კურორტი უკრაინის კარპატებში; 11. ამერიკაში მოღვაწე ქართველი ბალეტმეისტერი; 14. მუსიკალური ნაწარმოები; 15. ოპერა „კარმენის" პერსონაჟი; 16. გერმანიის ნაკრებისა და „ბაიერნის" ფეხბურთელი.

**თარაზულად:** 1. ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური საფრანგეთში; 4. „ვეფხისტყაოსნის" დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 7. ჩეხური წარმოშობის ავსტრიელი კომპოზიტორი, პიანისტი, პედაგოგი; 9. იტალიური საავტომობილო კომპანია; 12. ერბოში მოხარშული ყველისგან მომზადებული აჭარული კერძი; 13. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 14. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 17. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 18. თვითმავალი ელექტროურიკა; 19. გამომშრალი ყურძენი; 20. ვაშლის ქართული ჯიში.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## იუმორი



— რატომ ხარ ასეთი ნერვიული?
— ცოლს ვეყრები, არ ვიცი, მამაჩემს როგორ ვუთხრა.
— რა მოხდა?
— რომ მოვიყვანე, არც ის მითქვამს...

***

— ერთხელ რაღაც ერთი სიტყვა წამომცდა და ჩემი ცოლი მთელი წელი არ მელაპარაკებოდა.
— თუ ძმა ხარ, მითხარი, რა წამოგცდა...

***

— ლამაზად ცხოვრებას ვერ აუკრძალავ, იაფადაც შეიძლება, მაგრამ ეგ ცხოვრება არ არის...

***

— რა საინტერესოა, ლინუქსში ფაიერვოლს იმიტომ აყენებენ, რომ ვინმე არ შემოვიდეს, ვინდოუსში კი იმიტომ, რომ გარეთ არავინ გავიდეს...

***

— ბიჭებო, მიშველეთ, სასწრაფოდ მჭირდება ფული პლასტიკური ოპერაციისათვის.
— ხომ გეუბნებოდით, არ გინდა ცოლის მოყვანა, ნუ აჩქარდები, ჯერ ცოტა მოიცადე-მეთქი...

## ტესტი

## გამარჯვებისაკენ მიმავალი გზა



*ტესტის პასუხებს დადებითი ან უარყოფითი პასუხები გაეცით*

1. ყოველთვის ვიცი, რას მოვიმოქმედებ, თუ ბედმა მიმტყუნა.
2. დარწმუნებული ვარ, რომ საქმე პირველი ცდით არ გამოვა, მეორით აუცილებლად გამოვა.
3. აზარტში შესულიც კი თავს გინების უფლებას არ ვაძლევ.
4. წარუმატებლობის შემდეგ კიდევ უფრო მობილიზებული ვხდები.
5. ყოველთვის დეტალურად მაქვს წარმოდგენილი, როგორ უნდა ვიმოქმედო, რომ არ დავმარცხდე.
6. არ მომწონს უგრძნობელი ადამიანები, რომლებსაც არ აღელვებთ სხვისი მარცხი.
7. როდესაც მიჭირს, საკუთარ თავს ვეუბნები „მადლობა თქვი, უარესი რომ არ დაგემართა".
8. გამარჯვება მიხარია.
9. მიმაჩნია, რომ მოგება ბანქოში შემთხვევის საქმეა.

**პასუხები** *დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:*

**0-3 ქულა:** თქვენ აქტიურად ეძებთ პრობლემებს, ან თავად იქმნით მათ. საკუთარი ძალების გარდა ყველაფრის იმედი გაქვთ, მთავრობით დაწყებული და ზებუნებრივი ძალებით დამთავრებული.

**4-6 ქულა:** თქვენ იმ ადამიანების კატეგორიას განეკუთვნებით, რომლებიც ნებისმიერი საზოგადოების დასარყდენს შეადგენენ. შესანიშნავი მუშაკი ხართ, ხელმძღვანელობისადმი ლოიალურად განწყობილი. როგორც წესი, არ ისახავთ მიზნებს, რომლის მიღწევაც არ შეგიძლიათ.

**7-9 ქულა:** რეალურ მიზნებს ისახავთ და ყოველთვის უფრო მეტს აღწევთ. ახერხებთ წარუმატებლობისგანაც კი სარგებლობის მიღებას. ახერხებთ გამარჯვებისაკენ მიმავალი მოკლე გზის მოძებნას.

გ.თ.